ДОЦ. А. Н. И Н Ц К И Р В Е Л И

БАЛАНСОВЫЙ МЕТОД

В Б У Х Г А Л Т Е Р И И

ДИССЕРТАЦИОННЫЙ ТРУД НА СОИСКАНИЕ СТЕПЕНИ КАНДИДАТА ЭКОНОМИЧЕСКИХ НАУК

(Защ. 3-го декабря 1938 г.)

Тбилиси 1938 г.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შ ე ს ა ვ ა ლ ი.

1. აღრიცხვის შინაგანაწესი .... გვ. 1
2. აღრიცხვის კლასობრივი ხასიათი .... " 4
3. კაპიტალისტური აღრიცხვა .... " 5
4. სოციალისტური აღრიცხვა .... " 8
5. მაჩვენებლები ნატურალური და ფულადი .... " 10
6. აღრიცხვის სახეები .... " 12

2. საბუღალტრო აღრიცხვის საგანი.

1. საზოგადოებრივ -საწარმოო ფონდები .... " 16
2. სამეურნეო-უფლებრივი ურთიერთობანი .... " 18
3. საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდების შექმნის წყაროები სამეურნეო ორგანიზაციებში .... " 20

3. საბჭოთა საბუღალტრო აღრიცხვა მეთოდი.

1. საბალანსო მეთოდი, ბალანსი .... " 25
2. საბუღალტრო ბალანსი .... " 30
3. ბალანსის შედგენა .... " 43
4. სამეურნეო საშუალებათა შეფასება ინვენტარიზაციის დროს .... " 46
5. ბალანსის წარმოშობა .... " 49
6. ბალანსის მნიშვნელობა კერძო მეურნეობაში " 52
7. ბალანსის მნიშვნელობა საბჭოთა ეკონომიკის პირობებში .... " 52

8. აქტივისა და პასივის შემადგენლობა.... გვ. 55

9. აქტივისა და პასივის სტრუქტურა სოცია-
ლისტურ მშენებლობის ბალანსებში......... " 57

10. აქტივის სტრუქტურა .... " 61

11. პასივის ბურჟუაზიული განმარტება ..... " 68

12

4. სამეურნეო პროცესები და სამეურნეო ოპერაციები.

1. სამეურნეო პროცესები სოციალისტურ
მეურნეობაში .... გვ. 71

2. მიმდინარე აღრიცხვა საბალანსო
მეთოდით .... " 79

3. აქტივი და პასივი -სტატიკა -დებეტი და
კრედიტი - დინამიკა .... " 86

4. აქტივი და პასივი-ნორმატივები და კრედიტ
დიტი -სამეურნეო გეგმა ...." 88

5. საბალანსო მეთოდის პრაქტიკული გამო-
ყენება საბუღალტრო აღრიცხვაში ...." 92

6. ანგარიშების გახსნა ...." 102

7. ბრუნვათა ფურცელი .... " 121

5. ბალანსები ფაქტიურად და გეგმით." 132

6. აღრიცხვა სინთეზური და ანალი[illegible]
ზური .... " 136

7. შეცდომები ....

1. შეცდომების აღმოჩენა და მისი
მონახვა .... "ც 168

8. შეცდომების გასწორება .... "" 172

I. შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. აღრიცხვის შ ი ნ ა ა რ ს ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი აწარმოებს სოციალისტურ მშენებლობას მთლიანი სახალხო მეურნეობის გეგმის მიხედვით. სახალხო მეურნეობის გეგმა, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებში, დიფერენცირებულია დროში და სივრცეში. ჩვენ გვაქვს ხუთწლიანი გეგმა.

ხუთწლიანი გეგმა ეს არის სოციალიზმის მშენებლობის მინიმუმი, რაც უნდა გაკეთდეს ხუთი წლის განმავლობაში. ხუთწლიანი გეგმიდან ყოველწლიურად გამოიჭრება განსაზღვრული ნაწილი, რაც ერთი წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს.

წლიური გეგმა დანაწილებულია კვარტალურ გეგმებად; კვარტალური გეგმა თვიურ გეგმებად, თვიური გეგმა დანაწილებულია დეკადურ და თვიურ გეგმებად.

ამგვარად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმა დანაწილებულია დროში და დაყვანილია ერთ დღემდის.

მეორე მხრით იგივე გეგმა დანაწილებულია სახალხო მეურნეობის დარგებზე და სამეურნეო ერთეულებს შორის; მაგალითად მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს აქვს თავისი გეგმა; ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატს თავისი გეგმა აქვს მოცემული; მიწათმოქმედების კომისარიატს თავისი გეგმა და ასე ბოლომდის.

დარგობრივი გეგმები /საკავშირო/ რესპუბლიკურ გეგმებად არის დანაწილებული. მაგალითად საქართველოს მიწათმოქმედების სახკომატს თავისი გეგმა აქვს, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატს აქვს თავისი მხრით დანაწილებულია ტრესტებსა, სამმართველოებსა და გაერთიანებებს შორის. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის თვითეული სამმართველოს სამეურნეო გეგმა ნაწილია ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გეგმის.

თვითეული სამმართველო რამდენიმე ფაბრიკას აერთიანებს, თვითეულ ფაბრიკას თავისი სამეურნეო გეგმა აქვს. ფაბრიკის გეგმა შესასრულებლად ცეხებს და განყოფილებებს გადაეცემა. ამგვარად თვითეული ცეხი ფაბრიკის მთლიანი ტექნიკურ-საწარმოო საფინანსო გეგმის განსაზღვრულ განაკვეთს ღებულობს შესასრულებლად.

თავის გეგმას ცეხი ანაწილებს ბრიგადებს შორის. თვითეულ ბრიგადას თავისი განაკვეთი აქვს. ბრიგადის გეგმა დაზგებამდეა დაყვანილი, თვითეულ დაზგას განსაზღვრული განაკვეთი აქვს მიცემული.

ეს არის სახალხო მეურნეობის გეგმის დაყვანა სივრცეში და დაზგამდე.

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ თვითეულ დაზგას აქვს ყოველდღიური გეგმა, გამოჭრილი სახალხო მეურნეობის მთლიანი საწარმოო გეგმიდან.

სოციალისტური აღმშენებლობის საწარმოებლად, მთლიანი სახალხო-მეურნეობრივი გეგმის შესასრულებლად ჩვენს სახალხო მეურნეობას მოეპოვება სოციალისტური აღმშენებლობის განვლილი პერიოდში დაგროვილი საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდი, ანუ სამეურნეო საშუალებანი. საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდი, ანუ სამეურნეო საშუალებები. საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდი გამოხატულია რაოდენობრივსა და თვისებრივ მაჩვენებლებში.

დაშვებული სამეურნეო გეგმა მეურნეობამ უნდა შეასრულოს, სამეურნეო გეგმის შესრულება, გეგმის შესრულებაზე მეთვალყურეობა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე გეგმის შედგენა. როგორც ამხ. სტალინი ამბობს "მხოლოდ ბიუროკრატებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საგეგმო მუშაობა თავდება გეგმის შედგენით. გეგმის შედგენა მხოლოდ დასაწყისია გეგმიანობის, ნამდვილი გეგმიანი მუშაობა იშლება მხოლოდ გეგმის შედგენის შემდეგ, ადგილებზე შემოწმების შემდეგ, გეგმის განხორციელებისა, შესწორებისა და დაზუსტების მიმდინარეობაში".

სამეურნეო ერთეულზე დაშვებული სამეურნეო სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს ერთი მხრით სამეურნეო ერთეულის საქმიანობას, რა უნდა გააკეთოს, რა პროდუქცია უნდა გამოუშვას და სხვა. მეორე მხრით ითვალისწინებს, იმ სამეურნეო საშუალებებს, რაც იქნება მეურნეობის განკარგულებაში სამეურნეო გეგმის შესასრულებლად.

საწარმოს დაწვრილებით აქვს ჩამოყალიბებული სამეურ-
ნეო გეგმა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების
აღნიშვნით. საწარმო ყოველდღიურად ისახავს გეგმის შეს-
რულებას მუხლობრივად: რა იყო გათვალისწინებული სამეურ-
ნეო გეგმით, რა გააკეთა და რა უნდა გააკეთოს. სად აქვს
ადგილი გარღვევას. ჩამორჩენას და რას უნდა მიექცეს გან-
საკუთრებული ყურადღება.

სამეურნეო გეგმის შესრულების პროცესში ადგილი აქვს
საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდის ელემენტების ბრუნვას.
საზოგადოებრივ საწარმოო ფონდების ელემენტები დაწვრილე-
ბით აქვს საწარმოს ჩამოყალიბებული აგრეთვე რაოდენობრივ
და თვისობრივ მაჩვენებლებში. ამ ფონდების ბრუნვაც უნდა
აისახოს ქაღალდზე: რა სახის ფონდი, რა რაოდენობისა იყო
საწარმოს განკარგულებაში თავიდან, რა ცვლილებები განიცადა
საწარმოო ფონდის ელემენტებმა სამეურნეო გეგმის შესრულე-
ბის პროცესში და როგორი აქვს აღნიშნული ფონდების უკანას
კნელი სახე.

აღნიშნული ჩანაწერები რომ წარმოვიდგინოთ საკავშირო
მასშტაბით., ის ჩვენ გვეტყვის, თუ რომელ სამეურნეო დარგში
როდის რა სამეურნეო საშუალებები იმყოფება, რომელ სამე-
ურნეო დარგში, რომელ საწარმოში, როდის რა სამეურნეო საქ-
მიანობას ქონდა ადგილი და როგორ მიმდინარეობს გეგმის
შესრულების საქმე სხვადასხვა დარგში და სხვადასხვა
საწარმოში.

ეს არის სამეურნეო საშუალებათა და სამეურნეო
პროცეს ების აღრიცხვა.

ამგვარად აღრიცხვა ნიშნავს სამეურნეო საშვალებათა და სამეურნეო პროცესების ასახვას დროსა და სივრცეში რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლებით.

მაგ. შრომის აღრიცხვა კოლმეურნეობაში ნიშნავს კოლმეურნეობის წევრთა მიერ დახარჯული შრომის ჩაწერას განსაზღვრული წინდაწინ გამომუშავებული ხერხით, საიდანაც ჩვენ ყოველთვის გვეცოდინება ვინ როდის რა საქმეზე იმუშავა, რამდენი გამოიმუშავა და როგორ გამოიმუშავა. აღნიშნული ცნობები დაგროვილი კოლმეურნეობის მასშტაბით იძლევა კოლმეურნეობაში შრომითი დანახარჯების სურათს. იგივე ცნობები განსაზღვრული რაიონის მასშტაბით, რომელშიაც რამოდენიმე კოლმეურნეობა შედის, იძლევა რაიონის სურათს და ასე შემდეგ.

მოსახლეობის აღრიცხვა ნიშნავს მოსახლეობის და მოსახლეობაში მომხდარი ცვლილებების ჩაწერას განსაზღვრული მაჩვენებლებით, საიდანაც ჩვენ ყოველთვის ვ იცით რამდენი ქალი, თუ კაცი დაიბადა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში რამდენი მოკვდა, რამდენი მოვიდა, რამდენი წავიდა, და სხვა და სხვა.

2 აღრიცხვის კლასობრივი ხასიათი.

აღრიცხვის საშუალებით ადამიანი აძლევს სამეურნეო საქმიანობას გონივრულსა და მიზანშეწონილ მიმართულებას. მაგრამ მიზანშეწონილობა პირობითი ცნებაა. მიზანშეწონილობა იმ მიზნებისაგან მომდინარეობს, რომლებსაც ჩვენ ვისახავთ. მაშასადამე აღრიცხვაც, სხვადა

სხვა გვარად გამოყენება, სხვადასხვაგვარად მოიმარჯვება იმის მიხედვით, თუ რა მიზნები გვაქვს დასახული, რა მოთხოვნილებებს ვუყენებთ აღრიცხვას.

თვითეული ხანისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიური სტრუქტურა რაც განსაზღვრული კლასის ბატონობას გამოხატავს. კაპიტალისტების კლასი, ხოლო სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდში ბატონობს მუშათა კლასი.

თვითეული კლასი სამეურნეო საქმიანობას აძლევს განსაზღვრულ მიმართულებას, გამოდის ან საქმიანობისაგან განსაზღვრულ შედეგებს, ესახავს მას განსაზღვრულ მიზნებს - კაპიტალისტურ საზოგადოებაში აღრიცხვისაგან მოითხოვენ მოგების გარკვევას; საბჭოთა სისტემის პირობებში აღრიცხვისაგან მოვითხოვთ ცნობებს სამეურნეო გეგმის შესრულების შესახებ. ამ სხვადასხვა მიზნების შესაფერისად არის მიმართული და აღრიცხვაც.

აღნიშნულიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიყვანოთ: აღრიცხვა, როგორც სამეურნეო საშუალებათა და სამეურნეო პროცესების ასახვის მეთოდი, გამომდინარეობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურისაგან; და, რადგანაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა ყოველთვის განსაზღვრული კლასის ბატონობას გამოხატავს, რომელი კლასიც თავისი კლასობრივი მიზნებისათვის იყენებს აღრიცხვას, აღრიცხვაც უაღრესად კლასობრივ ხასიათს ატარებს.

3. კაპიტალისტური აღრიცხვა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კაპიტალისტური საზოგადოება თავისებურად იყენებს აღრიცხვას, კაპიტალისტურ ურთიერთობას აქვს თავისი კაპიტალისტური აღრიცხვა. კაპიტალისტური აღრიცხვა გამომდინარეობს იმ განსაკუთრებულ მოვლენებისაგან, რაც კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს.

რა განსაკუთრებული მოვლენები ახასიათებს კაპიტალისტურ საზოგადოებას, რაც გავლენას ახდენს აღრიცხვაზე.- პირველა ყოფლისა კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებამდე. ვინც საწარმოო საშუალებებს ფლობს, ბატონობს იმათზე, ვისაც საწარმოო საშუალებები არ გააჩნია; კაპიტალისტები ბატონობენ მუშათა კლასზე. მუშათა კლასის ექსპლოატაციით კაპიტალისტები ითვისებენ ზედმეტ ღირებულებას, ღებულობენ მოგებას, ადიდებენ კაპიტალს. სამეურნეო საქმიანობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში ასულდგმულებს ერთადერთი მიზანი: მოგების მიღება, არავითარი წარმოება, რაგინდ საჭიროც იყოს ის საზოგადოებისათვის, არ შეიძლება მოეწყოს, თუ ის მოგებას არ მისცემს მის პატრონს; და პირიქით, ყოველგვარი წარმოება, რაგინდ მავნებელი იყოს ის საზოგადოებისათვის. შეიძლება მოეწყოს, თუ ის მოგებას მისცემს მის პატრონს.

კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებს ის გარე-მოება, რომ ცალკე სამეურნეო ერთეულები მუშაობენ ერთი-მეორისაგან დამოუკიდებლად. წარმოება მოუწესრიგებელია. ერთმა მწარმოებელმა არ იცის, რას აკეთებს მეორე მწარ-მოებელი. მათ შორის მუდმივი განუწყვეტელი ქიშპობაა, ბრძოლა ბაზრისათვის.

რა განსაკუთრებულ შინაარსს აძლევს აღრიცხვაში კაპიტალისტური საზოგადოების აღნიშნული განსაკუთრე-ბული თვისებები.

როგორც ვთქვით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჩვენ საქმე გვაქვს ცალკე, ერთიმეორისაგან დამოუკიდე-ბელ სამეურნეო ერთეულებთან ამგვარ მეურნეობაში, ცხა-დია, აღრიცხვის ფარგლებიც სამეურნეო ერთეულით განისაზ-ღვრება. მეურნეობის პატრონი ისე დააყენებს აღრიცხვას, როგორც მას სურს; აღრიცხვამ უნდა დააკმაყოფილოს მეურ-ნეობის პატრონის მოთხოვნილება. აღრიცხვის ცნობები ერ-თეულ მეურნეობას არ სცილდება.

კაპიტალისტური აღრიცხვის საგანს შეადგენს კაპიტა-ლის ბრუნვა მეურნეობაში. აღრიცხვამ უნდა მისცეს მწარ-მოებელს ცნობები, რა თანხა იყო თავიდან მოთავსებული მეურნეობაში, რა ცვლილები განიცადა მან მუშაობის პრო-ცესში / ფ + ს - ფ + ფ /, და როგორი არის მისი უკა-ნასკნელი სახე. კაპიტალისტს აინტერესებს, როგორც ზევით იყო აღნიშნული, მხოლოდდამხოლოდ მოგების მიღება. ამის

შესაფერ დავალებას აძლევს ის აღრიცხვას: გაუწიე ანგარიში ჩემ მიერ მოთავსებულ თანხას და ზუსტად გამომირკვიე ჩემ მიერ მოთავსებული ზედმეტი ღირებულება. მაგრამ ეს გამორკვევა უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომ მუშათა კლასმა არ გაიგოს ექსპლოატაციის ნორმა, არ გაიგოს მეურნეობის ნამდვილი მდგომარეობა; და კაპიტალისტური აღრიცხვაც პირნათლად ასრულებს აღნიშნულ დავალებას; ის "ბურუსში ხვევს" /მარქსი/ მეურნეობის ნამდვილ მდგომარეობას; ის გვიხატავს კაპიტალისტურ მეურნეობას ლამაზი ფერებით. ანუ, როგორც ვ.ლენინი ამბობს "აღრიცხვა გამოდის კაპიტალისტურ აღრიცხვას არ შეუძლია იყოს სამეურნეო საშუალებათა და სამეურნეო პროცესების მიუდგომელი ამსახველი. კერძომეურნეობრივი ურთიერთობის პირობებში, როდესაც ცალკე მეურნეობებს შორის საშინელი ქიშპობა და ბრძოლა წარმოებს, მათი მუშაობაც საიდუმლოებით არის მოცული. არსებობს აგრედნოდებული "კომერციული საიდუმლოება", რომელიც ამბობს: რასდროს მოპირდაპირეს, მოქიშპეს არ გააგებიო შენი მეურნეობის მდგომარეობა, მეურნეობის ოპერაციები, მეურნეობის სამოქმედო გეგმები და მიღებული შედეგები. კომერციული საიდუმლოების პირობებში აღრიცხვის ცნობები ყოველთვის შებრუნებით უნდა წაიკითხო. თუ მეურნეობას დიდი მოგება აქვს, ნაკლებს გვიჩვენებს, რომ დიდი

გადასახადები თავიდან აიცილოს; თუ ზარალი აქვს, მოგებას გვიჩვენებს, რომ საზოგადოების თვალში, ბანკებისა და ფირმების წინაშე ნდობა არ დაეკარგოს, კრედიტი არ დაეხუროს. ამის გამო "ვუალირება", ანუ პირბადის აფარება აღრიცხვის აუცილებელი, თანდაყოლილი თვისება არის "კომერციული საიდუმლოების" პირობებში.

დასკვნა: 1. კაპიტალისტური აღრიცხვა არ სცილდება ერთეული მეურნეობის საზღვრებს.

2. კაპიტალისტური აღრიცხვის საგანს შეადგენს კაპიტალის ბრუნვა.

3. კაპიტალისტური აღრიცხვის მიზანს შეადგენს მწარმოებლის მოგების გამორკვევა.

4. კაპიტალისტური აღრიცხვა ფარავს მუშათა ექსპლოატაციას მუშათა მასებისაგან..

5. კაპიტალისტური აღრიცხვა ყალბ ცნობებს იძლევა მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, თუმცა თავისთვის კაპიტალისტს ყოველთვის ნამდვილი ცნობები აქვს.

6. კაპიტალისტური აღრიცხვა ცდილობს ლამაზი ფერებით დაგვიხატოს კაპიტალისტური წყობილება და ამ გზით ხელს უწყობს მის განმტკიცებასა და გაძლიერებას.

4. სოციალისტური აღრიცხვა.

როგორც ითქვა, კაპიტალისტური აღრიცხვა გამომდინარეობს კაპიტალისტური ურთიერთობისაგან. სოციალისტური აღრიცხვა, მაშასადამე, პირმშო შვილია სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის.

რა განსაკუთრებული თვისებები ახასიათებს სოციალისტურ მეურნეობას, რაც გავლენას ახდენს აღრიცხვაზე.

სოციალისტურ მეურნეობაში საწარმოო საშუალებები განსაზოგადოებულია. /კონსტ. მუხ. N 4,/ ადამიანის მიერ ადამიანის გაყვლეფის შესაძლებლობა ჩვენში მოსპობილია. მოგება, როგორც ეკონომიური კატეგორია, აღარ არსებობს. სამეურნეო საქმიანობის მიზანი არის არა მოგების მიღება, არამედ გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის საფუძველზე მშრომელთა მომსახურეობა.

სოციალისტურ მეურნეობას ახასიათებს გეგმიანობა. წინააღმდეგ კაპიტალისტური ანარქიისა, ჩვენ გვაქვს სახალხო მეურნეობის ერთი მთლიანი გეგმა. თითეული ცალკე სამეურნეო ერთეული წარმოადგენს სახალხო მეურნეობის პატარა უჯრედს, რომელიც ასრულებს მთლიანი გეგმის განსაზღვრულ განაკვეთს. ამის გამო ერთეული მეურნეობით არ განისაზღვრება სოციალისტური აღრიცხვის სარბიელი, არამედ აღრიცხვა ღებულობს მთელი სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ხასიათს. "აღრიცხვა უნდა გადაიქცეს პროდუქტების წარმოებისა და განაწილების სახელმწიფოებრივ

აღრიცხვაა", ამბობს ამხ. ლენინი. მთლიანი გეგმა მთლიან აღრიცხვას თხოულობს.

ჩვენ ვთქვით, რომ კაპიტალისტურ მეურნეობაში აღრიცხვის საგანს შეადგენს კაპიტალის მიმოქცევა. სოციალისტურ მეურნეობაში აღრიცხვის საგანს შეადგენს სამეურნეო ფონდების ელემენტები სამეურნეო გეგმის შესრულების პროცესში. სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია სამეურნეო საშვალებები და სამეურნეო პროცესები. სამეურნეო გეგმის ერთად ერთი მიზანია სახალხო გეგმის შესრულება და აღრიცხვაც მას უწევს დახმარებას. აღრიცხვა იღებს სამეურნეო გეგმას, უწევს ანგარიშს გეგმით გათვალისწინებულ სამეურნეო საშუალებებსა და სამეურნეო ოპერაციებს, კვალდაკვალ მისდევს გეგმის თანდათანობით შესრულებას და გეგმიდან გადახვევისა და გეგმის არ შესრულების შემთხვევის დროს სიგნალიზაციის როლს თამაშობს.

კაპიტალისტური აღრიცხვის მიზანია მოგების გამორკვევა. კაპიტალისტი აწარმოებს აღრიცხვას იმ მიზნით, რომ მუდამ კურსში იყოს — რა მოუვიდა მის მიერ მეურნეობაში მოთავსებულ სამეურნეო საშუალებებს, გაიზარდა თუ შემცირდა ის.

სოციალისტური აღრიცხვის მიზანია გეგმის შესრულების გამორკვევა. ჩვენ ვაწარმოებთ აღრიცხვას იმ მიზნით, რომ მუდამ კურსში ვიყოთ —რა მოსდის ჩვენს სა-

მეურნეო გეგმას, როგორ სრულდება ის, რომ გარღვევის თითოეულ შემთხვევაში მივიღოთ საჭირო ზომები მდგომა-რეობის გამოსასწორებლად.

კაპიტალისტური აღრიცხვა ფარავს მუშათა ექს-პლოატაციას მუშათა მასებისაგან; სოციალისტური აღრიც-ხვა, პირიქით, საშუალებას აძლევს მუშათა მასებს სრუ-ლი წარმოდგენა იქონიონ მეურნეობის სამეურნეო საქმია-ნობის შესახებ, აქტიური მონაწილენი იყვნენ ამ საქმია-ნობის და სოც.-შეჯიბრისა, დამკვრელობის და სტახანოვური მეთოდის საშუალებით, ხელი შეუწყონ სამეურნეო გეგმის შე სრულებას.

სოციალისტურ მეურნეობაში კომერციული საიდუმლოება არ არსებობს, როგორც ითქვა, ჩვენ ერთი მთლიანი მეურ-ნეობა გვაქვს. ცალკე სამეურნეო ერთეულები მთლიანი მეურნეობის ნაწილებია. ცალკე სამეურნეო ერთეულებს შო-რის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მეტოქე-ობა. ამის გამო ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებს დასა-მალავიც არაფერი აქვთ. სამეურნეო ერთეულების მიერ სა-წარმოო გეგმის შესრულების ცნობები გაზეთებში ცხადდება ყოველდღიურად. ეს ცნობები არის აღრიცხვის მიერ მი-წოდებული ზუსტი ცნობები. მაშასადამე, სოციალისტურ მე-ურნეობაში არ არის საფუძველი აღრიცხვის გაყალბების, სადაც ჩვენ კაპიტალისტურ მეურნეობაში ვხედავთ. ჩვენი აღრიცხვა მეურნეობის სამეურნეო საშუალებათა და სამეურ-ნეო პროცესების ფოტოგრაფიული სურათია, ის უნდა იყოს

საწარმოო გეგმის შესრულების ბარომეტრი.

ამგვარად, დასკვნა:

1. სოციალისტური აღრიცხვა უნივერსალურ ხასიათს ატარებს. მისი საზღვრები არ განისაზღვრება ერთეული მეურ-ნეობით.

2. სოციალისტური აღრიცხვის საგანს შეადგენს სა-მეურნეო ფონდები სამეურნეო გეგმის შესრულების პროცესში.

3. სოციალისტური აღრიცხვის მიზანი არის მოგვცეს ცნობები გეგმის შესრულების შესახებ, ითამაშოს სიგნალი-ზატორის როლი გეგმის არ შესრულების შემთხვევაში.

4. სოციალისტური აღრიცხვა იძლევა სამეურნეო-სა-შუალებათა და სამეურნეო პროცესების ნამდვილ ცნობებს.

5. მაჩვენებლები ნატურალური და ფულადი.

როგორც ვხთქვით, ამა თუ იმ მოვლენის აღრიცხვა ნიშ-ნავს ამ მოვლენის ასახვას დროსა და სივრცეში წინადაწინ გამომუშავებული მაჩვენებლების მიხედვით -თვითეული მაჩ-ვენებელი რაღაც საზომშია გამოხატული. მაგ. შრომის ნაყო-ფიერების ზრდის გამოსახატავად უნდა გვქონდეს ცნობები ერთი მხრით დახარჯული დროის შესახებ, რაც რაიმე საზომში იქნება მიცემული-საათი, დღე, თვე; მეორე მხრით უნდა გვქონდეს ცნობები გამომუშავების შესახებ, რაც აგრეთვე რაიმე საზომში იქნება მოცემული ცალი, მეტრი, კილო, მა-ნეთი, და სხვა.

მთავარი მაჩვენებელი მეურნეობის დასახასიათებლად არის ის თუ როგორ ასრულებს მეურნეობა სამეურნეო გეგმას. მაგრამ სამეურნეო გეგმა მთელი რიგ სხვადასხვა მაჩვენებლებისაგან შესდგება. პირველი პირობა გეგმის შესასრულებლად ის არის, რომ მაჩვენებლები ორგანიულად უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან; ერთი მაჩვენებლები უნდა გამომდინარეობდეს მეორე მაჩვენებლისაგან, რომ მაჩვენებელთა შორის უნდა არსებობდეს მთლიანობა. მიუხედავად გეგმის ასეთი აგებისა, მეურნეობა ხშირად ფაქტიურად ერთ მაჩვენებელს ასრულებს, ხოლო მეორე მაჩვენებელს ვერ ასრულებს. ფაბრიკის მუშაობას მაგ. ახასიათებს პროდუქციის გამომვება რაოდენობრივად, ხარისხობრივად და ფულად გამოხატულებაში. რაოდენობრივად ფაბრიკამ გეგმა შეასრულა, მაგრამ ხარისხობრივად ვერ შეასრულა რაოდენობა შეიძლება იყოს გამოხატული მეტრებში, კილოგრამებში, ყალებში, ცენტნერებში, ტონებში და სხვა. ნამუშავარი დრო როგორც ვსთქვათ, შეიძლება იყოს გამოხატული დღეებში, საათებში. დღეები შეიძლება იყოს კაც-დღე, შრომა-დღე, კაც-საათი, დაზგა-საათი.

შრომა დღე ეწოდება გამომუშავების განსაზღვრულ ნორმას, რაც უნდა იქნას შესრულებული ერთი დღის განმავლობაში. ეს ნორმა ფაქტიურად შეიძლება შესრულებულ იქნას ნახევარი დღის განმავლობაში. შემსრულებელს მთელი დღის მუშაობა ჩაეთვლება ორ შრომა-დღეთ. შეიძლება ნორმის შესრულებას ორი დღე მოანდომოთ. ორი დღის მუშაობა ჩაგეთვლებათ ერთ შრომა დღეთ. შრომა დღეების ანგარიში შემოღებუ-

ლია კოლმეურნეობაში.

კაც.დღე ეწოდება ერთი კაცის მუშაობას ერთ დღეს. გეგმის შესადგენად, მაგალითად, გვინდა ვივარაუდოთ რამდენი კაც-დღე არის ფაბრიკის განკარგულებაში ერთი თვის განმავლობაში. მუშების რაოდენობა, ვთქვათ, 100 უნდა გავამრავლოთ თვეში სამუშაო დღეების რაოდენობაზე 24-ზე.. მივიღებთ 2400 კაც-დღეს. იმის გასაგებად, თუ რამდენი კაც-დღე არის ნამუშევარი ფაქტიურად, უნდა შევაერთოთ თითეული მუშის მიერ ნამუშევარი დღეების რაოდენობა; მაგალითად, ერთმა მუშამ ერთი თვის განმავლობაში იმუშავა 24 დღე, მეორემ 19 დღე, მესამემ 23 დღე, და ასე ბოლომდის. სამივე მუშის კაც-დღეთა რაოდენობა შეადგენს 66-ს. კაც-საათის გამოსაანგარიშებლად კაც-დღეთა რაოდენობა უნდა გავამრავლოთ იმდენზე, რამდენი საათი მუშაობაც არის დღეში შემოღებული ფაბრიკაში; თუ გვაქვს რვა საათიანი სამუშაო დღე, უნდა გავამრავლოთ რვაზე; თუ შვიდსაათიანი სამუშაო დღე გვაქვს, უნდა გავამრავლოთ შვიდზე; მივიღებთ კაც-საათების რაოდენობას. დაზგა-საათებისაც ასევე გამოიანგარიშება. დაზგა-საათი არის ერთი დაზგის მუშაობა ერთი საათის განმავლობაში. ნამუშევარი დაზგა-საათების გამოსაანგარიშებლად უნდა შევაერთოთ ყველა დაზგის ნამუშევარი საათი. კაც-საათების რაოდენობა ჩვენ გვეუბნება რამდენად შესრულდა გეგმა, რამდენი საათი უნდა ემუშავათ მუშებს და

რამდენი იმუშავებს; მეორე მხრით, ნამუშევარი კაც-საათების რაოდენობის საშუალებით ჩვენ ვგებულობთ შრომის ნაყოფიერებას; გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა უნდა გავყოთ კაც-საათების რაოდენობაზე და გავიგებთ საშუალოდ ერთი კაცის გამომუშავებას ერთი საათის განმავლობაში. დაზგა საათების რაოდენობა ჩვენ გვეუბნება მანქანების გამოყენებაზე; გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობა გაყოფილი დაზგა-საათების რაოდენობაზე გვეუბნება მანქანების ნაყოფიერების შესახებ.

ამგვარად სხვადასხვა მაჩვენებელთა გამოსახატავათ არსებობს სხვადასხვა საზომი. ერთი მხრით ჩვენ გვაქვს ისეთი საზომები, რაც თავისთავად არსებობს ბუნებაში და რასაც ნატურალურ საზომებს ეძახიან. ასეთი არის მაგალითად საზომები სიგრძის, წონის, რწყვის, ასეთი არის დროს საზომები- საათი, დღე, თვე და სხვა.

მეორე მხრით ჩვენ გვაქვს ფულადი საზომი; ნატურალური საზომი შეიძლება გამოვხატოთ ფულში. მაგალითად, 10 მეტრი ჩითი, ანუ 10 მანეთი. 25 კაც-დღე. ანუ 250 მანეთი, როდესაც მაჩვენებელი ნატურალურ საზომშია გამოხატული, მას უწოდებს ნატურალურ მაჩვენებელს, ხოლო როდესაც მაჩვენებელი ფულშია გამოხატული მას უწოდებენ ფულად მაჩვენებელს.

ე. აღრიცხვის სახეები.

ჩვენ ვთქვით,რომ სამეურნეო აღრიცხვა არის სამეურნეო საშუალებათა და სამეურნეო პროცესების ასახვა და სივრცეში რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებში. ეს ასახვა ხდება მოვლენათა ფიქსაციის საშუალებით. ავიღოთ,მაგალითად,ფაბრიკა. ფაბრიკის აღრიცხვა,მაშასადამე,გულისხმობს ფაბრიკის სამეურნეო პროცესების ფიქსაციას განსაზღვრული წესით,რომლის საშუალებით. ჩვენ უნდა მივიღოთ ფაბრიკის მთელი სამეურნეო საქმიანობა ასახული დროში და სივრცეში. სამეურნეო საქმიანობის ასახვა დროში ნიშნავს ამ საქმიანობის წარმოდგენას დღიურად,თვიურად,კვარტალურად და წლიურად. სამეურნეო საქმიანობის ასახვა სივრცეში ნიშნავს ფაბრიკის ტერიტორიალური ერთეულების საქმიანობის წარმოდგენას, დაწყებული სამუშაო ადგილიდან და გათავებული მთელი ფაბრიკით.

ფაბრიკაში სამეურნეო მოქმედება იწვევს ბევრ სამეურნეო ფაქტს; ამ ფაქტებს აქვს ადგილი ყოველდღიურად და თითოეულ სამუშაო ადგილზე. ასეთები არის: მასალის დახარჯვა,შრომის დახარჯვა,მანქანების მუშაობა, პროდუქციის გამოშვება და სხვა და სხვა. ზევით ჩვენ ვთქვით,რომ აღრიცხვა გეგმიანობას ემსახურება. გეგმიანობა უაღრიცხვოდ წარმოუდგენელია. სამეურნეო გეგმა

უნდა იყოს დაყვანილი სამუშაო ადგილამდის. მაშასადა-
მე,ის სამეურნეო ფაქტები,რომლებიც ზევით დავასახელეთ,
წინდაწინ უნდა იყოს გათვალისწინებული საწარმოო ციკ-
ლში; რამდენი მასალა უნდა დაიხარჯოს ამათუიმ სამუ-
შაო ადგილზე,რამდენი შრომა,რამდენი უნდა იმუშაოს მან-
ქანებმა,რამდენი პროდუქცია უნდა იქნას გამომუშავებული
და სხვა და სხვა. სამუშაო ადგილზე გეგმის შესრულების
შესამოწმებლად საჭიროა თვითეულ სამუშაო ადგილზე ხელ-
ზოდეს მომხდარი ფაქტების ფიქსაცია. დახარჯული მასალა
უნდა ჩაიწეროს დაუყოვნებლივ. თვითოეული მუშის მიერ
ნამუშავარი დრო,გამომუშავებული პროდუქცია და სხვა
და სხვა,ყველაფერი დაუყოვნებლივ უნდა ინერებოდეს;
მაგრამ ინერებოდეს უნდა გეგმითი ნორმებთან დაპირის-
პირებით,რათა შეგვეძლოს ფაქტიური მდგომარეობა შევუ-
ფარდოთ გეგმას და თვალყური ვადევნოთ გეგმის ყოველ-
დღიურ შესრულებას. ეს რაის საწარმოო პროცესების ცალ-
კე ელემენტების პირველადი ფიქსაცია. პირველადი აღ-
რიცხვა ცალკე სამუშაო ადგილებზე ჭ ჩაწერილი საწარმოო
ფაქტები გეგმით გათვალისწინებულ ნორმებთან დაპირისპი-
რებით თავს იყრის ბრიგადაში; აქ ჩვენ გვაქვს ცნობები
ყოველდღიურად ბრიგადის მიერ საწარმოო გეგმის შეს-
რულების შესახებ. ბრიგადების ცნობები ყოველდღიურად
თავს იყრის ცეხში. აქ ჩვენ გვაქვს ცნობები ყოველდღი-
ურად ცეხის მიერ საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ.
ცეხებში დაგროვილი ცნობები ყოველდღიურად ქარხნის

მიერ საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ.

სამეურნეო ოპერაციების ჩაწერას მოხდენისთანავე, ნატურალურ მაჩვენებლებით,საიდგანაც ჩვენ სახელდახე-ლოდ შეგვიძლია მივიღოთ ცნობები მომხდარი ფაქტების შესახებ,ეწოდება ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვა.

ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის ცნობები ორმხრივ დამუშავებას განიცდის; ერთი მხრით, გამოიყოფება და დამუშავდება ის ფაქტები,რომელთა ფულზე გადაყვანა შე-საძლებელია. ასეთი ფაქტები ცალცალკე გზნისილება, იმის მიხედვით,თუ რა გავლენა მოახდინა მან სამეურნეო საშუალებათა შემადგენლობაში,მის მოთავსებასა და მის წყაროებში,ასეთი ფაქტები ცალკე ჩაიწერება მეორე ფაქ-ტთან დაპირისპირებით, რომელთანაც პირველი მთლიანობა-შია: ურთმანეთოდ ისინი წარმოუდგენელია; მაგალითად, ივანემ დაამუშავა 5 თავი პროდუქცია. ეს ხუთი თავი პროდუქცია უნდა გადაიყვანოთ ფულზე; ვთქვათ თითო თავის დამუშავებაში მუშას ეძლევა ორი მანეთი; სულ,მაშასა-დამე, ივანეს უნდა მიეცეს 10 მანეთი,პროდუქციის და-მუშავება,როგორც მომხდარი ფაქტი,უნდა ცალკე ჩაიწეროს დაპირისპირებით იმასთან, რომ ამ დამუშავებისათვის ივანეს უნდა მიეცეს 10 მანეთი. პროდუქცია მივიღეთ, მაგრამ მისი ღირებულება უნდა გავცეთ პროდუქციის მი-ღება დაკავშირებულია ფულის გაცემასთან.პროდუქციას ვერ მივიღებთ თუ ფული არ გავეცით; ივანეს ფულს არ

მიეცემთ, თუ პროდუქცია არ დაამუშავა და [illegible]არ შოგვეცა.

აი ამგვარ ორმხრივ დამუშავებაში უნდა გაცარდეს თვითოეული მომხდარი ფაქტი და ისევე უნდა მოხდეს მისი ფიქსაცია. ეს იქნება საბუღალტრო აღრიცხვა.

მამასადამე ასბუღალტრო აღრიცხვას ახასიათებს შემდეგი მომენტები:

1. მომხდარი ფაქტი უნდა გადაიყვანებოდეს ფულ-ზე; ისეთი სამეურნეო ოპერაცია, რომელიც ფულზე არ გა-დაიყვანება, საბუღალტრო აღრიცხვას არ ექვემდებარება.

2. მომხდარ ფაქტში ერთი მოვლენა აუცილებლად უპირისპირდება მეორე მოვლენას, რომელთანაც ის მთლია-ნობაში იმყოფება.

3. თვითოეული მომხდარი ფაქტის ფიქსაცია ხდება ცალკე.

ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის ცნობები მეორე მიმართულებითაც მუშავდება და ჩაიწერება. ამ მიმართუ-ლებით დამუშავების დროს არ აქვს მნიშვნელობა ფულად გამოხატულებას. აქ შეიძლება დამუშავდეს ყოველგვარი მაჩვენებელი, რომელიც გეგმითაა გათვალისწინებული.

ამ მეორე მიმართულებით მომხდარი ფაქტების დროს ცალკე ფაქტის ფიქსაცია არ ხდება. აქ ჩვენ არ გვაინტერესებს, თუ რამდენი პროდუქცია დაამუშავა ივა-ნემ, პეტრემ და პავლემ. აქ ჩვენ გვაინტერესებს რამ-დენი პროდუქცია იქნა დამუშავებული ყველა მუშის მიერ დღის განმავლობაში.

აქ ჩვენ გვაინტერესებს, სახელდობრ, რომელი მუშა გამოცხადდა და რომელი არ გამოცხადდა დღეს სამუშაოზე. ჩვენ გვინტერესებს საერთოდ სამუშაოზე გამოცხადებულთა რაოდენობა.

ცალკე ფაქტების საერთო ჯამი ჩვენ გვაინტერესებს, ერთის მხრით, რომ თვალყური ვადევნოთ გეგმის შესრულებას, ხოლო, მეორე მხრით, რომ კვალდაკვალ მივდიოთ ამ მოვლენის განვითარების დროში და სივრცეში, რომ ერთი მოვლენის განვითარება დავუკავშიროთ მეორე მოვლენის განვითარებას, გამოვნახოთ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირი. სამეურნეო ფაქტების ამგვარ ფიქსაციას სტატისტიკური აღრიცხვა ეწოდება.

ამგვარად, სტატისტიკური აღრიცხვას ახასიათებს შემდეგი მომენტები:

1. აღრიცხვა სწარმოებს როგორც თანხობრივ, ისე ნატურალურ მაჩვენებლებში.

2. სტატისტიკურ აღრიცხვას აინტერესებს არა ცალკე ფაქტები; არამედ კრებადობა.

3. ამ ფაქტების ჯამს, ასახულს დროში /დღე, თვე, კვარტალი, წელი/ და სივრცეში /სხვადასხვა ცეხი/სხვადასხვა ფაბრიკა/, სტატისტიკური აღრიცხვა წარმოადგენს განვითარების პროცესში, რომლითაც ჩვენ საშუალება გვაქვს თვალყური ვადევნოთ მოვლენის განვითარებას, და გამოვარკვიოთ ამ მოვლენის განვითარებისათვის ხელის შემწყობი ან ხელშემშლელი პირობები.

უკანასკნელ დროს დაისვა კითხვა აღრიცხვის აღნიშნული სახეების გაერთიანებისა და ერთიანი სოციალისტური აღრიცხვის მოწყობის შესახებ, როგორც ვთქვით, სამივე სახის აღრიცხვა ემსახურება ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმიანობას. აღრიცხვის ცალკე სახეების ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად მუშაობა ვერ მოგვცემს სასურველ ნაყოფს. საჭიროა მათი ერთმანეთთან დაკავშირება, აღრიცხვის ერთი სისტემის დამუშავება, რომელშიაც სამივე სახის აღრიცხვა პოვებს თავის გამოხატულებას; საჭიროა მათ შორის ფუნქციების განაწილება, რომ აღრიცხვის ერთი სახე ავსებდეს მეორე სახეს, რომ სამივე ერთად ემსახურებოდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმიანობას.

II. საბუღალტრო აღრიცხვის საგანი.

1. სამრეწველო-საწარმოო ფონდები.

როგორც ითქვა, ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობისათვის საჭიროა განსაზღვრული სამეურნეო საშუალება, ანუ სამრეწველო-საწარმოო ფონდი ასე მაგალითად, ფაბრიკის მუშაობისათვის საჭიროა შენობები, მანქანები, იარაღები, საჭირო მასალა, რაც მანქანებისა და მუშახელის საშუალებით გადამუშავდება და პროდუქტად იქცევა; საჭიროა ფული მუშახელისათვის, ან პროდუქტები მუშათა მოსამარაგებლად და სხვა. საბჭოთა სამეურნეო სისტემის პირობებში თანამიმდევარ სოციალისტური ტიპის საწარმოს

აღნიშნული საშუალებები გადაეცემა ხელისუფლების მიერ.

სასოფლო-სამეურნეო არტელებში ჩვენ უნდა გვქონდეს სამურნეო იარაღები, ტრაქტორები, უნდა გვყავდეს მუშა-საქონელი, უნდა გვქონდეს სათესლე მასალა და სხვა. აღნიშნულ სამეურნეო საშუალებებს კოლმეურნეობა ღებულობს ნაწილობრივად წევრებისაგან მათი გაერთიანების დროს, ნაწილობრივად იძენს შემდეგ დაგროვებისაგან და სხვა.

სამომხმარებლო კოოპერაციებს უნდა ქონდეს ფული, რომლითაც ისინი აწარმოებენ სამეურნეო მუშაობას, ყიდვა-გაყიდვას. /კონსტ. მუხ. № 7/.

ამგვარად ყოველგვარ სამეურნეო დაწესებულებას უნდა ქონდეს განსაზღვრული საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდი, რაც შეადგენს მატერიალურ საყრდენს მათ ტექნიკურ-საწარმოო-საფინანსო გეგმის შესასრულებლად.

აღნიშნულ საშუალებებს შორის ჩვენ ხვხედავთ ისეთ საშუალებებს, რაც ემსახურება მეურნეობას ხანგრძლივად; ასეთი არის შენობები, მანქანები, იარაღები და სხვა. იმავე საშუალებებს შორის ჩვენ ვხედავთ ისეთ საშუალებებს, რომლებიც წარმოების ერთ ციკლში ღებულობს მონაწილეობას და ერთბაშად გადადის პროდუქციაში; ასეთი არის ნედლეული მასალა. სამეურნეო გეგმის შესრულების დროს საზოგადოებრივ საწარმოო ფონდი მუდამ მოძრაობს განიცდ[illegible] მასალა გადამუშავდა, ფული ხელფასის სახით მიეცა მუშებს,

ფული გაიყა აგრეთვე სხვადასხვა ხარჯებში, რის შემდეგ მივიღეთ პროდუქცია. პროდუქცია გაიყიდა და ფული იქნა შეტანილი ბანკში ჩვენს ანგარიშზე. შემდეგ ვიყიდეთ მასალა და ასე დაუსრულებლივ. ასე ბრუნავს სამეურნეო საშვალებები მეურნეობაში. რა კავშირი აქვს სამეურნეო საშუალებათა აღნიშნულ ბრუნვასთან ბუღალტერიას.

როგორც შესავალში ითქვა, ბუხალტერია ასახავს საშუალებათა აღნიშნულ ბრუნვას. ბუხალტერია ფიქსციას უშვრება სამეურნეო საშვალებათა თვითეულ გადასვლას, მათში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებას. ბუღალტერია ჩასწერს მანქანებისა და იარაღების შეძენას, მასალების შეძენას, მასალების დახარჯვას, ხელფასის გადახდას, პროდუქციის მიღებას და სხვა. ბუხჰალტერიის ფარგლები საწარმოო ფონდების ელემენტებით არის განსაზღვრული. ფონდების ელემენტების გარეშე ის არ გადადის მაშასადამე საბჭოთა ბუხჰალტერიის ობიექტს შეადგენს საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდების ელემენტები. აღნიშნული ფონდებისაკენ არის მიმართული ბუხჰალტერიის მუშაობა, და თვითეული ჩანაწერი ბუხჰალტერიაში აუცილებლად ფონდის რომელიმე ელემენტს შეეხება, უკანასკნელის მოძრაობას, ცვალებადობას.

ზევით ჩვენ ვსთქვით, რომ საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდი მეურნეობისათვის მთავარ მატერიალურ საყრდენს შეადგენს სამეურნეო გეგმის შესასრულებლად. სამეურნეო ფონდი იცვლება მუშაობის პროცესში.

"რეპროდუქციის მარქსისეული თეორია გვასწავლის", ამბობს ამხანაგ სტალინი, "რომ თანამედროვე საზოგადოებას არ შეუძლიან განვითარება წლითი წლობით დაგროვების გარეშე, დაგროვება კი შეუძლებელია წლითი წლობით გაფართოებულ რეპროდუქციის გარეშე. ჩვენი მსხვილი ცენტრალიზაციაქმნილი სოციალისტური მრეწველობა ვითარდება გაფართოებული რეპროდუქციის მარქსისეული თეორიის მიხედვით, აქვს თავისი დაგროვება და წინ მიდის გიგანტური ნაბიჯით. /"ლენინიზმის საკითხები" რუს.გამოც. გვ. 548/.

საბჭოთა სამეურნეო სისტემის პირობებში მეურნეობის მუშაობა წარმოადგენს გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის პროცესებს. მაშასადამე, საბჭოთა ბუხჰალტერიული აღრიცხვის უშუალო ამოცანას შეადგენს გაფართობული სოციალისტური რეპროდუქციის პროცესების ასახვა.

2. სამეურნეო უფლებრივი ურთიერთობანი.

ზევით კაპიტალისტური აღრიცხვის განხილვის დროს ჩვენ ვსთქვით რომ კაპიტალისტური აღრიცხვის საგანს შეადგენს ვალდებულებრივი ურთიერთობა კაპიტალისტურ საწარმოს შორის, როგორც ვიცით კაპიტალისტურ მეურნეობაში კრედიტი უაღრესად განვითარებულია, სულ სხვაა საბჭოთა სისტემის პირობებში. კერძო დაკრედიტება სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებს შორის კანონით აკრძალულია. ნისიათ ყიდვა და გაყიდვა.ფულის სესხება და გასესხება არ შეიძლება.ამგვარად, ერთი შეხედვით სამეურნეო ორგა-

ნიშაყიებს შორის ურთიერთობა თითქო აღარ შეიძლება იყოს საშუალებები აღრიცხვის საგანი. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. საკრედიტო რეფორმის თანახმად ყოველგვარი ურთიერთობა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმო ორგანიზაციებს შორის,რაც საწარმოთ საშუალებათა ბრუნვას შეიცავს, უნდა წარმოებდეს სახბანკის საშუალებებით. მეურნეობა ყიდის საქონელს,ფული ბანკში უნდა შეიტანოს მყიდველმა; მეურნეობა ყიდულობს საქონელს,მასალს,ფული ბანკის საშუალებით უნდა გადაუხადოს გამყიდველს. მაგრამ ეს ეხება დასრულებულ ანგარიშსწორებას.საქონლის ყიდვისა და გაყიდვის დროს მყიდველსა და მომწოდებელს შორის ანგარიშები უნდა გასწორდეს ბანკის საშუალებით,მაგრამ არის ისეთი მიღება და გაცემა, რომლითაც ანგარიშები საბოლოოდ არ სწორდება. საწარმოთ ანგარიშებს შორის ხშირად აქვს ადგილი ნაწილ-ნაწილად მიღებას,ან ნაწილ-ნაწილად გადახდას, ასეთ შემთხვევებში თვითეული მიღება დათვითეული გაცემა ბანკის საშუალებით ხდება,მაგრამ აქ საჭირო ანგარიში გაეწიოს, თუ რამდენი მიეცა მიმღებ ორგანიზაციას სულ. ამის ჩაწერას ბანკი არ აწარმოებს. ეს უნდა ჩაიწეროს იმ ორგანიზაციამ, რომელიც იძლევა საწარმოთ საშუალებებს ნაწილ-ნაწილად, და იმ ორგანიზაციამ,რომელიც იმავე საშუალებებს ღებულობს ნაწილ-ნაწილად. მაგალითად,ფაბრიკამ დაუკვეთა ქარხანას მანქანა. ღირებულება ფაბრიკამ უნდა გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად მანქანის ცალკე ნაწილების მიხედვით. ფაბრიკამ პირველად მისცა ქარხანას 5000 მანეთი. ფული გაიცა ბანკის საშუალებით. ეს იმას ნიშნავს,რომ ფაქტიურად ფულს

გაცემა და მიღება არ მომხდარა. მოხდა მხოლოდ ჩანერა ბანკში ორ ადგილზე. ერთი მხრით ბანკმა აღნიშნა, რომ ფაბრიკას ბანკში ფული შეუმცირდა 5000 მ...ხოლო მეორე მხრით ქარხანას ბანკში ფული მოიმატა იმავე რაოდენობით სამეურნეო ურთიერთობა რომ დასრულებული იყოს. ფაბრიკა ჩასწერდა, რომ მან იყიდა მანქანა და გადაიხადა 5000 მან ბანკიდან. ქარხანაც ჩასწერდა, რომ მან გაყიდა მანქანა და მიიღო ფული ბანკში. მაგრამ როგორც ვსთქვით ურთიერთობა ფაბრიკასა და ქარხანას შორის გაცემული ფულით არ დასრულებულა. ფაბრიკამ უნდა ჩასწეროს, რომ მანქანის დამზადების ანგარიშში გადაუხადა ქარხანას 5000 მ.; შემდეგ ჩასწერს აგრეთვე თვითეულ გაცემას მანქანის ანგარიშში, და ამ ჩანაწერების საფუძველზე ბოლოს, როდესაც მანქანის დამზადება დასრულდება, ფაბრიკა იანგარიშებს რამდენი უნდა გადაუხადოს ქარხანას საბოლოო ანგარიშში. ასევე უნდა ქონდეს ჩაწერილი ქარხანასაც ნაწილ-ნაწილად ფულის მიღება.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ბუღალტერიაში აღირიცხება სამეურნეო-უფლებრივი ურთიერთობანი და კავშირი სოციალისტურ სექტორებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს შორის. აღრიცხვა ეხება ისეთ ურთიერთობასა და კავშირს, რომელიც ჯერ არ დასრულდება, რომლის საბოლოო ანგარიშსწორება არ მომხდარა.

3. საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდების შექმნის წყაროები სამეურნეო ორგანიზაციებში.

როგორც ვსთქვით საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდი წარმოადგენს მეურნეობისათვის მთავარ მატერიალურ საყრდენს სამეურნეო გეგმის შესასრულებლად როდესაც მეურნეობა მუშაობას იწყებს. მის განკარგულებაში უნდა იყოს აღნიშნული ფონდი. როდესაც კაპიტალისტი იწყებს სამეურნეო საქმიანობას. მას აქვს საკუთარი კაპიტალი, გარდა ამისა ის აიღებს ბანკებიდან სესხებს, მუშაობის პროცესში კაპიტალისტი ღებულობს ზედმეტ ღირებულებას და ამით ადიდებს თავის კაპიტალს. კაპიტალისტს, მაშასადამე, სამი წყარო აქვს სამეურნეო საქმიანობისათვის საშუალებების დასაგროვებლად; ერთი საკუთარი კაპიტალი, მეორე-სესხები ბანკებიდან და სხვა საწარმოებიდან; მესამე-მოგება.

საბჭოთა ეკონომიკის პირობებში, როგორც ვსთქვით, ცალკე სამეურნეო ერთეული, ცალკე საწარმო შეადგენს ერთ რგოლს სახალხო მეურნეობის მთლიან სისტემაში. ჩვენში კაპიტალისტები არ არსებობენ, როდესაც თანამიმდევარ სოციალისტური ტიპის საწარმო არსდება, მას სახელმწიფო გადასცემს საჭირო სამეურნეო საშუალებებს; როდესაც კოოპერატიული საწარმო არსდება. საჭირო სამეურნეო საშუალებებს წევრები დააგროვებენ. კოლმეურნეობაც აგრეთვე განსაზღვრულ სამეურნეო საშუალებები გროვდება. ჩვენში არ არსებობს კერძო საწარმო; ყოველგვარი საწარმოს სამე-

ურნეო საშუალებები ან სახელმწიფო საკუთრება არის და ან საზოგადოებრივი საკუთრება არის.

"სოციალისტურ საკუთრებას სსრკავშირში აქვს ან სახელმწიფო საკუთრების ფორმა, ან კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმა /ცალკე კოლმეურნეობათა საკუთრება კოოპერატიულ გაერთიანებათა საკუთრება/" 1/.

მაშ რა გზით და რა სახით ღებულობს საბჭოთა ეკონომიკის პირობებში სამეურნეო ორგანიზაცია სამეურნეო საშუალებებს. დავიწყოთ თანამიმდევარისოციალისტური ტიპის საწარმოთაგან.

როგორც ითქვა თანამიმდევრი სოციალისტური ტიპის საწარმოს დაარსებიდანვე გადაეცემა განსაზღვრული სამეურნეო საშუალებები; ერთი მხრით ძირითადი საშუალებები, ხოლო მეორე მხრით საბრუნავი საშუალებები. ძირითადი საშუალებები შეიძლება გადაეცეს ახლად დაარსებულ სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციას შენობებისა და ნაგებობათა 2/ სახით, მანქანების სახით, სხვადასხვა მოწყობილობათა და ინვენტარის სახით და სხვა. საბრუნავი საშუალება შეიძლება გადაეცეს ნედლეულისა და მასალების სახით, რაც თავის მხრით

1/. სტალინური კონსტიტუცია თავი 1. მუხლი 5.

2/ ნაგებობა ეწოდება ისეთ კაპიტალისტურ ნაშენს, რაც არ წარმოადგენს შენობას და რაც აგებულია რაიმე სპეციალური დანიშნულებისათვის.

განიყოფება: ძირითად მასალად, დამხმარე მასალად. გარდა ამისა ახლად დაარსებულ სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციას შეიძლება მიეცეს მიმოქცევის სფეროს სამეურნეო საშუალებები. როგორც არის მზად პროდუქცია, ნაღდი ფული და სხვა.

აღნიშნულ საშუალებები საწარმოს წესდებით არის გათვალისწინებული, რის გამოც მას ეწოდება საწესდებო ფონდი.

გარდა ამისა თანამიმდევარ სოციალისტური ტიპის საწარმოს სამეურნეო გეგმის შესასრულებლად დამატებით შეიძლება მიეცეს სამეურნეო საშუალებები მიზნობრივი გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკრედიტების წესით. გრძელვადიანი დაკრედიტების წესით საწარმოს შეიძლება მიეცეს სამეურნეო საშუალებები კაპიტალისტური დაბანდებისათვის; შენობის აშენებად, წარმოების გაფართოებლად, ვენახის გაშენებლად და სხვა. გრძელვადიანი დაკრედიტებას აქვს [illegible] განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულება.

მოკლევადიანი დაკრედიტების წესით საწარმოს შეიძლება მიეცეს ბანკიდან სესხი საქონლისა და მასალის საზენო დაგროვებისათვის, იგულისხმება შემთხვევა, როდესაც საქონელს აქვს სეზონური ხასიათი; როდესაც საწარმომ უნდა მოამარაგოს საქონელი, ან მასალა უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული სახბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტით.

საწარმოს შეიძლება მიეცეს სესხი ბანკიდან გზაში მყოფ თანხებზე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საწარმო გადაუგზავნის მყიდველს საქონელს აქცეპტის წესით; სანამ საქონელი მიაღწევდეს მყიდველამდე და სანამ მყიდველის მიერ გადახდილ ფულს საწარმო მიიღებდეს, უკანასკნელიდან გადის ის საბრუნავი სახსრები, რომელიც მუდამ უნდა იყოს მის განკარგულებაში. ამის შესავსებად ბანკი აძლევს საწარმოს მოკლევადიან მიზნობრივ სესხს, რასაც ეწოდება სესხი გზაში მყოფ თანხებზე. ამ სესხის ვადა განიაზ-ღვრება იმ დროით, რაც საჭიროა საქონლის მისასვლელად მყიდველამდე და იქიდან ცნობის მისაღებად საქონლის ღი-რებულების ჩარიცხვის შესახებ.

მესამე სახის სესხი, რაც შეიძლება მიეცეს საწარ-მოს, არის სესხი გეგმის გარეშე, როგორც თვით სახელწოდე-ბა გვეუბნება ეს სესხი საწარმოში არ იგეგმება. გეგმის გარეშე სესხი ეძლევა საწარმოს იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე არაჩვეულებრივი მოვლენის გამო, სტიქიური უბედური-ბით, თუ სხვა მიზეზით ირღვევა მეურნეობის საქმიანობის ნორმალური მსვლელობა, როდესაც მაგ. მეურნეობა ვერ ასაღებს საქონელს წყალდიდობის გამო, რკინის გზის მსვლე-ლობის შეფერხების გამო და სხვა ამგვარ შემთხვევებში, როდესაც ფერხდება საქონლის ბრუნვა, საწარმოს აღარ აქვს სახსრები ხელფასის გადასახდელად. ასეთ შემთხვევებში ბანკი აძლევს მეურნეობის სესხს, რასაც ეწოდება სესხი <u>გეგმის გარეშე.</u>

მეურნეობას შეიძლება მიეცეს სამეურნეო საშუალება დაფინანსების წესით მეურნეობის დაფინანსება ეწოდება როდესაც მეურნეობას რაიმე განსაზღვრული დანიშნულებისათვის მიეცემა სამეურნეო საშუალება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. /საკავშირო,რესპუბლიკური, ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან/. დაფინანსების წესით სამეურნეო საშუალება შეიძლება მიეცეს კაპიტალისტური დაბანდებისათვის, წარმოების გასაფორმებლად, ან ზარალის დასაფარავად.

დაფინანსების წესით მიღებულ სამეურნეო საშუალებები ჩვეულებრივად წლის ბოლოს ემატება საწესდებო ფონდს.

საწარმოს განკარგულებაში შეიძლება იყოს სამეურნეო საშუალებები მიღებული გარეშე მეურნეობიდან დაუბრუნებელი სამეურნეო ურთიერთობით. ამის შესახებ იყო თქმული ზევით გვერდი 19.

უკანასკნელად სამეურნეო ორგანიზაციის საშუალებათა წყარო იქნება შიდა სამეურნეო დაგროვება.

ამგვარად თანამედროვე სოციალისტური ტიპის სამრეწველო საწარმო სამეურნეო საშუალებებს ღებულობს:

1. საწესდებო ფონდის სახის სათანადო უწყებიდან.

2. გრძელვადიანი დაკრედიტების წესით ბანკიდან.

3. მოკლევადიანი დაკრედიტების წესით ბანკიდან

ა/ სესხი გეგმით სამენო დაგროვებისათვის

ბ/ სესხი გზაში მყოფ თანხებზე

გ/ სესხი გეგმის გარეშე.

4. დაფინანსების წესით ა/ სახელმწიფო ბიუჯეტიდან

ბ/ ადგილობრივი ბიუჯეტიდან

5. სხვადასხვა ორგანიზაციებიდან დაკვეთების ანგარიშში

6. შიდა სამეურნეო დაგროვება.

რა გზით აგროვებს სამეურნეო საშუალებებს სამომხმარებლო კოოპერაციული ამხანაგობა.

კოოპერაციულ საზოგადოებისათვისაც არსებობს მე-2, მე-3 და მე-6 მუხლებში აღნიშნული წყაროები. კოოპერაციებსაც შეუძლიათ მიიღონ ბანკებიდან სესხები, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი; კოოპერაციები ქმნიან სოციალისტურ დაგროვებას.

გარდა ამისა კოოპერაციები წევრებიდან აგროვებენ საპაიო ფონდს. საპაიო ფონდი კოოპერაციებში ისეთივე როლს თამაშობს, როგორც საწესდებო ფონდი თანამიმდევარ სოციალისტური ტიპის საწარმოში. კოოპერაციები აგროვებენ მოსახლეობისაგან ანაბრებს ანაბრები შეიძლება შეიტანონ წევრებმა კოოპერაციაში ან პროდუქცების მომარაგების ანგარიშში, ან შესანახათ. ორივე შემთხვევაში კოოპერაციის განკარგულებაში გროვდება განსაზღვრული სამეურნეო საშუალება.

სასოფლო-სამეურნეო არტელებში /კოლმეურნეობებში/ სამეურნეო საშუალებები პირველად იქნება კოლმეურნეობაში გაერთიანებულ წევრთა საწარმოო საშუალებების განსაზოგადოების წესით, განსაზოგადოება ხდება სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა, მანქანების, მუშასაქონლისა და სხვათა. გარდა ამისა წევრს შეაქვს კოლმეურნეობაში აგრეთვე საწევრო შესატანი ფულის სახით. შემდეგ მუშაობის პროცესში კოლმეურნეობას შეუძლია აიღოს სესხი ბანკიდან.

კოლმეურნეობები ყოველწლიური დაგროვების გზით ქმნიან აგრეთვე ახალ სამეურნეო საშუალებებს.

III. საბჭოთა საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდი

I. საბალანსო მეთოდი, ბალანსი

როგორც ზევით ითქვა თვითეულ სამეურნეო ერთეულს ეძლევა შესასრულებლად განსაზღვრული დავალება, განსაზღვრული განაკვეთი, რაც ამოღებულია მთლიანი სახალხო მეურნეობრივი გეგმიდან. სამეურნეო გეგმის შესასრულებლად მეურნეობას ეძლევა საჭირო სამეურნეო საშუალებებიც. ჩვენ გავარჩიეთ სამეურნეო საშუალებათა სახეები, ანუ კითხვა იმის შესახებ, თუ რაში შეიძლება ქონდეს მეურნეობას მოთავსებული მიღებული სამეურნეო საშუალებები. მეორე მხრით ჩვენ გავარჩიეთ, თუ როგორი წყაროებიდან, რა ფორმით და რა დანიშნულებისათვის შეიძლება ქონდეს მეურნეობას მიღებული სამეურნეო საშუალებები.

მეურნეობის სამეურნეო საშუალებათა მდგომარეობის წარმოსადგენად და მეურნეობის მუშაობის შედეგის გასაგებად აუცილებელია ზემოაღნიშნული ორი მხარე ერთმანეთს დაუპირისპირით. სამეურნეო საშუალებათა მოთავსება და სამეურნეო საშუალებათა წყაროები ურთიერთ დაკავშირებულ მომენტებს წარმოადგენს. ქარხანამ მიიღო ტრესტისაგან ერთი მილიონი მანეთი და შეიძინა მანქანები. ქარხნის სამეურნეო საშუალების, მანქანების წყაროთ ითვლება ტრესტი; ტრესტიდან მიღებული სამეურნეო საშუალება ქარხანამ მოათავსა მანქანებში. ამგვარად მოთავსებისა და წყაროს დაპირისპირება გვაძლევს მთლიანობას. მაგ. ჩვენ გვინდა წარმოვიდგინოთ ქარხნის სამეურნეო საშუალებათა მდგომარეობა. გამოვარკვიეთ, რომ მას აქვს ძირითადი საშუალებები /შენობები, მანქანები, იარაღები/ 1.000.000 მანეთის. მასალები 200.000 მანეთის, და ფულადი საშუალებები 50.000 მანეთის. ამგვარად ქარხნის სამეურნეო საშუალებები შეადგენს 1.250.000 მანეთს. მხოლოდ ამ ცნობების საფუძველზე ჩვენ არ შეგვიძლია მთლიანი სურათის მიღება. ვიცით, რომ ქარხნის განკარგულებაში არის სამეურნეო საშუალებები 1.250.000 მანეთის.

აღნიშნული სამეურნეო საშუალება შეიძლება ხანგრძლივად იყოს მიმაგრებული მეურნეობაზე, მთლიანად შეადგენს საწესდებო ფონდს ამ შემთხვევაში მეურნეობის მდგომარეობა უფრო კარგია. მას აქვს საკუთარი ძირითადიც საშუალებებიც და საბრუნავი საშუალებებიც.

შეიძლება მეორე გვარი მდგომარეობაც. აღნიშნული 1.250.000 მანეთიდან მეურნეობაზე მიმაგრებული, ანუ სანესლებო ფონდი შეიძლება შეადგენდეს 1.1000.000 მანეთს; დანარჩენი 150.000 მანეთი არის მოკლევადიანი სესხი ბანკიდან. ამ შემთხვევაში მისი მდგომარე-ბა უფრო მძიმეა. მას აქვს საკუთარი საბრუნავი საშუალება 100.000 მანეთი.

შეიძლება კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა ქონდეს მეურნეობას. აღნიშნული საშუალებიდან სანესლებო ფონდს შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ 900.000 მანეთი. ამშემთხვევაში მეურნეობას არა თუ არ აქვს საკუთარი საბრუნავი საშუალება, ძირითად საშუალებებშიაც მოუთავსებია 100.000 მანეთი ბანკიდან აღებული სესხი.

ბოლოს შეიძლება ასეთი მდგომარეობა იყოს: დაარსებისას მიეცა მეურნეობას სანესლებო ფონდი 1.000.000 მანეთი. ეხლა მას აქვს 1.250.000 მანეთი. მაშასადამე მას მიუღია ხოყდაგროვება 250.000 მანეთი. ან შეიძლება პირიქით იყოს, წლის დასაწყისში ქონდა მეტი სამეურნეო საშუალება, ეხლა ნაკლები აქვს მას უზარალია.

აღნიშნული მაგალითები ამტკიცებს რომ მეურნეობის მდგომარეობის ნათელსაყოფად არ კმარა მარტო იმის ცოდნა, თუ რა სახის სამეურნეო საშუალებები იმყოფება მეურნეობის განკარგულებაში. სამეურნეო საშუალებათა მოთავსების სახეებს ჩვენ აუცილებლად

უნდა დავუპირისპიროთ, თუ საიდან არის შემოსული მეურნეობაში ეს სახსრები, რა ფორმით და რა დანიშნულებისათვის.

ამგვარი დაპირისპირების დროს სამეურნეო სახსრებათა მოთავსება და მისი წყაროები უნდა იყოს გამოხატული ერთსა და იმავე საზომში.

ამ შემთხვევაში ჩვენ დავუპირისპირეთ ერთმანეთს ორი ურთიერთდაკავშირებული მომენტები: სამეურნეო სახსრებათა მოთავსება და მისი წყაროები. დაპირისპირებას ვაწარმოებთ რაოდენობრივი გამოხატულებით ფულად მაჩვენებელში. დაპირისპირებამ მოგვცა მთლიანი სურათი მეურნეობის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.

ამგვარ დაპირისპირებაში მდგომარეობს საბალანსო მეთოდი.

ავიღოთ მეორე შემთხვევა. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს აქვს სახალხო მეურნეობის გეგმა. ამ გეგმის შესასრულებლად საჭიროა მუშა-ხელის განსაზღვრული რაოდენობა. ეს მუშა-ხელი ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს. იმის გამოსარკვევად, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა საწარმოო ძალების მხრით. საკმარისია ჩვენი საწარმოო ძალები სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად. თუ არ არის საკმარისი, ან შეიძლება მეტი იყოს საჭირო რაოდენობაზე, ამის გამოსარკვევად ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ერთმანეთს ორი ურთიერთ დაკავშირებული მომენტი. ერთი მხრით საჭირო მუშა ხელის რაოდენობა, და მეორე მხრით

არსებული მუშახელის რაოდენობა. აღნიშნული მომენტები ცალ-ცალკე აღებული არ იძლევა მთლიან სურათს ჩვენი საწარმოო ძალების შესახებ. მაგ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში გვყავს 500.000 მუშახელი, რა მდგომარეობაში ყოფილა საქართველო მუშახელის მხრივ. -არ ვიცით. ეს გვეცოდინება მაშინ, როდესაც არსებული მუშახელის რაოდენობას -500.000 კაცს დაუპირისპირებს საქართველოს სახალხო მეურნეობის გეგმის შეასასრულებლად საჭირო მუშა-ხელის რაოდენობას. ვსთქვათ, სამეურნეო გეგმების შესასრულებლად ჩვენში საჭიროა 600.000 კაცი. ამგვარად, ქვყავს 500.000 მუშა-ხელი; გვესაჭიროება 600000 კაცი. მდგომარეობა ნათელია; ჩვენ გვაქვს მუშა-ხელის დეფიციტი 100.000 კაცი.

ამ შემთხვევაშიაც ჩვენ მივმართედ საბალანსო მეთოდს. ჩვენ დავუპირისპირეთ ერთმანეთს არსებული მუშახელისა და საჭირო მუშა-ხელის რაოდენობები. დაპირისპირება ვაწარმოეთ რაოდენობრივად კაცებში.

მაშასადამე, საბალანსო მეთოდი მდგომარეობს ურთიერთ დაკავშირებული მომენტების დაპირისპირებაში რაოდენობრივი გამოხატულებით, რომელი დაპირისპირებაც იძლევა მთლიანობას. საბალანსო მეთოდის დამახასიათებელია:

1/ დაპირისპირება ურთიერთდაკავშირებული მომენტების

2. დაპირისპირება რაოდენობრივი გამოხატულებით /რა მაჩვენებელიც იყოს სულ ერთია/.

3. დაპირისპირების შედეგად ვღებულობთ მელიანობას.

რომელსაც ამა თუ იმ მდგომარეობის გამოსარკვევად ჩვენ მივმართავთ საბალანსო მეთოდს, ვღებულობთ ბალანს.

რომელსაც მეურნეობის განკარგულებაში არსებულ სამეურნეო საშუალებათა მოთავსების სახეებს ჩვენ დაუპირისპირებთ ამავე საშუალებათ წყაროებს, მივიღეთ საბუღალტრო ბალანსი. ასეთ ბალანს ეწოდება ნაშთების ბალანსი.

რომელსაც საწარმოო ძალთა მდგომარეობის ნათელსაყოფად მუშა-ხელის არსებულ რაოდენობა ჩვენ დაუპირისპირეთ მუშახელის საჭირო რაოდენობას, მივიღეთ შრომის ბალანსი.

საბალანსო მეთოდს მიმართავენ აგრეთვე ბიუჯეტის შედგენის დროს შემოსავალი უნდა დაპირისპირონ მასთან ურთიერთ დაკავშირებულ მომენტს -გასავალს, ხარჯებს. ასეთი დაპირისპირების შედეგად ვღებულობთ საბიუჯეტო ბალანსს.

ჩვენ გვინდა ნარმოვიდგინოთ თუ რამდენად უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობა პურეულით. ვიცით, რომ პურის მოსავალი შეადგენს 5.000.000 ცენტნერს. მხოლოდ ამის ცოდნა არ გვაძლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ მოსახლეობის უზრუნველყოფა პურეულით. აღნიშნული კითხვა რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, უნდა მივმართოთ საბალანსო მეთოდს. უნდა დაუპირისპიროთ ერთმანეთს ერთი მხრით პურეულის მოსავლის რაოდენობა, ხოლო მეორე მხრით პურეულის ის რაოდენობა, რაც საჭიროა მოსახლეობის გამოსაკ-

ვებად. წარმოვიდგინოთ, რომ მოსახლეობის გამოსაკვებად საჭიროა 4.000.000 ცენტნერი პური. მაშასადამე, გვაქვს 6.000.000 ცენტნერი; საჭიროა 4.000.000 ცენტნერი. ზედმეტი გვრჩება 1.000.000 ცენტნერი, რაც შეიძლება სხვა რაიონს გადავცეთ. აღნიშნული დაპირისპირებით მიღებულ ბალანსს ეწოდება მარცვლეულის ბალანსი.

მარცვლეულის ბალანსს მიმართავენ გეგმიანობაში.

საბალანსო მეთოდს მიმართავენ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ჩვენი კაპიტალური მშენებლობა სააღმშენებლო მასალით. ფაქტიურად არსებულ სააღმშენებლო მასალას, გამოხატულს განსაზღვრულ საზომში, დაუპირისპირებენ კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო სააღმშენებლო მასალის რაოდენობას. ასეთი დაპირისპირებით ვღებულობთ სააღმშენებლო მასალათა ბალანსს.

ასეთივე არის სათბობი მასალის ბალანსი. ფაქტიურად არსებული სათბობი მასალის რაოდენობას, გამოხატულს განსაზღვრულ საზომში, უნდა დაუპირისპიროთ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სათბობი მასალის რაოდენობა. ამ შემთხვევაში საბალანსო მეთოდს მიმართავენ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ჩვენი სახალხო მეურნეობა სათბობით.

ადგენენ მოწყობილობათა ბალანსს. მოწყობილობათა ბალანსში დაპირისპირებულია არსებული მოწყობილობა და ის მოწყობილობა, რაც საჭიროა სამეურნეო გეგმის შესასრულებლად. მოწყობილობათა ბალანსი გვიჩვენებს

ან მოწყობილობათა დეფექტს, რომელსაც საჭირო იქნება ზომების მიღება მოწყობილობათა შესაკეთებლად, ან მოწყობილობათა სიჭარბეს, რომელსაც საჭირო იქნება ზედმეტი მოწყობილობის ამოღება წარმოებიდან და სხვა წარმოებისათვის გადაცემა.

მიმართავენ ელექტრო-ენერგიის ბალანსს, რომელშიაც დაპირისპირებულია ელექტრო-ენერგიის რაოდენობა და საჭირო რაოდენობა; ლითონის ბალანსში დაპირისპირებულია აგრეთვე ფაქტიურად არსებული ლითონის რაოდენობა და სახარჯო მეურნეობრივი გეგმის შესაბამისად საჭირო ლითონის რაოდენობა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ საბალანსო მეთოდსა და ბალანსს მიმართავენ სხვა დარგებშიაც, რომ ბალანსი და საბალანსო მეთოდი არ არის მხოლოდ ბუღალტერიის სისტემაში, ბუღალტერიის მონოპოლია.

დღევანდლამდე არსებულ ლიტერატურაში არც ერთ ავტორს, არ მოსვლია აზრად ამგვარად განეზოგადებინა ბალანსის ცნება და გამოეყო ის ბუღალტერიიდან.

2. საბუღალტრო ბალანსი /ნაშთების/

ამგვარად, საბალანსო მეთოდს ჩვენ მივმართავთ, რომელსაც ცალკე სამეურნეო ერთეულის, ან გაერთიანებისა და ან მთელი უწყების განკარგულებაში არსებული საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდი ორმხრივი გამოხატულებით

გვინდა წარმოჭიდგინოთ. ერთი მხრით ჩვენ ავსახავთ, თუ რა საშუალებები აქვს, მაგალითად,ფაბრიკას, რაშია ეს სამეურნეო საშუალებები მოთავსებული; მეორე მხრით ავსახავთ საითგან რამდენი სამეურნეო საშუალებები აქვს მიღებული იმავე ფაბრიკას. აქ უპირისპირდება ერთმანეთს ერთი მხრით მეურნეობის განკარგულებაში არსებული საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდების მოთავსება ხოლო მეორე მხრით იმავე ფონდების შექმნის წყაროებით მეურნეობაში.ასეთი დაპირისპირებით ვღებულობთ საბუღალტრო ბალანსს,მაგალითად:ფაბრიკის განკარგულებაში იმყოფება შემდეგი სახის სამეურნეო საშუალებები:

შენობები - 20.000 მანეთის
მანქანები - 30.000 "
მასალა - 17.000 "
ფული ბანკში 5.000

სულ 72.000 მან.

აღნიშნული საშუალებები წარმოადგენს საზოგადოებრივ- საწარმოო ფონდის ელემენტებს,რაც იმყოფება ფაბრიკის განკარგულებაში. ჩვენ ვხედავთ, რომ ფაბრიკის განკარგულებაში სულ იმყოფება 72.000 მანეთის სამეურნეო საშუალებები. ეს არის სამეურნეო საშუალებათა მოთავსება. ამას უნდა დაუპირისპიროთ აღნიშნულ საშუალებათა მოთავსება. ამას უნდა დაუპირისპიროთ აღნიშნულ საშუალებათა წარმოშობის წყაროები. წარმოვიდ-

გინოთ, რომ აღნიშნულ 72.000 მანეთიდან 48.000 მანეთი შეადგენს საწესდებო ფონდს, ანუ ისეთ საშუალებას, რომელიც ხანგრძლივად არის მიმაგრებული ფაბრიკაზე. 9000 მანეთი არის მიღებული ბანკიდან მოკლევადიანი სესხის სახით, ხოლო 15.000 მანეთი არის მიღებული ბანკიდან გრძელვადიანი სესხის სახით. სულ ფაბრიკას მიუღია 72.000 მანეთი. ამგვარად ჩვენ ვიცით ერთი მხრით, თუ რა სახის საშუალებები იმყოფება ფაბრიკის განკარგულებაში, ხოლო მეორე მხრით ვიცით თუ საიდან, რა ფორმით არის საშუალებები გამოყენებული ფაბრიკაზე. როგორც ვთქვით სამეურნეო საშუალებათა მოთავსებისა და სამეურნეო საშუალებათა წყაროების დაპირისპირება იძლევა ბალანსს. საშუალებათა მოთავსებას ეწოდება აქტივი, ხოლო საშუალებათა წყაროს ეწოდება პასივი. ჩვენ მაგალითში აქტივს წარმოადგენს შენობები, მანქანები, მასალა და ნაღდი ფული; პასივს წარმოადგენს მეურნეობაზე ხანგრძლივად მომაგრებული თანხა, მოკლევადიანი სესხი და გრძელვადიანი სესხი ხანგრძლივად მომაგრებულ თანხას როგორც ვიცით საწესდებო ფონდს ეძახიან, რომელსაც მიმაგრება წესდებით არის გათვალისწინებული.

ჩვეულებრივად აქტივსა და პასივს ბალანსში ათავსებენ შემდეგ ნაირად:

ბალანსი 1932 წლის 1 იანვრისათვის

ა ქ ტ ი ვ ი		პ ა ს ი ვ ი	
1. შენობები	20.000	საწესდებო ფონდი	48.000
2. მანქანები და იარაღები.	17.000	მოკლევადიანი სესხი	9.000
3. მ ა ს ა ლ ა	17.000	გრძელვადიანი სესხი.	15.000
4. ნაღდი ფული.	5.000		
სულ აქტივის ჯამი..	72.000	სულ პასივის ჯამი.....	72.000

ამგვარად, ბალანსი წარმოადგენს სამეურნეო საშუალებათა ორმხრივ გამოხატულებას: ერთი მხრით, მოთავსების მიხედვით, რასაც აქტივი ეწოდება, ხოლო, მეორე მხრივ, წყაროს მიხედვით, რასაც პასივი ეწოდება.

ბალანსის ასეთი განმარტება არის საერთო; ასეთი განმარტება შეიძლება მივყეთ როგორც კაპიტალისტურ ბალანსებს, ისე ჩვენს ბალანსებსაც საჭიროა აღნიშნული განმარტების უფრო გაშლა, რომ საბჭოთა ბალანსის განმარტებაში გამოჭვივოდეს მთელი სამეურნეო სისტემა, გეგმიანობა, სახალხო მეურნეობის მთლიანობა და სხ. - ბალანსის განმარტებიდან უნდა ჩნდეს, რომ ჩვენ გვაქვს მთლიანი სახალხო მეურნეობა, რომ სახალხო მეურნეობას აქვს მთლიანი სახალხო გეგმა, რომ მთლიანი სახალხო გეგმა იშლება განაკვეთებად და თითეული განაკვეთი ეძლევა შესასრულებლად

ცალკე სამეურნეო ერთეულს; ბალანსის განმარტებიდან უნდა ჩანდეს, რომ სამეურნეო ერთეული თუმცა მუშობს ცალკე, მაგრამ ის არ არის დამოუკიდებელი მეურნეობა, არამედ შეადგენს მთლიანი სახალხო მეურნეობის ცალკე უჯრედს, პასივის განმარტებიდან უნდა ჩანდეს, რომ მეურნეობას ეძლევა საშუალებები სხვადასხვა წყაროებიდან, როგორც არის ბანკები მოკლევადიანი კრედიტის, გრძელვადიანი კრედიტის ფინსახკომი; რომ სამეურნეო საშუალებები ეძლევა სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

ამის მიხედვით ჩვენ ვღებულობთ ბალანსის შემდეგ განმარტებას: საბჭოთა საბუღალტრო ბალანსი წარმოადგენს სამეურნეო საშუალებათა ორმხრივ ფულად გამოხატულებას; ერთი მხრით, ბალანსი გვიჩვენებს, თუ რაში აქვს მეურნეობას მოთავსებული ის სამეურნეო საშუალებები, რომლებიც იმყოფება მის განკარგულებაში სახალხო მეურნეობის მთლიანი გეგმის განსაზღვრული განაკვეთის შესასრულებლად; მეორე მხრით, ის გვიჩვენებს, თუ რომელი წყაროებიდან, რა ფორმით და რა დანიშნულებისათვის არის გადაცემული მეურნეობაზე სამეურნეო საშუალებები.

სიტყვა "ბალანსი" ქართულად ნიშნავს სასწორის ორ თეფშს. რომლებიც იმყოფება წონასწორობაში. ეს გვიჩვენებს ბალანსის მხოლოდ გარეგნულ თვისებას – აქტივისა და პასივის თანასწორობას. თუ აქტივი გვიჩვენებს რაში

არის მოთავსებული მეურნეობაზე გადაცემული სამეურნეო საშუალებები. ცხადია, ეს ორი გამოხატულება, თუ ერთსა და იმავე საზომშია მოცემული ორთავე, ერთმანეთს უნდა უდრიდეს. როგორც აქტივი ისე პასივი ეხება ერთსა და იმავეს- სამეურნეო საშუალებებს. მაშასადამე, აქტივისა და პასივის თანასწორობა გამომდინარეობს ბალანსის შინაარსისაგან. ჩვენს მაგალითში ფაბრიკის განკარგულებაში იმყოფება სამეურნეო საშუალებები სულ 72.000 მანეთის. თუ რაში არის მოთავსებული აღნიშნული საშუალებები, ამას გვიჩვენებს აქტივი; თუ საიდან და რა ფორმით არის გაცემული ფაბრიკაზე იგივე საშუალებები, ამას გვიჩვენებს პასივი. აქტივი-პასივს.

სამეურნეო საშუალებათა ბალანსში მეურნეობის მიერ მიღებული შედეგები, დაგროვება, თუ ზარალი შეიძლება იყოს ნაჩვენები და შეიძლება არ იყოს.

ავიღოთ კოოპერატივის ბალანსი

ბალანსი / წლის დასაწყისში /

აქტივი		პასივი	
1. მოწყობილობანი	935	საპაიო თანხა..	5.000
2. საქონელი	7745	ძირითადი თანხა-	1.200
3. სალარო	369	სესხი ბანკიდან -	2.000
4. დებიტორები	1.695	კრედიტორები ...	2.544
სულ აქტივი	10.744	სულ პასივი	10.744

ბალანსი გვიჩვენებს, რომ კოოპერატივში მოთავსებული არის წევრების მიერ პაის სახით შემოტანილი თანხებისაგან შექმნილი საპაიო 5.000 მან.; წევრების მიერ შესასვლელი გამოსაღების სახით შეტანილისა და სხვა მოულოდნელი შემოსავლისაგან შექმნილი ძირითადი თანხა 1.200 მან.; ეს ორი თანხა ითვლება ხანგრძლივად მიმაგრებულ საშუალებად; გარდა ამისა ბანკიდან არის მიღებული სესხის სახით 2.000 მანეთი და სხვადასხვა კრედიტორისაგან მიღებული 2.544 მანეთი. კოოპერატივის მიერ მიღებული შედეგი ბალანში ნაჩვენები არ არის.

საოპერაციო პერიოდის განმავლობაში შეიძლება კოოპერატივმა იზარალოს. ზარალი პირველ რიგში კოოპერატივის საპაიო თანხასა და ძირითად თანხას შეეხება. ზარალი იმას ნიშნავს, რომ კოოპერატივმა უფრო მეტი ხარჯი გასწია საოპერაციო პერიოდის განმავლობაში, ვიდრე შემოსავალი მიიღო. საშუალებები შეიძლება მეტი იყოს მის განკარგულებაში წლის ბოლოს, ვიდრე წლის დასაწყისში იყო. მაგრამ ეს იქნება დროებით მიღებული საშუალებები. კოოპერატივის ბალანსს ზარალის შემთხვევაში ექნება შემდეგი სახე.

ბალანსი /წლის ბოლოს/

აქტივი		პასივი	
1. მოწყობილობანი	1.030	საპაიო თანხა ...	5.000
2. საქონელი	11.436	ძირითადი თანხა .	1.200
3. სალარო ~~XXXX~~......	281	სესხი ბანკიდან	7.000
4. ფასიანი ქაღალდები ..	385	კრედიტორები	3.189
5. დებიტორები	2.257		
6. ზარალი	1.000		
ს უ ლ	16.389	ს უ ლ	16.389

ამ ბალანსში საპაიო და ძირითადი თანხები შეტანილია იმავე ოდენობით, როგორიც წლის დასაწყისში იყო, ე.ი. საპაიო 5.000 მან.; ხოლო ძირითადი 1.200 მან. კოოპერატივში მოთავსებული თანხა გაზრდილა წლის დასაწყისთან შედარებით, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ კოოპ ერატივს ბანკიდან მიუღია ახალი სესხი: ქონდა წლის დასაწყისში ბანკიდან მიღებული 2.000 მანეთი; წლის ბოლოს კი აქვს 7.000 მანეთი. ამასთანავე გაზრდილია აგრეთვე კრედიტორებისაგან მიღებული თანხაც. 2.544 მანეთის ნაცვლად წლის ბოლოს ირიცხება კრედიტორებისაგან მიღებული 3.189 მანეთი. აქტივში ჩვენ ვხედავთ ზარალს 1.000 მანეთს. ეს თანხა გამოირკვა შემდეგი გზით: პასივის მუხლები განსხვავებულია. საპაიო და ძირითადი თანხები გასული წლიდან მოდის; ბანკიდან მიღებული სესხი და კრედიტორებისაგან მიღებული ვალი, რასაკვირველია, უკვე

ლია. სულ პასივის მუხლები უდრის 16.389 მან. რომელსაც საშუალებათა მოთავსება ანუ აქტივი გამოვარკვიეთ და ფულში გამოვხატეთ, აღმოჩნდა 15.389 მან. ათასი მანეთი ნაკლები იმაზე, რაც მოთავსებული იყო, მაშასადამე, 1.000 მანეთი გვიზარალია.

ჩვენ შეგვიძლიან ზარალი არ შევიტანოთ ბალანსში კოოპერატივის ზარალი უნდა დაიფაროს ძირითადი თანხით. მაშასადამე, ამის შემდეგ კოოპერატივის ძირითადი თანხა არა 1.200 მან., რომელიც წლის დასაწყისში იყო, არამედ 200 მანეთი. 1.000 მან. გაქრა. ამ შემთხვევაში ჩვენი ბალანსი მიიღებს შემდეგ სახეს:

ბალანსი /წლის ბოლოს/

აქტივი		პასივი	
1. მოწყობილობანი	1.000	1. საპაიო თანხა	5000
2. საქონელი	11.636	2. ძირითადი თანხა	200
3. სალარო	281	3. სესხი ბანკდ.	7.000
4. ფასიანი ქაღალდები ..	385	4. კრედიტორები	3.189
5. კრედიტორები	2.257		
სულ	15.389	სულ	15.389

ამ ბალანსში სამეურნეო საშუალებათა უკანასკნელი სახე სწორად არის მოცემული,მაგრამ მასში არ ჩანს კოოპერატივის მუშაობის შედეგი-დაგროვება,თუ ზარალი. ამ ბალანსიდან არ ჩანს,რომ კოოპერატივს წლის დასაწყისში ქონდა ძირითადი თანხა 1.200 მან.; რომ წლის განმავლობაში მან იზარალა 1.000 მანეთი.

ეხლა ავიღოთ მეორე შემთხვევა, წლის ბოლოს ჩვენ შევაჯამეთ საშუალებათა წყაროები,რომლებიც აღმოჩნდა 16389 მან. /რაც წინა ბალანსებშია მოცემული/. საპაიო და ძირითადი თანხები შეტანილია ბალანსში იგივე,რაც წლის დასწყისში იყო. როდესაც აქტივის ნაწილები გამოვხატეთ ფულში, აღმოჩნდა 17.889 მანეთის. მაშასადამე მეურნეობაში მოგვითავსებია 16.389 მანეთი; უკანასკნელად გვაქვს 1.500 მანეთი მეტი, ე.ი. /17.889 მანეთის. ეს 1.500 მანეთი წარმოადგენს დაგროვებას. კოოპერატივს წლის განმავლობაში დაუგროვებია 1.500 მან.

ბალანსი მიიღებს შემდეგ სახეს:

ბალანსი /წლის ბოლოს/

აქტივი		პასივი	
1. მოწყობილობანი	1.030	1. საპაიო თანხა	5.000
2. საქონელი	12.435	2. ძირითადი თანხა	1200
3. სალარო	281	3. სესხი ბანკიდან	7000
4. ფასიანი ქაღალდები	1.385	4. კრედიტორები	3.189
5. დებიტორები	2.757	5. დაგროვება	1.500
სულ	17.889	სულ	17.889

ამ ბალანსშიაც შეიძლებოდა დაგროვება არ გვეჩვენებია ცალკე მუხლად, არამედ შეგვეერთებინა ის ძირითადი თანხისათვის. მაშინ ბალანსი ვერ მოგვცემდა ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ იყო კოოპერატივის მუშაობის შემდეგი დაგროვების მხრით.

წინა ბალსით, რომელშიაც ზარალი ცალკე არის აღნიშნული, ჩვენ დავინახეთ, რომ კოოპერატივს უზარალია 1.000 მანეთი; მაგრამ მას ქონდა ძირითადი თანხა, რომელმაც დაფარა ზარალი; ზარალმა შთანთქა კოოპერატივის ძირითადი თანხის დიდი ნაწილი 1.000 მანეთი, მაგრამ კოოპერატივს კიდევ დარჩა ძირითადი თანხიდან 200 მანეთი, და საპაიო თანხა სრულად 5.000 მანეთი.

შეიძლება ისეთი მდგომარეობა წარმოვიდგინოთ, რომ კოოპერატივის ზარალმა შთანთქას არა მარტო საპაიო

და ძირითადი თანხები, არამედ კოოპერაციაზე დროებით გადაცემული თანხების ნაწილიც.

წარმოვიდგინოთ, რომ წლის ბოლოს, როდესაც საპაიო და ძირითადი თანხები პირველადი ოდენობით ვიანგარიშეთ, პასივის ჯამი შეადგენს 17.889 მანეთს; მაგრამ, როდესაც სამეურნეობათა მოთავსება ფულში გამოხატეთ. მან შე ადგინა სულ 10.489 მანეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ კოოპერაციას უმარაგია საოპერაციო პერიოდის განმავლობაში 7.400 მანეთი, ბალანსში ეს იქნება ნარჩენები აქციებში, ისე, როგორც აღვნიშნეთ 34- გვერდზე. მაგრამ ეს მარაგი სულ სხვაგვარ მდგომარეობას ქმნის კოოპერაციისათვის. ეს არა უბრალო მარაგი, როგორც ზევით, არამედ ეს არის კოოპერაციის გაკოტრება. კოოპერაციას ქონდა თავისი საპაიო და ძირითადი /5.000+1.200/6.200 მანეთი. იმარაგა კი მან 7.400 მანეთი. მაშასადამე , მან მთანთქა არა მარტო ძირითადი და საპაიო თანხები, არამედ იმ თანხების ნაწილიც, რაც მასზე არის გადაცემული დროებით ბანკისაგან და კრედიტორებისაგან. კოოპერაციას არ აქვს საშუალება დაუბრუნოს კრედიტორებს უკან მთლიანად ის, რაც მათგან მიიღო. კოოპერაციას არ ყოფნის ამისთვის 1.200 მანეთი. ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევაში ხდება კოოპერაციის ლიკვიდაცია. სალიკვიდაციო კომისია შეადგენს ბალანსს, რომელშიაც აღარ იქნება ადგილი საპაიო და ძირითად თანხებს, რად-

გან ასეთები უკვე აღარ არსებობს კოოპერაციისთვის. ბალანსს ექნება შემდეგი სახე:

ბალანსი /წლის ბოლოს/

აქტივი		პასივი	
1. მოწყობილობანი ...	1.036	2. სესხი ბანკიდან	7.000
2. საქონელი	5.036	1. კრედიტორები ..	4.689
3. სალარო	281		
4. ფასიანი ქაღალდები	1.385		
5. დებიტორები	1.200		
6. დეფიციტი	1.200		
სულ	11.689	სულ	11.689

აქტივში ჩნდება ახალი მუხლი დეფიციტის სახელწოდებით. "დეფიციტი" ამ შემთხვევაში გვეუბნება, რომ კოოპერაციას აღარ აქვს საშუალება დაფაროს დროებით ნგადაცემული საშუალებები, ის გაკოტრებულია.

არსებულ საანგარიშო ლიტერატურაში დიდ არევ-დარევას აქვს ადგილი ბალანსის ცნების განმარტების გარშემო.

მე არ შევუდგები ბურჟუაზიული თეორიების განხილვას, რომელთა შეხედულებანი კერძო მეურნეობრივი ურთიერთობის პრინციპებიდან გამომდინარეობს, ან პრინციპების საფუძველზე აგებული და მაშასადამე საბჭოთა ეკონომიკის პირობებში ბალანსისა და საბალანსო აღრიცხვის ასახსნელად გამოუსადეგარია.

ჩვენ განძიხილავთ საბჭოთა კავშირში ორი ავტორის შეხედულებებს, რომლებიც ცნობილნი არიან, როგორც საბჭოთა ავტორები და რომელთა შრომები დაშვებულია სახელმძღვანელოთ საბუღალტრო აღრიცხვის თეორიაში. ესენი არიან პროფესორი კოშკინი და პროფესორი გალპერინი.

პროფესორი კოშკინი თავის წიგნში "ოპერაციულ საბალანსო აღრიცხვა" ურევს ერთმანეთში ბალანსს, საბალანსო მეთოდსა და ბუღალტერიას /საბალანსო აღრიცხვას/ გამოცემა 1933 წ.

"აღრიცხვის ობიექტს წარმოადგენს წარმოების პროცესები, კერძო საწარმოს საშუალებათა მოძრაობა. და ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოების პროცესი და მასთან დაკავშირებულ საწარმოს საშუალებათა მოძრაობა თავის გამოხატულებას პოულობს აღრიცხვაში". 1/. ჭეშმარიტი შეხედულებაა. სამეურნეო საშუალებათა მოძრაობა თავის გამოხატულებას პოულობს აღრიცხვაში, არსებობა აღრიცხვაში /ანგარიშებში/

"ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოების თვითეულ მომენტს ქონდა ბალანსში ორმაგი გამოხატულება" 2/.

1/ კოშკინი -ოპერაც.-საბალანსო აღრიცხვა გამოც. 1933 წ. გვ. 45.

2/ იქავე.

ზემოთ კოშკინი ამბობს რომ საშუალებათა მოძრაობა აღრიცხვაში აისახება, უკანასკნელ წინადადებაში კი მოძრაობის თვითეულ მომენტს ბალანსში აქვს ორმაგი გამოხატულება. ბალანსი და აღრიცხვა ამ წინადადებაში კოშკინის მიერ გაიგივებულია. წარმოების თვითეული მომენტი აისახება არა ბალანსში, არამედ ანგარიშებში საბუღალტრო აღრიცხვა ანგარიშებშია ასახული. ბალანსი მხოლოდ განსაზღვრული მომენტისათვის გვაძლევს სამეურნეო საშუალებათა სურათს.

"აუცილებელია ამგვარად ამ ფაქტის ორმაგი ასახვა ბალანსში".

აქაც ბუღალტერია გაიგივებულია ბალანსთან.

"მაშასადამე ჩვენ უნდა შევცვალოთ ბალანსში, ავსახავთ რა მის ერთი მხრით მოხმარებას, ხოლო მეორე მხრით.....
მისი ღირებულების პროდუქციაში 1/.

ისე გამოდის, თითქო ჩვენ გვიჭირავს ბალანსში ცვლილება და ვღებულობთ ახალ ბალანსს.

"ჩვენ შევეხებით მას მხოლოდ პროდუქციის განაწილების ნაწილში და როგორ აღირიცხება ეს განაწილება ბალანსის მიერ. 3/.

1/ იქავე გვ. 44.
2/ " გვ. 44
3/ იგივე გვ. 46.

გამოდის რომ ბალანსი აღრიცხავს, ბალანსი მომქმედ როლში არის გამოყვანილი.

„აღვნიშნეთ რა ბალანსით სანარმო პროცესის ერთი მხარე-მოხმარება, ამავე დროს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე მისი მეორე მხარე-ნარმოება". 1/

ზევით ბალანსი აღრიცხავდა: უკანასკნელ ნინა-დადებით კი გამოდის, რომ ჩვენ აღვნიშნავთ ბალანსით; ბალანსი კი არ მოქმედებს არამედ ჩვენ ვმოქმედობთ. აქ არეულია ერთმანეთში ბალანსი და საბალანსო მეთოდი. ჩვენ ვიყენებთ საბალანსო მეთოდს და ავსახავთ სამეურნეო ოპერაციებს.

„აღრიცხვის მეთოდათ ჩვენ გვაქვს ბალანსი", „ბალანსი გამოავლინებს დაგროვებას" 2/.

გამოდის, რომ ბალანსი არის აღრიცხვის მეთოდი. ზევით ბალანსი აღრიცხავდა. ბალანსში აისახებოდა სამეურნეო საშუალებათა მოძრაობა- ეხლა კი ის მეთოდი არის შემდეგ ბალანსი გამოავლინებს დაგროვებას.

„მამასადამე აუცილებელია ამ ფაქტის ორმაგი ასახ-ვა ბალანსში" 3/. კოშკინი არ სცილდება ბალანსს.

1/ იქავე გვ. 47.

2/ იქავე გვ. 49.

3/ იქავე გვ. 50.

ბალანსია მისთვის ყველაფერი. მთელი ბუღალტერია მისთვის ბალანსია. კომკინის შეხედულებებზე კიდევ დარჩა ცნობილი ბურჟუაზიული თეორეტიკოსის რუდანოვსკის გავლენა, რომელიც ამბობს, რომ ბალანსი არის მეურნეობა და მეურნეობა არის ბალანსი, რომ ბალანსი ჩვენს გარეშე არსებობს, ის შეგვიძლია ჩვენ მხოლოდ წარმოვიდგინოთ. კომკინის ბალანსიც ყოვლის შემძლეა ბალანსი აღრიცხავს, ბალანსით ჩვენ ავსახავთ. ბალანსი გამოავლინებს დაგროვებას და სხვა და სხვა.

ბალანსი არ არის ბუღალტერია და ბუღალტერია არ არის ბალანსი. ჩვენ შევდივართ წარმოებაში და ვეკითხებით მთავარ ბუღალტერს, რომელმაც კარგად იცის, თუ რა არის ბალანსი: "გაქვთ ბალანსი მზად.-ის გვიპასუხებს: "არა, ჯერ ბალანსი არ მაქვს, ის მექნება ათი დღის შემდეგ". "ბუღალტერიას რომ აწარმოებთ.-რასაკვირველია, ოპერაციები ჩაწერილია ანგარიშებში, მხოლოდ ბალანსი არ მაქვს ჯერ შედგენილი... ბუღალტერის ასეთი პასუხი სავსებით სწურავს ბუღალტერიისა და ბალანსის შინაარსს.

"და ჩვენ ვხედავთ, რომ გაცვლა როგორც რეპროდუქციით პროცესი ისახება აღრიცხვის მიერ" //.

// იქვე გვ. 51.

ზემოთ ამბობდა, რომ აისახება ბალანსის მიერ; ეხლა კი აისახება აღრიცხვის მიერ:

ამგვარად, ხან ბალანსში აისახება, ხან აღრიცხვაში აისახება; ხან ბალანსი აღრიცხავს, ხან ჩვენ აღვრიცხავთ ბალანსით, ხან მეთოდი არის ბალანსი და სხვა.

ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა კიდევ ბევრი ადგილი კომკინის წიგნიდან, საითგანაც მტკიცდება, რომ იმისთვის ბალანსი, აღრიცხვა ბუღალტერია და საბალანსო მეთოდი სინონიმებია.

ცნებათა ასეთი არევ-დარევა რასაკვირველია ხელს უშლის კითხვის გარკვევას;

ჩვენ ვამბობთ: არსებობს საბალანსო მეთოდი, ანუ საბალანსო ხერხი, რომელიც გამოიყენება არა მარტო ბუღალტერიაში, არამედ სტატისტიკაშიაც. საბალანსო მეთოდის გამოყენებით ბუღალტერიაში ვღებულობთ საბუღალტრო ნაშთების ბალანსს; სტატისტიკაში ღებულობენ შრომის ბალანსს, მარცვლეულის ბალანსს, მოწყობილობათა ბალან და სხვა.

საბალანსო მეთოდის გამოყენებით ვღებულობთ საბალანსო აღრიცხვას რომელიც ემყარება დებეტობაზე და კრედიტობაზე.

პროფესორ გალპერინის განმარტებით "ბალანსი არის სოციალისტურ საწარმოთა ფონდების მოძრაობა და მის გეგმის შესრულების შედეგების ასახვისა და კონტროლის ხერხი განზოგადოებულ ფასობრივ მაჩვენებელთა სისტემაში" 1/.

ამ განმარტებით ძნელია ბალანსზე სწორი წარმოდგენის შექმნა. აქაც არეულია ერთმანეთში საბალანსო მეთოდი, ბალანსი და აღრიცხვა.

"ბალანსი არის ხერხი; ამბობს გალპერინი. ხერხი არის არა ბალანსი, არამედ ის რასაც ჩვენ საბალანსო მეთოდს ვეძახით.

_"ბალანსი არის სოციალისტურ საწარმოთა ფონდების ასახვის ხერხი". ასეთი არის საბალანსო მეთოდი და საბალანსო აღრიცხვა და არა ბალანსი.

მთავარი ის არის, რომ ზემოთ აღნიშნული განმარტების შემდეგ გალპერინი გვიჩვენებს ბალანსის სქემას, საითგანაც არ სჩანს ფონდების მოძრაობის ასახვის ხერხი. მის მიერ მოცემული ბალანსი გვაძლევს მხოლოდ ფონდების ორმხრივ გამოხატულებას, ერთი მხრით ფონდების სახეებისა, მოთავსებისა, ხოლო მეორე მხრით ფონდების წყაროების აღნიშვნით.

---

1. გალპერინი-

მხოლოდ ასე გვესმის ჩვენ ნაშთების ბალანსი. ის არის სამეურნეო საშუალებათა ორმხრივი გამოხატულება. ნაშთების ბალანსს ვღებულობთ, როდესაც მივმართავთ საბალანსო მეთოდს, ანუ საბალანსო ხერხს ფონდების ელემენტების ორმხრივად გამოსახატავად, როდესაც უპირისპირებთ ერთმანეთს აქტივს, ანუ მოთავსებას და პასივს ანუ წყაროს.

ასევე ღებულობენ სტატისტიკაში შრომის ბალანსს, როდესაც გამოიყენებენ საბალანსო მეთოდს საწარმოო ძალთ ორმხრივად გამოსახატავად, როდესაც დაუპირისპირებენ ერთი მხრით არსებულ მუშა-ხელს, ხოლო მეორე მხრით საჭირო მუშახელს და სხვა.

3. ბალანსის შედგენა.

ამგვარად საბალანსო მეთოდს ბუღალტერიაში მივმართავთ როდესაც გვინდა სამეურნეო საშუალებებს მივცეთ ორმხრივი გამოხატულება. როდესაც გვინდა სამეურნეო ორგანიზაციის განკარგულებაში არსებულ საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდების მოთავსებისა და წყაროების სახეები ერთმანეთს დაუპირისპიროთ და მეურნეობის ნამდვილი ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა წარმოვიდგინოთ. ამ შემთხვევაში ვადგენთ ნაშთების ბალანსს.

საიდგან ვღებულობთ ნაშთებს.- ბალანსის აქტივში რომ მასალების ნაშთი შევიტანოთ, საჭიროა ეს ნაშთი საიდანმე მივიღოთ.

ბალანსში აღნიშნულია მანქანების ღირებულება. ამ ღირებულების მისაღებად ჩვენ უნდა გვქონდეს მანქანების დაწვრილებითი სია თვითეული მანქანის ღირებულებით და ყველა მანქანის ღირებულების ჯამით. იგივე ითქმის მზა-ნაწარმისა და საქონლის შესახებ. ბალანსის შესადგენად ჩვენ უნდა გვქონდეს მზანაწარმისა და საქონლის დაწვრილებითი სია, რომელშიაც მოცემული იქნება მზანაწარმის თვითეული სახის რაოდენობა, ფასი და საერთო თანხა. მაგალითად, შაქარი 100 ცენტნერი ფასი 300 მანეთი, სულ 30.000 მანეთის.

ასევე უნდა გვქონდეს დაწვრილებითი ცნობები აქტივისა და პასივის თვითეული ნაწილის შესახებ.

ნაშთების ბალანსის აქტივისა და პასივის ნაწილების შესახებ ცნობები შეიძლება მივიღოთ ორი გზით: 1. ინვენტარიზაციის გზით და 2. ჩანაწერებიდან.

ა. ინვენტარიზაცია.

ინვენტარიზაცია სამეურნეო საშუალებათა ფაქტიურ აღწერას ეწოდება. სამეურნეო საშუალებათა ინვენტარიზაციას მიმართავენ საოპერაციო პერიოდის ბოლოს, როდესაც სამეურნეო საქმიანობის შედეგისა და სამეურნეო საშუალებათა უკანასკნელი მდგომარეობის გამორკვევა უნდათ.

ინვენტარიზაციას მიმართავენ როდესაც მეურნეობა ისურება, ან სხვა მეურნეობას უერთდება.

როგორ ხდება ინვენტარიზაცია.

ვსთქვათ საქმე გვაქვს საქარხნო მეურნეობასთან. ქარხანაში ჩვენ დაწვრილებით უნდა გამოვარკვიოთ თუ რაში აქვს ქარხანას მოთავსებული სამეურნეო საშუალებები ერთი მხრით,ხოლო მეორე მხრით თუ საიდან აქვს მას მიღებული ეს საშუალება,რა ფორმით და რა დანიშნულებისათვის.

ქარხანას მრავალი სხვადასხვა სახის საშუალებები შეიძლება ქონდეს. მას ექნება შენობები,მანქანები,სამნეო ინვენტარი,მასალა,მზანაწარმი და სხვა. ჩვენ ყველაფერი უნდა ავწეროთ.

ქარხანას შეიძლება ქონდეს რამდენიმე შენობა. ერთ შენობაში შეიძლება ცეხები იყოს მოთავსებული. მეორეში -კანცორა,მესამეში- საწყობები და სხვა. შესდგება შენობების სია:ამა და ამ ქუჩაზე შენობა საწყობებისათ-სათვის. სამ-სართულიანი, აგებული ამა და ამ მასალისაგან,ამდენი კვადრატურა /ფართობი/ ამდენი კუბატურა /მოცულობა/, ამდენი ღირებულებით და სხვა.

ბ. ინვენტარიზაცია სრული და ნაწილობრივი.

საოპერაციო პერიოდის ბოლოს არსებული კანონის თანახმად უნდა ჩატარდეს ყოველგვარ სამეურნეო საშუალებათა ინვენტარიზაცია. როგორც ვთქვით საოპერაციო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის მიზანი არის

სამეურნეო საქმიანობის შედეგისა და სამეურნეო საშუალებათა უკანასკნელი მდგომარეობის გამოკვევა. ჩვეულებრივად ეს ხდება წლის ბოლოს. ინვენტარიზაცია ებება ყოველგვარ სამეურნეო საშუალებას. აიწერება როგორც სამეურნეო საშუალებათა მოთავსების სახეები, ისე სამეურნეო საშუალებათა წყაროების და დანიშნულების სახეები.

ასეთ ინვენტარიზაციას ეწოდება სრული ინვენტარიზაცია. სრული ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს აგრეთვე როდესაც მეურნეობის ლიკვიდაცია ხდება, ან როდესაც ერთი საწარმო მეორე საწარმოს უერთდება.

ინვენტარიზაცია შეიძლება არ შეეხოს ყოველგვარ სამეურნეო საშუალებას. შეიძლება მხოლოდ მასალები, ან საქონელი აიწეროს საწყობში; ეს იქნება ნაწილობრივი ინვენტარიზაცია. ნაწილობრივი ინვენტარიზაცია ჩვეულებრივად ტარდება საოპერაციო პერიოდის შუა მომენტებში. მაგ. კვარტალის ბოლოს, შეიძლება ნაწილობრივი ინვენტარიზაცია ჩატარდეს თვის ბოლოსაც.

გ. ინვენტარი დაწყებითი, შესამოწმებელი და სალიკვიდაციო.

როდესაც მეურნეობა მუშაობას იწყებს, მას უნდა ქონდეს მის განკარგულებაში არსებული სამეურნეო საშუალებათა დაწვრილებითი აღწერილობა. ეს აღწერილობა რა

თქმა უნდა ფაქტიური აღწერის გზით არის მიღებული. მიმღები ფაქტიურად ამოწმებს მიღებულ სამეურნეო საშუალებებს სიის მიხედვით.

სამეურნეო საშუალებათა ამ პირველ სიას ეწოდება დაწყებითი ინვენტარი. დაწყებითი ინვენტარი პირველი დოკუმენტია საბუღალტრო აღრიცხვის მოსაწყობად. დაწყებითი ინვენტარის საფუძველზე სდგება პირველი ბალანსი.

შესამოწმებელი ინვენტარი ეწოდება იმ ინვენტარს, რომელიც ხდება ჩანაწერებიდან მიღებული ნაშთების შესამოწმებლად ასეთი არის ინვენტარი, რომელიც ხდება წლის ბოლოს, ან კვარტალურად, ან თვიურად, წლის ბოლოს საბუღალტრო ჩანაწერებიდან ჩვენ გვაქვს ცნობები მეურნეობის განკარგულებაში არსებულ სამეურნეო საშუალებათა ნაშთების შესახებ. ინვენტარიზაციის საშუალებით ჩვენ ვამოწმებთ აღნიშნულ ნაშთებს. მაგალითად ჩანაწერები გვეუბნება, რომ წლის დასაწყისში გვქონდა მასალები 10.000 მანეთის; წლის განმავლობაში მიღებულია 80.000 მანეთის მასალა; გაცემულია იმავე ხნის განმავლობაში 60.000 მ. მასალა. ამგვარად, წლის ბოლოს ჩვენი ჩანაწერების მიხედვით უნდა გვქონდეს 30.000 მანეთის მასალა. ჩვენ მივდივართ და ფაქტიურად აღვწერ მასალას საწყობში ეს იქნება ჩანაწერების შემოწმება ამ მიზნით ჩატარებული ინვენტარიზაციის საფუძველზე

შედგენილ ინვენტარს ეწოდება შესამოწმებელი ინვენტარი.

სალიკვიდაციო ინვენტარი ეწოდება იმ ინვენტარს, რომელიც სდგება მეურნეობის ლიკვიდაციის წინ სალიკვიდაციო ინვენტარის საფუძველზე სდგება სალიკვიდაციო ბალანსი.

8. განსხვავება ინვენტარსა და ბალანსს შორის.

ინვენტარში სამეურნეო საშუალებები მოცემულია დაწვრილად. დაწვრილებით, სამეურნეო საშუალებათა შემადგენელი ნაწილები ცალკე სახეების მიხედვით. მაგ. ინვენტარში ვკითხულობთ: ფქვილი 1 ხარისხის 2.000 ცენტნერი, 120 მ. სულ 240.000 მანეთი.

ბალანსი სამეურნეო საშუალებათა შეკუმშულ სურათს წარმოადგენს. ის რაც ინვენტარში დაწვრილებით არის აღწერილი, ბალანსში გაერთიანებულიაერთ თანხაში. ბალანსში შეკუმშულად არის მოცემული დებიტორების დავალიანება, მაშინ როდესაც ინვენტარში ჩვენ გვაქვს დაწვრილებითი თვითეული დებიტორის ან დაწესებულების ცალკე აღნიშვნით.

ამგვარად განსხვავება ინვენტარსა და ბალანსს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ინვენტარში მოცემულია მეურნეობის განკარგულებაში არსებული საზოგადოებრივ-საწარმოო ფონდების და რეზერვების დაწვრილებითი სია,

როგორ/ ნატურალურ, ისე ფულად გამოხატულებაში. ბალანსში კი მოცემულია იგივე ცნობები, რაც ინვენტარშია მოცემული, მაგრამ შეკუმშულად და მხოლოდ ფულად გამოხატულებაში.

4. სამეურნეო საშუალებათა შეფასება ინვენტარიზაციის დროს.

როგორც ვთქვით ინვენტარიზაციის დროს ყოველგვარი სამეურნეო საშუალება უნდა იქნეს გამოხატული ფულად საზომში. ისმება კითხვა, როგორ უნდა შევაფასოთ სამეურნეო საშუალებები, მეურნეობას შეიძლება ქონდეს მასალა, მზანაწარმი, პროდუქცია გასანაწილებელი, მანქანები, იარაღები, შენობები და სხვა. კაპიტალისტურ ქვეყნებში ფასები იქმნება ბაზარზე. კონკურენცია სხვადასხვა კაპიტალის შორის, რითაც ხასიათდება მოუწესრიგებელი მეურნეობა, ქმნის საქონლის ფასს. კაპიტალისტურ მეურნეობაში ინვენტარიზაციის დროს ხელმძღვანელობენ შემდეგი წესით: თუ მასალის, ან საქონლის ფასი ბაზარზე უფრო დაბალია, ვიდრე მეურნეობას ულირს, იმ შემთხვევაში მასალასა და საქონელს აფასებენ საბაზრო ფასად; მაგრამ, თუ საქონლის ფასი ბაზარზე უფრო დიდია, ვიდრე მეურნეობის თვითღირებულება, იმ შემთხვევაში საქონელს აფასებენ თვითღირებულ ფასად.

საბჭოთა წარმოებაში ბაზარი არ აწესრიგებს ფასებს. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში ბაზარი სრულიად მოშსპარი იყოს. იმდენად, რამდენადაც

ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს კერძო სექტორი ინდივიდუა-ლური. გლეხური მეურნეობების სახით, მათ მიერ ბაზარზე გამოტანილი პროდუქციის ფასი, ხშირად ბაზრზე იქნება; რამდენადაც მეტი პროდუქცია იქნება გამოტანილი გასაყო-ყოფად, და შედარებით ნაკლები იქნება მყიდველი, იმდე-ნად მცირე იქნება პროდუქციის ფასი. მაგრამ ეს გარე-მოება არავითარ შემთხვევაში არ ახდენს გავლენას სა-წარმოებში პროდუქციის შეფასებაზე. სახელმწიფო მრეწ-ველობის საწარმოებში პროდუქციას აფასებენ სათანადო ორგანოების მიერ დაწესებული მტკიცე ფასები.

როგორ უნდა შევაფასოთ ძირითადი საშუალებები: შენობები, მანქანები და სხვა. ეს ისეთი საშუალებებია, რომლებიც ხანგრძლივად ემსახურება მეურნეობას, რომლე-ბიც თანდათანობით ცვდება და თავიანთი ღირებულება ნა-წილ-ნაწილად გადააქვთ პროდუქციის თვით ღირებულებაში. როდესაც შენობებ, მანქანებსა და სხვა ამგვარ საგნებს ვაფასებთ, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ საგნის პირვანდელი ღირებულება და ის, თუ რამდენად არის გაცვეთილი, რაც უკვე შესულია პროდუქციის თვითღირებულებაში, და, მაშასა-დამე, აღდგენილია. ამის გასაგებად, თუ რამდენად არის საგანი გაცვეთილი, საჭიროა ვიცოდეთ საგნის საერთო გამძლეობა დროში. ვთქვათ, მანქანის პირვანდელი ღი-რებულება შეადგენს 6.000 მანეთს; მისი გამძლეობა უდ-რის ათ წელს. ყოველწლიურად, მაშასადამე, მანქანა კარ-გავს მუშაობის პროცესში 6.000 : 10=600 მანეთი ღირე-ბულებას. რამდენი წელიც აქვს ნამუშავარი, იმდენი 600

მანეთი ერის გაცვეთილი. თუ აღნიშნულ მანქანას ჩვენ ვაფასებთ მისი მუშაობის დაწყებიდან მეოთხე წლის ბოლოს, მისი გაცვეთა უდრის 600.4-2.400 მანეთის; მანქანა უნდა შევაფასოთ 6.000-2.400-3.600 მანეთი შეფასება, რომ უფრო მეტი იყოს, გამძლეობის წლების რაოდენობაზე ყოფენ არა მთლიანად პირვენდელ ღირებულებას არამედ მანქანის უკანასკნელი ღირებულების გამოკლებით; როდესაც მანქანა გაფუჭდება და როგორც მანქანა სრულიად გამოუსადეგარი გახდება. მას როგორც მასალას კიდევ ექნება განსაზღვრული ღირებულება. მაშასადამე, მანქანის ღირებულება სავსებით არ ქრება მეურნეობისათვის, ჩვენ მაგალითში დავუშვათ, რომ მანქანა ეღირება ბოლოს როგორც მასალა 700 მანეთი. მაშასადამე, ათი წლის განმავლობაში გაცვდება არა მთლიანად 6.000 მან.;არამედ 6.000-700-5.300 მან.; ამ ანგარიშით ყოველწლიურად მანქანა კარგავს არა 600 მანეთს არამედ 530 მან. ოთხი წლის განმავლობაში მანქანის გაცვეთა შეადგენს 2.120 მან. ამგვარად წარმოების ძირითად საშუალებათა შესაფასებლად საჭიროა:

1. გავიგოთ საგნის პირვანდელი ღირებულება;

2. გავიგოთ საგნის გამძლეობა წლებში;

3. გავიგოთ საგნის უკანასკნელი ,ანუ სალიკვიდაციო ღირებულება;

4. პირვანდელ ღირებულებას გამოვაკლოთ სალიკვიდაციო ღირებულება;

5. ნაშთი გაჰყოფ გამძლეობის წლების რაოდენობაზე ;

6. მიღებული ნაწილადი გავამრავლოთ გასულ დროზე წლებში;

7. მიღებული ნაწარმი გამოვაკლოთ პირვანდელ ღირებულებას.

მაგალითად: შენობა აგებულია 1922 წელს. პირვანდელი ღირებულება შეადგენს 18.800 მან.; გამძლეობა უდრის 50 წელიწადს, რომლის შემდეგ შენობა დაინგრევა და მოგვცემს 2.800 მანეთად ღირებულ მასალას. რა ღირს შენობა 1938 წელს.

1. 18.800 - 2.800- 16.000 მან.

2. 16.000 : 50 - 320 მან.

3. 1938 წ. - 1922 წ. - 16 წელი.

4. 18.800 - 5.120 - 13.680 მან.

მაშასადამე, 1938 წელს შენობა ღირს 13.680 მანეთი.

5. ბალანსის წარმოება.

ზევით ბალანსის განმარტების დროს ჩვენ მხედველობაში გვქონდა სოციალისტური მეურნეობის ბალანსი. აქტივი გამოხატავს იმ სამეურნეო საშუალებათა მოთავსებას, რაც გადაცემულია მეურნეობაზე, ხოლო პასივი გამოხატავს, თუ რომელი წყაროდან, რა ფორმით და რა დანიშნულებისათვის არის გადაცემული საშუალებები მეურნეობაზე.

ბალანსი წარმოიშვა კერძო მეურნეობრივი ურთიერთობის პირობებში. ვაჭარს სურს წარმოადგინოს თავისი

მდგომარეობა. ის აიღებს და ჩამოწერს მოკლედ, თუ რა
აქვს, რა გააჩნია. მაგალითად, ნაღდი ფული აქვს სალა-
რომი, ფული აქვს ბანკში, აქვს საქონელი და სხვადასხვა.
ჩამოთვლილს შეაჯამებს და მიიღებს ქონებრივ საშუალე-
ბათა ჯამს. შემდეგ ის შეადგენს მევალეების სიას, ამ-
გვარად ერთი მხრით, მას ექნება ქონებრივ საშუალებათა
ჯამი, მეორე მხრით ვალდებულებათა ჯამი. პირველისა-
გან, - ქონების ჯამისაგან გამოაკლებს მეორეს, ე.ი.
ვალდებულებათა ჯამს და მიიღებს საკუთარ თანხას, ე.ი.
იმ თანხას, რაც დარჩება მას ვალების გასტუმრების შემ
დეგ. კერძო წარმოების მხრით ასეთ გამოანგარიშებას
ექნებოდა აღწერილი უეჭველად იმ დროსაც კი, როდესაც არა
თუ საბალანსო აღრიცხვა, საზოგადოდ სისტემატიური ჩა-
წერაც არ წარმოებდა. აღნიშნულ გამოანგარიშებას
წარმოებელი მოახდენდა პერიოდულად, რომ გამოერკვია
თავისი ეკონომიური შედეგი, მოგება ან ზარალი. მაგა-
ლითად, წლის თავში მან ნახა, რომ მთელი ქონების ჯამ
უდრის 28.000 მანეთს; ვალდებულებათა ჯამი კი შეად-
გენს 10.000 მანეთს. მისი საკუთარი თანხა, მაშასადამ
უდრის. 18.000 მანეთს, წლის განმავლობაში ის არ ანა
მოებს ჩანაწერს. წლის ბოლოს კვლავ იანგარიშებს ვთქვათ

აღმოჩნდა:

ქონების ჯამი .... 31.000 მანეთი

ვალდებულება .... 11.000 მანეთი

საკუთარი თანხა .... 20.000 მანეთი.

ახლა ანგარიშით მან გამოარკვია, რომ წლის განმავლობაში მოუგია, გაუზრდია თავის საკუთარი თანხა 2.000 მანეთი. წლის დასაწყისში ქონდა 18.000 მანეთი, ხოლო წლის ბოლოს აქვს 20.000 მან. ეს გამოანგარიშება სრულიად ბუნებრივია ყველა კერძო მწარ მოებელისათვის, მაგრამ საიდან გაჩნდა ბალანსი.

როდესაც მან შეადგინა ქონებრივ საშუალებათა სია ერთ ქაღალდზე ხოლო მეორე ქაღალდზე, ან ერთსა და იმავე ქაღალდზე. მაგრამ მეორე ადგილზე შეადგინა ვალდებულებათა სია, როგორც ვსთქვით პირველისაგან გამოაკლო მეორე და მიიღო საკუთარი თანხა.

მაგალითად ის წერს:

საქონელი მაქვს სულ .... 18.000 მანეთის

ნაღდი ფული .... 3.800 "

მართებს სხვადასხვა პირებს .... 6.000 "

ინვენტარი .... 3.200 "

სულ 31.000 მანეთი.

მართებს ბანკის .... 6.000 "

მართებს სხვადასხვა პირებს .... 5.000 "

სულ ვალი 11.000 მანეთი.

განსხვავება ქონების ჯამს -31.000 მანეთსა და ვალის ჯამს - 11.000 მანეთს შორის - 20.000 მანეთი შეადგენს ჩემს საკუთარ თანხას.

31.000 მანეთს გამოვაკლოთ 11.000 მანეთი. მივიღებთ 20.000 მანეთს, სისწორის შესამოწმებლად 20.000 მან. + 11.000 მან.- 31.000 მან.

თვალსაჩინოებისათვის, და აგრეთვე საკუთარი თანხის გამოანგარიშების შესამოწმებლად მწარმოებელი ქონებას წესს მარცხენა მხარეს. ხოლო ვალს მარჯვენა მხარეს; საკუთარ თანხას მიუწერს ვალს, რომ მიიღოს ქონების ჯამი.

ამის შემდეგ ვღებულობთ შემდეგ დალაგებას:

სახლი	18.000 მანეთის
ნაღდი ფული	3.800 "
მოვალეები	6.000 "
ინვენტარი	3.200 "

ქონების ჯამი	31.000 მანეთი
ვალი ბანკის	6.000 მანეთის.
ვალი სხვადასხვა პირ.	5.000 "
საკუთარი თანხა	20.000 "

ვალი და საკ. თანხა 31.000 მანეთი.

ზემოთაღნიშნულმა მსჯელობამ კერძო მწარმოებელი უეჭველად მიიყვანა ბალანსის იმ ფორმამდე,რომელიც ეხ-ლა არსებობს.

რაც გვიჩვენებს კერძო მწარმოებლის ზემოთაღნიშნული ბალანსი. ერთი მხრით გვიჩვენებს, თუ რა აქვს მწარმოებელს,რა შეადგენს მის ქონებას /აქტივი/. მეორე მხრით გვიჩვენებს, თუჩვენებს, თუ ვის ეკუთვნის ის, რაც მას აქვს,ვისგან არის მიღებული. მას აქვს ქონება სულ 31.000 მანეთის, რომელ თანხაშიაც შედის ბანკის ვალი 6.000 მან. ვალი სხვადასხვა პირების 5.000 მან.; მწარმოებლის მიერ მოთავსებული საკუთარი თანხა უდრის 20.000 მან.; მაშასადამე, კერძო მწარმოებლის ბალანსი გვიჩვენებს,რა აქვს მწარმოებელს- ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით,ვისგან არის მიღებული, ვის ეკუთვნის,ის, რაც აქვს .

6. ბალანსის მნიშვნელობა კერძო მეურნეობაში.

არის თუ არა საჭირო ბალანსის შედგენა კერძო მეურნეობრივი ურთიერთობის პირობებში.- რასაკვირველია, უაღრესად საჭიროა. კერძო მეურნეობრივი ურთიერთობის პირობებში,როგორც ვიცით საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების საფუძველზე მოგების მიღება,კაპიტალის გადიდება,მთავარი მამოძრავებელი მომენტი. ყოველგვარი საქმის წამოწყების დროს წამომწყებს ასულდგმულებს

ერთადერთი მიზანი:მოგების მიღება. მწარმოებელი ათავსებს მეურნეობაში თავის საკუთარ საშუალებებს და ცდილობს მის გადიდებას. როგორ ადიდებს კერძო მწარმოებელი პირვანდელ საშუალებებს.- მუშათა კლასის ექსპლოატაციით და ზედმეტი ღირებულების მითვისებით.

ამავე დროს კერძო მწარმოებელი გარეშე საშუალებებსაც იზიდავს მეურნეობაში. მეურნეობას ვალდებულება აქვს. ის სხვადასხვა სახის სესხს ღებულობს ბანკებისაგან; კერძო მწარმოებელი ერთმანეთს უხსნიან კრედიტს;ამის გამო მეურნეობის მდგომარეობის გამორკვევის დროს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ბალანსს. იმის სამიმოხილველოდ,თუ რა მდგომარეობაშია ზედმეტი ღირებულების მითვისების საქმე, რა მოხდის იმ საშუალებებს, რომლითაც მწარმოებელმა დაიწყო მუშაობა; იზრდება, თუ კლებულობს ის.

აღნიშნულ გარემოებათა გამო ბალანსში სამეურნეო საშუალებათა გამოხატვა და მის საფუძველზე აღრიცხვის წარმოება უდიდესად საჭიროა. მისი საჭიროება გამომდინარეობს საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობისაგან, და აქედან გამომდინარე მეურნეობათა შორის არსებულ ვალდებულებების ურთიერთობისაგან.

ბანკის მხრივ მუდმივად სისტემატური კონტროლი სამეურ-ნეო ორგანიზაციების მიერ საწარმოო გეგმის შესრულების საქმეში, რასაც "მანეთით კონტროლი" ეწოდება. როგორც ვხედავთ, სამეურნეო საშუალებათა გაუპიროვნების მოსპო-ბასთან დაკავშირებით იქმნება მეურნეობაში სასტიკად გაპიროვნებული საშუალებები აღნიშნული საშუალებები ცალ-კე უნდა აღირიცხოს, და სამეურნეო ორგანიზაციის მდგო-მარეობის მიმოხილვის დროს თვითოეული მათგანი აშკარად უნდა გამოსჭვივოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლე-ბელი იქნება ბანკის მხრით ბანკით კონტროლი, შეუძლებე-ლი იქნება გეგმის შესრულებისათვის თვალყურის დევნა.

ბანკის მიერ სამეურნეო ორგანიზაციაზე დროებით გადაცემული საშუალებები აგრეთვე სხვადასხვა სახის ატარებს: 1/ბანკი აძლევს მეურნეობას საშუალებებს /სეს-/სესხს/ ვადით სეზონური საქონლისა და მასალის დაგ-როვებლად: 2/ აძლევს ვადიან სესხს სეზონურ წარმოე-ბასთან და ბრუნვასთან დაკავშირებული დანახარჯების დასაფარავად: 3/ აძლევს ვადიან სესხს გზაში მყოფ თანხებზე -მომწოდებელს. საქონლის გადაგზავნის შემთ-ხვევაში იმ ვადით, რაც საჭიროა დანიშნულების ადგილზე საქონლის მისვლისათვის და იქიდან პასუხის მიღებისათ-ვის. მყიდველს აკრედიტებს საქონლის ყიდვის შემთხვე-ვაში. 4/ ბანკმა შეიძლება მისცეს მეურნეობას მოკლე-ვადიანი მიზნობრივი სესხი გეგმის გარეშე, როდესაც

ამას მოითხოვს მეურნეობის წარმოება და განაწილება. თითოეული სახის სესხს, როგორც ვხედავთ, მიზნობრივი დანიშნულება აქვს, თითოეული მათგანი გაპიროვნებულია; ეს გაპიროვნება რომ ბოლომდის დავიცვათ, საჭირო ბანკისაგან მიღებული სახსრებს გაეწიოს ორმხრივი ანგარიში: ერთი მხრით, უნდა აღვრიცხოთ რა ფორმით იქნება ბანკისაგან მიღებული სახსრები /პასივი/, ხოლო, მეორე მხრით, უნდა აღირიცხოს როგორ იქნება გამოყენებული და რაში იქნება მოთავსებული ბანკისაგან მიღებული სახსრები /აქტივი/. ამგვარად, როგორც ვხედავთ, სოციალისტური აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპზე სამეურნეო სახსრები აუცილებლად თხოულობს ორმხრივ გამოხატვას /ბალანსი/, და ორმხრივ აღრიცხვას.

სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდში საბალანსო აღრიცხვა გამომდინარეობს არა კერძო საკუთრების არსებობისაგან. როგორც ბევით ნათქვამი იყო კერძომეურნეობრივი ურთიერთობის პირობებში საბალანსო აღრიცხვის საჭიროების შესახებ; საწარმოო სახსრებზე კერძო საკუთრება ჩვენში მოსპობილია. მაშასადამე, ჩვენს სინამდვილეში შეუძლებელია კითხვის ასე დასმა: რა აქვს მეურნეობას და ვის ეკუთვნის ის, რაც მას აქვს". სოციალისტურ მეურნეობას აქვს ის, რაც მას გადასცა სახელმწიფომ და ეკუთვნის ის სახელმწიფოს.

7. ბალანსის მნიშვნელობა საბჭოთა ეკონომიკის პირობებში.

ეხლა განვიხილოთ ბალანსის მნიშვნელობა საბჭოთა ეკონომიკის პირობებში. სოციალისტური აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ბალანსის მნიშვნელობა რომ წარმოვიდგინოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ მმართველობის ახალი მეთოდი, რომელიც მოქმედებს ჩვენში სამეურნეო ორგანიზაციების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანასთან დაკავშირებით. შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ 1931 წლის 23 ივლისს მიღებული კანონი "სამეურნეო ორგანიზაციების საბრუნავ სახსრებათა შესახებ" ქმნის სრულიად ახალ ურთიერთობას, ერთის მხრით სამეურნეო ორგანიზაციებს შორის, ხოლო, მეორე მხრით, სამეურნეო ორგანიზაციებსა და ბანკს შორის. აღნიშნული კანონით ისპობა სამეურნეო ორგანიზაციაში სახსრებათა გაუპიროვნება. სამეურნეო ორგანიზაციაზე გადაცემულ სახსრებათა წყაროები სასტიკად განისაზღვრება: ერთი მხრით, მეურნეობას გადაეცემა ხანგრძლივად მიმაგრებული სახსრებები, მეორე მხრით, მეურნეობა ქმნის ახალ სახსრებებს დაგროვების გზით, ხოლო მესამე წყარო- ეს არის ბანკისაგან სახსრებათა მიღება სასტიკად განსაზღვრული ვადით და მიზნობრივი დანიშნულებით. ბანკი აძლევს სამეურნეო ორგანიზაციებს სახსრებებს გეგმის მიხედვით და საწარმოო საფინანსო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. ამგვარად იქმნება

სამაგიეროდ აქ ასე ისმება კითხვა: რაში აქვს მეურნეობას მოთავსებული ის საშუალება, რაც მას სახელმწიფომ გადასცა და რა ფორმით არის საშუალებები გადაცემული მეურნეობაზე; მეორე კითხვა: როგორ შეუსრულებელია საწარმოო საფინანსო გეგმა მეურნეობას, და რამდენი ეთანხმება საშუალებათა ფაქტიური მდგომარეობა გეგმით გათვალისწინებულ მდგომარეობას. სანამ სამეურნეო საქმიანობა, მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა, მოითხოვს აღნიშნული კითხვების დასმას, მანამ ბალანსი და მისგან გამომდინარე საბალანსო აღრიცხვაც საჭირო იქნება. სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდში ბალანსი მიზანშეწონილი ფორმაა საშუალებათა გამოსახატავად. მისი საჭიროება გამომდინარეობს სამეურნეო ანგარიშის სისტემისაგან.

ამგვარად, ბალანსი და საბალანსო აღრიცხვა გაჩნდა კერძომეურნეობრივი ურთიერთობის პირობებში, იმ დროს, როდესაც საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება ბატონობდა. მაშინ ბალანსი და საბალანსო აღრიცხვა კერძო საკუთრების პრინციპით იყო გაჟღენთილი, კერძო საკუთრების დაცვასა და განმტკიცებას ემსახურებოდა.

საბჭოთა ეკონომიკის პირობებში ბალანსმა შეიცვალა თავისი შინაარსი, მიზანი და დანიშნულება. ის აღარ გამოხატავს, ვის ეკუთვნის მეურნეობის საშუალებები; აღრიცხვის მიზანი არ არის კერძო საკუთრებიდან გამომდინარე ვალდებულებრივ ურთიერთობათა

ასახვა; მის დანიშნულებას არ შეადგენს კერძო საკუთრების დაცვა და განმტკიცება.

ჩვენმა ბალანსმა უნდა გვიჩვენოს, თუ საიდან და რა ფორმით არის გადაცემული მეურნეობაზე ის საშუალებები, რაც მის განკარგულებაში იმყოფება; საბალანსო აღრიცხვის მიზანი არის საფინანსო-საწარმოო გეგმის შესრულების ასახვა. მისი დანიშნულება არის სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცება.

3. აქტივისა და პასივის შემადგენლობა.

როგორც ითქვა, აქტივი გვიჩვენებს საზოგადოებრივ სასაწარმოო ფონდების სახეებს მათი მოთავსების თვალსაზრისით, ხოლო პასივი გვიჩვენებს იმავე ფონდების წარმოშობის წყაროებს, საწარმოზე ამ ფონდების გადაცემის ფორმებსა და მათ დანიშნულებას.

აქტივისა და პასივის სტრუქტურა კაპიტალისტურ მეურნეობის ბალანსებში გამომდინარეობს ის მნიშვნელობისაგან, რასაც ბალანსი ასრულებს კაპიტალისტურ მეურნეობაში. რაკი აქტივი გვიჩვენებს, თუ რა ქონება აქვს კაპიტალისტს, ხოლო პასივი კი გვიჩვენებს, თუ რამდენია ამ ქონებიდან მეურნეობის პატრონის, და რამდენი ნასესხები, აქტივს აჯგუფებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად ადვილად შეიძლება ქონების ამათუიმ სახის ამოღება მეურნეობიდან ფულის გასასტუმრებლად.

აქედან წარმოდგება აქტივის მუხლების დაჯგუფება მათი რეალიზაციის შესაძლებლობის მიხედვით: სალარო, მიმდინარე ანგარიშები ბანკებში,ფასიანი ქაღალდები, საქონელი და სხვ.

პასივის დაჯგუფება კაპიტალისტურ ბალანსებში გამომდინარეობს იმ ურთიერთობისაგან, რასაც პასივი გამოხატავს; სახელდობრ, ერთი მხრით,მეურნეობის პატრონის მიერ მეურნეობაში მოთავსებული საკუთარი საშუალებები; მეორე მხრით,გარედან, მესამე პირთა და დაწესებულებებისაგან მიზიდული საშუალებები,ანუ სესხები, მესამე-მოგება საკუთარი თანხის გადიდება. მოზიდული საშუალებები კაპიტალისტურ ბალანსებში ნაწილდება: სხვადასხვა სახით ბანკებიდან მიღებული სესხები; სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათაგან თამასუქებით მიღებული საშუალებები უთამასუქოდ მიღებული საშუალებები.

აქტივის პირველი მუხლები კაპიტალისტურ ბალანსში გვიჩვენებს თუ რამდენად უზრუნველყოფილია გარედან მოზიდული საშუალებები გასტუმრების მხრით; რამდენადაც მეტი აქვს მეურნეობას ნაღდი ფული სალაროში,ფული ბანკში,ფასიანი ქაღალდები, საქონელი და სხ. მით უფრო უზრუნველყოფილია ვალების გასტუმრება.

პასივის პირველი მუხლები კაპიტალისტურ ბალანსებში გვიჩვენებს,თუ რამდენად ძლიერია მეურნეობა საკუთარ საშუალებათა სიდიდის მხრით.

9. აქტივისა და პასივის სტრუქტურა სოცია-ლისტური მეურნეობის ბალანსებში.

ა/ პასივის სტრუქტურა: როგორც ვთქვით, პასივი გამოხატავს, თუ რომელი წყაროდან, რა ფორმით და რა დანიშნულებისათვის არის გადაცემული მეურნეობაზე სამეურნეო საშუალებები. პირველ რიგში უნდა იყოს მოთავსებული საშუალებათა ის წყაროები, რაც ხანგრძლივად არის მიმაგრებული მეურნეობაზე რაც წარმოადგენს მეურნეობის საფუძველს. მისი სიდიდე უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრავს მეურნეობის მუშაობის მასშტაბს. რამდენად დიდია ასეთი საშუალებები, იმდენად უფრო ფართოდ შეიძლება მეურნეობამ მუშაობა, იმდენად უფრო დიდია ჩვენი სახალხო მეურნეობრივი გეგმის შესრულებაში მეურნეობის წილი, იმდენად უფრო დიდია ის განაკვეთი, რომელიც მას ეძლევა შესასრულებლად. ხანგრძლივად მიმაგრებული საშუალებები სხვადასხვა სახელწოდებით გვევლინება სამეურნეო ორგანიზაციების ბალანსებში, ასეთები არის: ძირითადი ფონდი, საწესდებო ფონდი, საპაიო ფონდი.

როდესაც საწარმო არსდება, მას თავიდანვე გადაეცემა მუშაობის საწარმოებლად საშუალებათა განსაზღვრული რაოდენობა, რაც მეურნეობის წესდებაში იქნება აღნიშნული. ამის გამო მას საწესდებო ფონდს უძახიან. ზოგიერთ მეურნეობაში მას ძირითად თანხას ეძახიან. კოოპერაციულ ამხანაგობაში სამეურნეო საშუალებები

გროვდება წევრების მიერ შეტანილი პაებით. ამ გზით დაგროვილ საშუალებებს საპაიო თანხა ეწოდება. ყველა აღნიშნულ საშუალებათა დამახასიათებელი არის ის,რომ ისინი ხანგრძლივად არიან მიმაგრებული მეურნეობაზე. პაი შეიძლება გაიტანოს წევრმა კოოპერატივიდან გასვლის დროს,მაგრამ წევრის გასვლა კოოპერატივიდან გამონაკლისი შემთხვევაა; საერთოდ დაგროვილი საპაიო თანხა წარმოადგენს კოოპერატიული მეურნეობის საფუძველს.

ამრიგად,საბჭოთა ბალანსებში პასივის მთავარ ნაწილს შეადგენს მეურნეობაზე ხანგრ ძლივად მიმაგრებული საშუალებები.

საწესდებო ფონდში შეიძლება მოხდეს ცვლილება წლის განმავლობაში. მაგ. წლის განმავლობაში შეიძლება ქარხანას გადაეცეს ახალი მანქანები და იარაღები. ამათი ღირებულება რათქმა უნდა ადიდებს საწესდებო ფონდს მაგრამ ბალანსში საწესდებო ფონდი უცვლელად რჩება წლის ბოლომდე დამატებით მიღებული მანქანა-იარაღები და სხვა საშუალებები ცალკე აღინიშნება და მხოლოდ წლის ბოლოს შეუერთდება საწესდებო ფონდს. ასევე შეიძლება და მხოლოდ წლის განმავლობაში შემცირდეს საწესდებო ფონდი. მთავრობის განკარგულებით შესაძლებელია ერთმა ქარხანამ მეორე ქარხანას გადასცეს მანქანა, რომელიც პირველს არ ესაჭიროება. ასეთი გადაცემაც წლის განმავლობაში ცალკე აღინიშნება და მხოლოდ წლის ბოლოს შემცირდება მანქანების ღირებულებას ბალანსში.

ბალანსის პასივში შემდეგი ადგილი უჭირავს საა-
მორტიზაციო ფონდს. საამორტიზაციო ფონდი ეწოდება ძი-
რითად საშუალებათა /შენობები,მანქანები,იარაღები და
სხვა/ აღსადგენ ფონდს. სიტყვა "აღდგენის" ქვეშ ამ
შემთხვევაში იგულისხმება გაცვეთილ საშუალებითათვის
კაპიტალური რემონტის გაკვეთა და ხმარებიდან გამოს-
ვლის შემდეგ ახალ საშუალების შეძენა. სამრეწველო
საწარმოში ყოველდღიურად ხდება საამორტიზაციო ფონდის
შექმნა. დამზადებული პროდუქციის თვითღირებულებაში
ყოველთვის სხვა ხარჯს გარდა შეიტანებენ აგრეთვე
მანქანა-იარაღებისა და სხვა სახის ძირითად საშუალება
თა გაცვეთის დასაფარავ ნაწილს,რაც ამ პროდუქტს
ხვდება. როდესაც პროდუქტი გაიყიდება და აღნიშნული ნი
ლი საწარმოში შემოდის. ამას ეწოდება საამორტიზაციო
ფონდი. ეს ფონდი გროვდება თანდათანობით. როდესაც
მანქანა კაპიტალურ /მსხვილ/ რემონტს საჭიროებს, რე-
მონტის გასაკეთებლად აღნიშნულ ფონდს დახარჯავენ.
როდესაც მანქანა გამოვა ხმარებიდან,აღნიშნული ფონ-
დით შეიძენენ ახალ მანქანას. ბუღალტერიაში იწერება
საამორტიზაციო ფონდის შექმნა,მისი დახარჯვა და ფონ-
დის თავისუფალი ნაშთი აღინიშნება ბალანსის პასივში
საწესდებო ფონდის შემდეგ.

საამორტიზაციო ფონდი ხანგრძლივად მიმაგრებულ
საშუალებებს შეიძლება მივაკუთვნოთ.

შემდეგი ადგილი ჩვენს ბალანსებში უჭირავს სპეცია-ლურ ჟონდებს, სპეციალური ფონდები იქმნება დაგროვებისა-გან. დაგროვების შექმნა აუცილებელი პირობა არის სო-ციალისტური აღმშენებლობის ეტაპზე. დაგროვება იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა იმარაგებს ახალ საშუალებებს; რომ ჩვენ არ უნდა შევნთქათ ყველაფერი, რასაც შევქმნით; რომ შექმნილი ღირებულებიდან ნაწილი უნდა გადავდოთ წარმოების გასაფართოებლად, ახალი ფაბ-რიკების, ახალი ქარხნების ასაგებად; უნდა შევქმნათ მუშათა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად საუკეთესო პირობები ; უნდა შევქმნათ საშუალებები შრომის სოცია-ლისტური ფორმების გასაძლიერებლად და გასამტკიცებლად, და სხვა და სხვა ასე თუ ისე, თითოეულ სამეურნეო ერ-თეულს საწარმოო-საფინანსო გეგმით აქვს გათვალისწინე-ბული, თუ რამდენი უნდა დააგროვოს მან განსაზღვრულ პერიოდის განმავლობაში. თითოეული სამეურნეო ერთეული მიმდინარე მუშაობის პროცესში ქმნის ახეთ დაგროვებას, და წესდების თანახმად, აძლევს ამ დაგროვებას განსაზ-ღვრულ დანიშნულებას; სპეციალური ფონდები იხარჯება დანიშნულებისამებრ. ბუღალტერიაში ჩაიწერება ფონდის შექმნა და მისი დახარჯვა. ფონდის თავისუფალი ნაშთი აღინიშნება ბალანსის პასივში.

სპეციალური ფონდების შემდეგ ბალანსის პასივში ათავსებენ რეზერვებს. რეზერვებიც დაგროვილ საშუალებებს წარმოადგენს, მაგრამ იმის განსხვავება სპეც-ფონდებისაგან, რომ რეზერვების დანიშნულება არის რაიმე მოსალოდნელ ზარალის, დანაკარგის დაფარვა. რეზერვი განსაზღვრული სახის დანაკარგის დასაფარავად იქმნება. მაგ. ქმნიან საეჭვო ვალების რეზერვს. თუ დებიტორებს /მოვალეებს/ შორის აღმოჩნდა უიმედო დებიტორი, რომლისაგანაც ვალს ვერ ავიღებთ, ამ შემთხვევაში გამოვიყენებთ შექმნილ რეზერვს და დავფარავთ ზარალს.

რეზერვებს ვრცლად გავეცნობით შემდეგ თავებში.

შემდეგი ადგილი ჩვენი ბალანსების პასივში უჭირავს დაფინანსებას. დაფინანსება ნიშნავს სახელმწიფოს მიერ საწარმოზე ახალ სამეურნეო საშუალებათა გადაცემას განსაზღვრული მიზნით. მაგ. ქარხანას შეიძლება მიეცეს ფული შენობის ასაგებად, წარმოების გასაფართოვებლად, საბრუნავ საშუალებათა გასადიდებლად, ზარალის დასაფარავად და სხვა.

ასეთი დაფინანსება შეიძლება მიიღოს მეურნეობამ საკავშირო ბიუჯეტიდან, რესპუბლიკანური ბიუჯეტიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან. როდესაც ბალანსში დაფინანსების მუხლს ვხედავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს მიღებული აქვს ზემოთაღნიშნული წესით ბალანსში აღნიშნული თანხა. წლის ბოლოს დაფინანსების თანხა

შეიძლება მიემატოს საწესდებო ფონდს.

დაფინანსების შემდეგ ბალანსში ებლეჭეთ სახსრებს ბანკებიდან, კრედიტორებს განსაზოგადოებული და განუსაზოგადოებული სექტორიდან და ბოლოს დაგროვებას.

ამგვარად, საბჭოთა ბალანსების პასივში საშუალებათა წყაროები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდ:

I. საშუალებები, მიმაგრებული მეურნეობაზე ხანგრძლივად:

1. საწესდებო ფონდი;
2. ძირითადი ფონდი
3. საპაიო ფონდი.

II. საშუალებები, შექმნილი დაგროვებისაგან:

1. ფონდი დირექტორის განკარგულებაში.
2. სხვა სახის სპეცფონდები.

10. აქტივის სტრუქტურა.

აქტივი გამოხატავს საშუალებათა მოთავსებას. ის გვეუბნება თუ რაში აქვს მეურნეობას დაბანდებული მაზე გადაცემული საშუალებები. საშუალებათა დაჯგუფება ჩვენი ბალანსების აქტივში ხდება საშუალებათა საწარმოო დანიშნულების მიხედვით. სამრეწველო საწარმოებში საწარმოო დანიშნულების მიხედვით სამეუნეთ საშუალებები შეიძლება დავანაწილოთ ორ მთავრ ჯგუფად:

I. წარმოების საშუალებანი.

II. მიმოქცევის საშუალებანი.

წარმოების საშუალებათა ჯგუფს აკუთნებენ იმ საშუალებებს, რაც საჭიროა წარმოებისათვის. წარმოებისათვის კი საჭიროა შენობები, მანქანები, ინსტრუმენტები და მასალა. მაშასადამე, საშუალებათა აღნიშნული სახეები შეიძლება მივაკუთნოთ წარმოების საშუალებებს. თვით ამ საშუალებებს შორისაც არის განსხვავება. აქ ჩვენ გვაქვს ერთი მხრით, ისეთი საშუალებები, რომლებიც ხანგრძლივად ემსახურება მეურნეობას, რასაც ნაწილ-ნაწილად გადააქვს თავისი ღირებულება მწარმოების თვითღირებულებაში; ასეთები არის შენობები, მანქანები, იარაღები, მეორე მხრით, წარმოებაში ჩვენ გვაქვს ისეთი საშუალებები, რაც ერთბაშად გადადის მზანაწარმის თვითღირებულებაში, ასეთები არის ძირითადი მასალა, დამხმარე მასალ და სათბობი მასალა.

წარმოების საშუალებათა პირველ ჯგუფს უწოდებენ წარმოების ძირითად საშუალებებს, ანუ შრომის იარაღს.

წარმოების საშუალებათა მეორე ქვეჯგუფს კი უწოდებენ წარმოების საბრუნავ საშუალებებს, ანუ შრომის საგანს.

წარმოებიდან მზანაწარმის მიღებით თავდება წარმოების ციკლი, აქიდან იწყება მიმოქცევის სფერო. მიმოქცევის სფეროს საშუალებებს შეადგენს მზანაწარმი,

I. წარმოების საშუალებანი.

II. მიმოქცევის საშუალებანი.

წარმოების საშუალებათა ჯგუფს აკუთნებენ იმ საშუალებებს, რაც საჭიროა წარმოებისათვის. წარმოებისათვის კი საჭიროა შენობები, მანქანები, ინსტრუმენტები და მასალა. მაშასადამე, საშუალებათა აღნიშნული სახეები შეიძლება მივაკუთნოთ წარმოების საშუალებებს. თვით ამ საშუალებებს შორისაც არის განსხვავება. აქ ჩვენ გვაქვს ერთი მხრით, ისეთი საშუალებიბი, რომლებიც ხანგრძლივად ემსახურება მეურნეობას, რასაც ნაწილ-ნაწილად გადააქვს თავისი ღირებულება მწარმოების თვითღირებულებაში; ასეთები არის შენობები, მანქანები, იარაღები, მეორე მხრით, წარმოებაში ჩვენ გვაქვს ისეთი საშუალებები, რაც ერთბაშად გადადის მზანაწარმის თვითღირებულებაში, ასეთები არის ძირითადი მასალა, დამხმარე მასალ და სათბობი მასალა.

წარმოების საშუალებათა პირველ ჯგუფს უწოდებენ წარმოების ძირითად საშუალებებს, ანუ შრომის იარაღს.

წარმოების საშუალებათა მეორე ქვეჯგუფს კი უწოდებენ წარმოების საბრუნავ საშუალებებს, ანუ შრომის საგანს.

წარმოებიდან მზანაწარმის მიღებით თავდება წარმოების ციკლი, აქიდან იწყება მიმოქცევის სფერო. მიმოქცევის სფეროს საშუალებებს შეადგენს მზანაწარმი,

საქონელი ,ფული,ფასიანი ქაღალდები და თანხები, რომ-
ლებიც ირიცხება სხვადასხვა ორგანიზაციებზე და პირებზე

მზანაწარმი ეწოდება ფაბრიკა-ქარხნებში დამ-
ზადებულ პროდუქტს, რომელიც ჯერ კიდევ ფაბრიკის, ან
ქარხნის საწყობში აწყვია და არ არის გადაცემული გა-
საყიდად, გასანაწილებლად. ჩვენს პირობებში ფაბრიკა
გადასცემს მზანაწარმის ტრესტს, მაშასადამე, პროდუქცია,
რომელიც ფაბრიკაში მზანაწარმად ირიცხება, ტრესტში
ის აღირიცხება როგორც საქონელი. აგრეთვე თვით ფაბ-
რიკას შეიძლება ქონდეს სავაჭრო წერტი. სავაჭრო წერტზე
გადაცემულ მზანაწარმს ფაბრიკა აღრიცხავს საქონლის
სახელწოდებით.

ფული მეურნეობას შეიძლება ქონდეს სალაროში
და ბანკში. უკანასკნელ წლებში /1930 და 1931 წწ./
გატარებული საკრედიტო რეფორმის შემდეგ, სამეურნეო
ორგანიზაციებს შორის ანგარიშების გასწორება ხდება
სახელმწიფო ბანკის საშუალებით. გამყიდველ ორგანიზა-
ციას გაყიდული საქონლის ანგარიშს უსწორებს სახბანკი;
ხოლო მყიდველმა ორგანიზაციამ ანგარიში უნდა გაუსწოროს
სახბანკს. ამის გამო სალაროს მნიშვნელობა სამეურნეო
ორგანიზაციაში უაღრესად შემცირდა. სამეურნეო ორგანი-
ზაციას არა აქვს უფლება გააჩეროს სალაროში დიდი თან-
ხები. სალაროში შეიძლება გვქონდეს ფული წვრილმანი
ხარჯების გასაწევად. კაპიტალისტურ ქალაქებში სალა-

როში ნაშთები ვალდებულებათა უზრუნველყოფის მარჩენე-
ბელია. ამის გამო კაპიტალისტურ მეურნეობებში ხშირად
ხელოვნურად და ფიქციურად ადიდებენ ხოლმე სალაროს
ნაშთებს ბალანსის შედგენის დროს.

სამეურნეო ორგანიზაციებს ჩვენში თავისუფალი
ფული, როგორც ვთქვით, შეიძლება ქონდეს ბანკში ანგარიშ-
სწორების ანგარიშზე. ეს ის ანგარიშია, საითგანაც ხდე-
ბა ანგარიშების გასწორება სამეურნეო ორგანიზაციებს
შორის წარმოებულ სამეურნეო ანგარიშიანობა, რომელიც
ზემოთ-აღნიშნულ საკრედიტო რეფორმასთან არის დაკავ-
შირებული, მოითხოვს, რომ მეურნეობას ხანგრძლივად ბანკ-
შიაც არ შეიძლება ქონდეს თავისუფალი თანხები. თუ
მას თავისუფალი ფულები აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ
მეურნეობას საშუალებები ვერ მოუთავსებია და, მაშასა-
დამე, მეურნეობა მას არ საჭიროებს.

ფასიანი ქაღალდები ჩვენს სინამდვილეში წარ-
მოადგენს მხოლოდ სახელმწიფო სესხების ობლიგაციებს.

პაიები და აქციები გამოხატავს მეურნეობის მო-
ნაწილეობას სხვა სამეურნეო ორგანიზაციაში. მეურნეო-
ბას შეიძლება ქონდეს შეტანილი რომელიმე ორგანიზაცია-
ში პაი. ან შეიძლება ქონდეს რომელიმე სააქციო საწა
მოს აქციები. კაპიტალისტურ მეურნეობაში აქციებიც
ფასიან ქაღალდებად ითვლება, რადგან აქციებს უშვებენ
კაპიტ

კაპიტალისტური მეურნეობაში,აქციების მყიდველების, ანუ აქციონერების მიზანია მოგების მიღება; აქციები იყიდებ ბირჟაზე და მისი ფასი ქანაობს იმის მიხედვით, თუ როგო ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფება აქციები გამომშვების საზოგადოება. თუ სააქციო საზოგადოების მდ-გომარეობა კარგია, მისი აქციის კურსიც მაღლა იწევს, აქციის ფასი იზრდება; თუ მდგომარეობა ცუდია, აქციას ფასიც ეცემა.

იგივე შეიძლება ითქვას ობლიგაციების შესახე-ბაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ობლიგაციებს კერძო მეურნეობაშიც უშვებენ. მისი ფასიც ისე ქანაობს ბირ-ჟაზე, როგორც აქციების.

სულ სხვაა საბჭოთა პირობებში. როგორც ზევით ითქვა, ობლიგაციებს სახელმწიფო უშვებს, რომ სოცია-ლისტური აღმშენებლობისათვის, მრეწველობის ინდუსტრია-ლიზაციისათვის და სოფლის რესურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის მიიზიდოს თავისუფალი საშუალებებ მშრომელთაგან და ორგანიზაციებისაგან.

მიმოქცევის სფეროს საშუალებებს შორის უნდაე-მოცვათავსოთ საშუალებები გაცემულ მეურნეობცს სიერ სხვადასხვა ორგანიზაციებზე. პასივის ლანბილვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ კრედიტორები, ანუ ისეთი პირები და დაწესებულებანი,რომლებმაც დროებით გადასცეს სამეურ-ნეო საშუალებები მეურნეობის განკარგულებაში. კაპიტა-ლისტური ბალანსების აქტივში და პასივში სხვადასხვა

პირი და დაწესებულება /დებიტორები და კრედიტორები/ გამოხატავს ვალდებულებრივ ურთიერთობას, ერთი მხრით, მეურნეობის ვალდებულებას გარეშე მეურნეობის მიმართ, ხოლო, მეორე მხრით, გარეშე მეურნეობის ვალდებულებას მეურნეობის მიმართ: ასეთი ვალდებულებრივი ურთიერთობანი გამომდინარეობს კერძო საკუთრების პრინციპიდან და კერძო მეურნეობრივი ურთიერთობისაგან საბჭოთა ბალა- სებში, რასაკვირველია, ამგვარ ვალდებულებრივ ურთიერთობებს არ შეიძლება ქონდეს ადგილი. ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები არ აწარმოებენ ყიდვა-გაყიდვასა და აღებ-მიცემას ამ სიტყვების კაპიტალისტური მნიშვნელობით. ჩვენში ადგილი აქვს გეგმიან წარმოებასა და გეგმიან განაწილებას. როდესაც ერთი მეურნეობა მასალას აწვდის მეორე მეურნეობას, ეს ხდებაარა კაპიტალისტური ყიდვა-გაყიდვის წესით, არამედ გეგმიანი მომარაგებისა და გეგმიანი განაწილების წესით. როდესაც მეურნეობა თავის პროდუქციას აწვდის მეორე მეურნეობას, აქაც ადგილი აქ- გეგმიან განაწილებას, და არა კაპიტალისტურ გაყიდვას. სიტყვები "ყიდვა", "გაყიდვა" და სხვა ამგვარი, ჩვენში მხოლოდ პირობითი ხმარებაა.

ამგვარად საბჭოთა ბალანსების გარჩევის დროს ჩვ- არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დებიტორები და კრედიტორე- ბი ჩვენს სინამდვილეში სრულიად არ გამოხატავენ იმ

ურთიერთობას, რასაც იგივე მუხლები გამოხატავს კაპი-ტალისტურ ბალანსებში.

აქვე საჭიროა განმარტებული იქნას სამეურნეო ორ-განიზაციებს შორის ის ახალი ურთიერთობანი, რომლებიც დამყარდა ჩვენში უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩატარებულ საკრედიტო რეფორმასთან დაკავშირებით, რა-მედაც გაკვრით ზევით იყო აღნიშნული. ამ ახალმა ურთი-ერთობამ თავისი გავლენა მოახდინა ჩვენს ბალანსებში გამოსახულ დებიტორებისა და კრედიტორების მუხლების შინაარსზედაც.

საკრედიტო რეფორმამდის ჩვენს ბალანსებში დე-ბიტორების და კრედიტორების მუხლები შედგებოდა შემ-დეგი ქვემუხლებისაგან: მყიდველები, მომწოდებლები, მოიჯარადრები, მუშა-მოსამსახურეები და სხვ.. მყიდველებთან და მომწოდებლებთან მეურნეობას უშუალო ურთიერთობა ქონდა. თუ მყიდველები დავალებულნი იყვ-ნენ მეურნეობის წინაშე, ისინი აქტივში მოხვდებოდნენ; მაგრამ, თუ მყიდველებს ავანსი ქონდათ შემოტანილი მეურნეობაში მისაღები საქონლის ანგარიშში, ეს თანხა აღინიშნებოდა პასივში. იგივე მომწოდებლის შესახებ. საკრედიტო რეფორმის შემდეგ მყიდველ ორგანიზაციას და მომწოდებელ ორგანიზაციას შორის ურთიერთობა წარმოებს სახბანკის საშუალებით. გამყიდველ ორგანი-ზაციას ანგარიშს უსწორებს ბანკი, და მყიდველი ორგა-

ნიზაციაც ბანკს უსწორებს ანგარიშს. მეურნეობის საბ-რუნავი საშუალებები განსაზღვრულია. საჭიროების დროს გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით მეურნეობას ბან-კიდან შეიძლება მიიღოს საშუალებები მიზნობრივი და მოკლევადით. მეურნეობას არ შეუძლია ფულის გასესხება, მეორე ორგანიზაციისათვის კრედიტის გახსნა. თუ მეურ-ნეობას ზედმეტი საშუალებები აქვს, ის მან ბანკში უნდა შეიტანოს. როდესაც ახალი საშუალებები დასჭირდება, ბანკს უნდა მიმართოს. სახსრების განმანაწილებელ მხოლოდამხოლოდ ბანკი ითვლება. სამეურნეო ორგანიზაცია კი მოწოდებულია შესარულოს საწარმოო გეგმის ის განაკ-ვეთი, რომლის შესრულება მას აქვს დაკისრებული.

როგორც ვთქვით, საკრედიტო რეფორმის შემდეგ საბჭოთა ბალანსებში მყიდველებსა და მომწოდებლებს ადგილი არ უნდა ქონდეს, მიუხედავად ამისა ჩვენს ბა-ლანსებში ხშირად ვხვდებით მომწოდებლებს პრეტენზიებით და მყიდველებს პრეტენზიებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სამეურნეო ორგანიზაციებს შორის სამეურნეო ოპერაციებ-ზე ანგარიშებს ბანკი ასწორებს; მაგრამ, თუ მყიდველსა და გამყიდველს შორის რაიმე გაუგებრობას აქვს ადგილ თუ მყიდველი რაიმე პრეტენზიას აცხადებს გამყიდვე-ლის მიმართ, ან პირიქით, გამყიდველი მყიდველის მიმარ ასეთი შემთხვევები ზედის ბალანსში მუხლებით "მყიდ-ველები პრეტენზიით", ან მომწოდებლები პრეტენზიით".

გარდა ამისა ბალანსში ვხვდებით დებიტორებსა და კრედი-ტორებს საიმპორტო და საექსპორტო ოპერაციებით; ვხვდე-ბით დებიტორებსა და კრედიტორებს არაკომერციული ოპერა-ციებით; დებიტორებსა და კრედიტორებს შორის ვხვდებით აგრეთვე კერძო სექტორსაც /განუსაზღვრელები სექტორი/ როდესაც სოფლის ინდივიდუალური მეურნეები რაიმე პრო-დუქტს აბარებენ სამეურნეო ორგანიზაციას.

უკანასკნელად ჩვენი ბალანსების აქტივში მო-თავსებულია ხარჯები. ამგვარად, საბჭოთა ბალანსების აქტივში საშუალებათა მოთავსება შემდეგნაირად შეიძლე-ბა დავაჯგუფოთ:

I. წარმოების საშუალებები:

1. წარმოების ძირითადი საშუალებები, ანუ შრომის იარაღები:

ა/ შენობები და ნაგებობანი;

ბ/ მანქანები და მოწყობილობანი;

გ/ იარაღები;

დ/ სატრანსპორტო საშუალებანი;

2. წარმოების საბრუნავი საშუალებანი, ანუ შრომის საგანი:

ა/ მასალა ძირითადი, ნედლეული;

ბ/ მასალა დამხმარე;

გ/ სათბობი მასალა;

დ/ სარემონტო-სამშენებლო მასალა.

II. მიმოქცევის საშუალებანი:

1. მიმოქცევის საშუალებანი, რომლებიც იმყოფება მეურნეობის განკარგულებაში:

ა/ მზანაწარმი;

ბ/ ფული სალაროში;

გ/ ფული ბანკში;

დ/ ფასიანი ქაღალდები.

2. მიმოქცევის საშუალებანი, რომლებიც იმყოფება სხვის განკარგულებაში:

ა/ დებიტორები, რომლებიც შეიძლება დანაწილებული იყვნენ იმის მიხედვით, თუ რამ გამოიწვია სამეურნეო საშუალებათა სხვაზე გადაცემა.

II. პასივის ბურჟუაზიული განაწილება.

ჩვენ განვმარტეთ პასივი, როგორც მეურნეობის სამეურნეო საშუალებათა წყაროს გამომხატველი. პასივი აქტივის მოპირდაპირე და მისი განმმარტებელია. ბალანსში მოცემულია სამეურნეო საშუალებათა მთლიანობა.

ბურჟუაზიულ განმარტებით პასივი ეწოდება არა ყველა სამეურნეო საშუალებების წყაროს, არამედ მხოლოდ ნასესხ თანხებს. კაპიტალისტურ მეურნეობაში, როგორც ვიცით, სამეურნეო საშუალებები შეიძლება ეკუთვნოდეს, ერთი მხრით, მეურნეობის პატრონს, ხოლო, მეორე მხრით, გარეშე პირებისა და დაწესებულებებს. უკანასკნელი

აღინიშნება ბალანსში სესხის სახელწოდებით და აი ზოგი-
ერთი ბურჟუაზიული თეორეტიკოსის აზრით პასივი წარმოად-
გენს მეურნეობის ვალს. პროფესორი ი.შერი შემდეგ შე-
თანასწორებას გვაძლევს: აქტივი უდრის პასივს პლიუს
საკუთარი თანხა. ამ შეთანასწორებას ი.შერი უწოდებს
კაპიტალის შეთანასწორებას, წინააღმდეგ მეორე შეთანას-
წორების: აქტივი უდრის პასივს; ამას უწოდებს საბალან-
სო შეთანასწორებას. პირველი შეთანასწორებით საკუთარი
თანხა არ წარმოადგენს პასივს; პასივი არის ვალი, ე.ი.
მეურნეობაში გარედან მიღებული საშუალებები.

პასივზე ასეთი შეხედულება მომდინარეობს იმ
დროიდან, როდესაც პირველად მისცეს სამეურნეო საშუალე-
ბებს ორმხრივი გამოხატულება, საიდანაც იწყება ბალან-
სის ისტორია. ვაჭარი რომ თავის ქონებრივ საშუალებებს
არკვევს, ის აღნიშნავს ყოველგვარ ქონებას, ერთი მხრით,
ხოლო მეორე მხრით, ვალს. ეს ორი სიდიდე აინტერესებს
მას უმთავრესად. რაც შეეხება საკუთარ თანხას, ამის
გასაგებად საკმარისია პირველ სიდიდეს გამოვაკლოთ
მეორე სიდიდე. მაშასადამე, მთავარია ქონების და
ვალის გამორკვევა. მთელი ქონების მასას უწოდეს
აქტივი, ხოლო ვალს უწოდეს პასივი. საკუთარ თანხას
მხოლოდ გამოკლების შესამოწმებლად მიუწერდნენ ვალს
და ამგვარად ღებულობდნენ ორივე მხარის თანასწორობას.

ამგვარად, პასივი მათი შეხედულებით წარმოადგენდა მხოლოდ ვალს. მაგრამ აქ ერთი შეუსაბამობა გადაეღობა მათ წინ. როდესაც ბალანსს მისცეს ის ფორმა, რასაც დღე-საც ატარებს ის, ე.ი. ორმხრივი ფორმა, მარცხნით-აქტივი ხოლო მარჯვნით-პასივი. მარჯვენა მხარეს მოთავსებულია არა მარტო ვალი, არამედ მეურნეობის საკუთარი თანხაც. პასივი ფორმალურად. მაშასადამე, როგორც ბალანსის მარ-ჯვენა მხარე, წარმოადგენს არა მარტო ვალს, არამედ სა-კუთარ თანხასაც. საჭირო იყო აღმოჩენილი წინააღმდეგო-ბის მოსპობა და იმის დამტკიცება, რომ პასივი მეურნეო-ბის ვალს გამოხატავს, მაგრამ მეურნეობის პატრონის მიერ მეურნეობაში მოთავსებული საკუთარი თანხაც მეურ-ნეობისათვის ვალს წარმოადგენს მეურნეობის პატრონის წინაშე. მეურნეობის პატრონი ერთია. ხოლო მეურნეობა-მეორე. მეურნეობა განიხილება მისი პატრონისაგან დამოუკიდებლად. მეურნეობამ პასუხი უნდა აგოს პატრონის წინაშე იმ თანხაზე, რომელიც პატრონმა მეურნეობაში მოათავსა. ბურჟუაზიული თეორეტიკოსების აზრით მეურნეო-ბის ეს პასუხისმგებლობა პატრონის წინაშე ისეთივეა, როგორც მეურნეობის პასუხისმგებლობა გარეშე მეურნეო-ბათაგან მიღებულ თანხებზე /ვალზე/.

პასივის ასეთი განმარტება და საკუთარი თანხის გაიგივება ნასესხ თანხებთან, რასაკვირველია, ხელოვნუ-რია. ის გამომდინარეობს კერძო მეურნეობრივი ურთიერ-თობის პირობებისაგან. არსებითად, რასაკვირველია,

მეურნეობის პატრონის განცალკევება მეურნეობისაგან და მათ შორის ვალდებულებრივი ურთიერთობის შექმნა ნაძალადევია. არავითარი ვალდებულებრივი ურთიერთობა მეურნეობის პატრონსა და მეურნეობას შორის არ არსებობს. საკუთარი თანხის დახარჯვა ვალად დასჭირდათ მხოლოდ იმიტომ, რომ გაემართლებინათ პასივის განმარტება, როგორც მეურნეობის ვალის.

ზოგიერთი ბურჟუაზიული თეორიტიკოსი შეუსაბამობას ხედავდა იმაში, რომ საკუთარ თანხის ისეთივე ვალდებულებად ნახავდენ მეურნეობისათვის, როგორც ნასესხ თანხებს, საჭირო იყო გამოსავალის გამონახვა; საფრანგეთის ანგარიშმყოდნეები დეიტეი და გილბო პოულობენ ამ გამოხატულებას; ისინი ამბობენ: პასივი ორგვარია; რეალურიპასივი და ფაქტიური პასივი. რეალური პასივი არის ვალი გარეშე მეურნეობის წინაშე. ფაქტიური პასივი კი არის მეურნეობის პატრონის მიერ მეურნეობაში მოთავსებული თანხა, მაშასადამე, პასივი არის ვალი, მაგრამ არაერთგვარი. ერთი მხრით, არის ნამდვილი რეალური პასივი, რეალური ვალი, ხოლო, მეორე მხრით, ფაქტიური პასივი, მოჩვენებითი ვალი.

როგორც აღვნიშნეთ, პასივის ასეთი განმარტება თვით კაპიტალისტური მეურნეობისათვისაც მიუღებელია. რაც შეეხება სოციალისტურ მეურნეობას, აქ აღნიშნული დებულებები ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. მეურნეობის პატრონის წარმოდგენა მეურნეობისაგან დამოუკი-

დებლად, ვალდებულებრივი ურთიერთობა მეურნეობასა და პატრონის შორის და სხ., ჩვენს პირობებში, რასაკვირ-ველია, ფიქცია არის, პირველად ყოვლისა ჩვენში არ არსე-ბობს ცალკე დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული. უკანას-კნელი შეადგენს მთლიანი სახალხო მეურნეობის უჯრედს; სამეურნეო ერთეულს გადაეცემა შესასრულებლად სახალხო მეურნეობის მთლიანი გეგმის განსაზღვრული განაკვეთი და გეგმის შესასრულებლად განსაზღვრული სამეურნეო საშუალებები. მეურნეობათა ვალზე და მეურნეობის საკუთ-თარ თანხაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ასე დავსვათ კითხვა: საიდან, რომელ წყაროდან და რა ფორმით არის გადაცემული სამეურნეო საშუალებები, ამის გამო ჩვენს სინამდვილეში პასივის ნამდვილი გან-მარტება არის ის, რომელიც მოყვანილია მე " " გვერდ-ზე, რომელიც სახავს პასივს როგორც სამეურნეო საშუალე-ბათა წყაროს.

4. სამეურნეო პროცესები და სამეურნეო ოპერაციები.

1. სამეურნეო პროცესები სოციალისტურ მეურნეობაში.

ჩვენ შევისწავლეთ მეურნეობის სამეურნეო საშუა-ლებათა გამორკვევა, შევისწავლეთ ბალანსი, როგორც სამეურ-ნეო საშუალებათა მოთავსებისა და მათი წყაროების გა-მომსახველი, ბალანსი გამოხატავს სამეურნეო საშუალე-ბებს განსაზღვრულ მომენტში. მეურნეობა კი ხასიათდე-ბა საქმიანობით; მეურნეობაში მუდმივი მოძრაობაა, სიცოცხლე, განვითარება.

თითოეულ მომენტში მეურნეობის დამახასიათებელია ის გარემოება, თუ როგორ შეასრულა მან სახალხო მეურნეობის მთლიანი გეგმის ის განაკვეთი, რომელიც მიეცა მას შესასრულებლად.

საწარმოო გეგმა ის სამეურნეო საშუალებანი, რაც მეურნეობას გადაეცა გეგმის შესასრულებლად, იწვევს მეურნეობაში სამეურნეო პროცესებს. სამეურნეო პროცესები ცვლის მეურნეობის პირვანდელ მდგომარეობას და იქმნება ახალი მდგომარეობა, ახალი მიღწევებით, წინსვლით, ან უკანასვლით. ეს ახალი მდგომარეობა კვლავ ახალ სამეურნეო პროცესებს იწვევს, რითაც იცვლება წინა მდგომარეობა და იქმნება ახალი, და ასე დაუსრულებლად.

მაშასადამე, ამ მუდმივ, განუწყვეტელ მოძრაობაში ჩვენ ვიჭერთ მეურნეობას ერთ მომენტში, რომ მისი სამეურნეო საშუალებები წარმოვიდგინოთ ორმხრივ განაკვეთით; აი, ეს ერთი მომენტის სურათი არის ბალანსი.

თითოეულ სამეურნეო დარგს თავისებური სამეურნეო პროცესები ახასიათებს. დამამზადებელი ორგანოების საქმიანობაში ჩვენ ვხედავთ ერთი მხრით, დამზადების პროცესებს, ხოლო მეორე მხრით, დამზადებული პროდუქციის განაწილების პროცესებს. საწარმოო მეურნეობაში /მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში/ ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრით, დამზადების პროცესებს, მეორე მხრით, წარმოების პროცესებს, ხოლო მესამე მხრით, განაწილების, რეა-

მეხამე მხრით,განაწილების, რეალიზაციის პროცესებს.

სამეურნეო პროცესებს სოციალისტურ მეურნეობებში
ახასიათებს ის გარემოება,რომ პროცესები სახალხო მეურ-
ნეობის გეგმით არის გათვალისწინებული;თუ კაპიტალისტურ
მეურნეობაში სამეურნეო პროცესები წარმოიშვებიან მუშა-
თა კლასის ექსპლოატაციის მიზნით, ზედმეტი ღირებულების
მითვისებისა და კაპიტალის გაზრდის მიზნით,ზედმეტი ღი-
რებულების მითვისებისა და კაპიტალის გაზრდის მიზნით,
სოციალისტურ მეურნეობაში,როგორც ვთქვით, სამეურნეო
პროცესები სახალხო მეურნეობის ერთიანი გეგმისაგან
გამომდინარეობს,ის გეგმისაგან,რომელიც აგებულია მუშა-
თა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საფუძველ-
ზე და რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის გარდაქმნას
კომუნიზმის საფუძვლებზე, მრეწველობის ინდუსტრიალიზა-
ციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქ-
ციას.

სამეურნეო პროცესები,რასაკვირველია,ცვლიან იმ
სამეურნეო საშუალებათა სახეს რაცმეურნეობის განკარ-
გულებაშია გადაცემული. როდესაც მეურნეობამ მასალა
დაამზადა და დამზადებაზე დახარჯა ფულადი საშუალებები,
რაც მას ბანკში ქონდა მოთავსებული,ამით მისი ბალანსი
შეიცვალა; შეიცვალა საშუალებათა მოთავსების სახე.
საშუალებით იყო მოთავსებული ბანკში; ეხლა კი ის მო-
თავსებულია მასალაში. როდესაც ფაბრიკამ დახარჯა მა-
სალა, გადაუხადა მუშებს ხელფასი და მიიღო მზანაწარ-
მი,აქაც სრულად შეიცვალა სამეურნეო საშუალებათა.

მოთავსების ხაზე; მასალისა და ფულის ნაკადად მეურნეობას მზანაწარმში აქვს.

საბალანსო აღრიცხვა სამეურნეო პროცესებს ასახავს ორმხრივი განაკვეთით: ერთი მხრით, სამეურნეო საშუალებათა მოთავსებისა, ხოლო მეორე მხრით, სამეურნეო საშუალებათა წყაროების აღნიშვნით. აქედან მეურნეობის ხელმძღვანელს მუდამ უნდა ქონდეს ხელში ცნობები, თუ რა სამეურნეო პროცესებს ქონდა ადგილი მეურნეობაში და რამდენად სრულდება სამეურნეო გეგმა; რაში აქვს მეურნეობას მოთავსებული სამეურნეო საშუალებები და წყაროებიდან აქვს მიღებული.

აღნიშნული ცნობები რომ მუდამ ხელში გვქონდეს, საჭიროა დაჭერილ იქნას მეურნეობის სამეურნეო საშუალებათა მდგომარეობა განსაზღვრულ მომენტში და სისტემატიურად ფიქსაციის გზით სამეურნეო საშუალებათა მოთავსების და მათი წყაროების სახეებში შეტანილი იქნას სამეურნეო პროცესებისაგან გამოწვეული ცვლილებები. მაგრამ სამეურნეო პროცესი ხანგრძლივ საქმიანობას გულისხმობს, რომელიც სხვადასხვა სახის მოქმედებას შეიცავს. წარმოების პროცესი, მაგალითად, არა არის ერთი აქტი; წარმოების პროცესი გულისხმობს სხვადასხვა სახის მასალის გადაცემას წარმოებაში; გადამუშავება ნედლეული, ძირითადი მასალა, უნდა მიღებულ იქნას მამოძრავებელი ძალა მანქანების ასამუშავებლად; მიეცემა მუშებს ხელფასი; დამზადდება პროდუქციის ერთი რომელიმე ნაწილი

შემდეგ მეორე,მესამე და მხოლოდ შემდეგ ვღებულობთ მზანაწარმს.

წარმოების პროცესი რომ ავიღოთ სოფლის მეურნეობაში, იქ კიდევ უფრო დიდ დროსთან და მრავალ მომენტებთან გვაქვს საქმე. წარმოების პროცესი იქ თვეობით გრძელდება, სანამ პროდუქცია დასრულებულ სახეს მიიღებს. ამ ხნის განმავლობაში სამეურნეო პროცესის მრავალ ცალკე ელემენტს აქვს ადგილი; სამეურნეო პროცესის ცალკე ელემენტს,ერთ მოქმედებას,რასაც მოაქვს ცვლილება სამეურნეო საშუალებათა მოთავსებისა /აქტივი/ და სამეურნეო საშუალებათა წყაროების /პასივის/ სახეები, ეწოდება სამეურნეო ოპერაცია.

მაშასადამე,სამეურნეო საქმიანობა სამეურნეო პროცესებისაგან შედგება. სამეურნეო პროცესების შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს სამეურნეო ოპერაციები. სამეურნეო გეგმა,რომელიც აქვს მიცემული შესასრულებლად სამეურნეო ორგანიზაციას, ითვალისწინებს ის სამეურნეო პროცესებს, რასაც ადგილი ექნება გეგმის შესრულების დროს. სამეურნეო გეგმით ითვალისწინებს ის სამეურნეო საშუალებებსაც, რაც თავიდან ექნება გადაცემული მეურნეობას ამ საშუალებებს ორმხრივი გამოხატულებით; ერთი მხრით, საშუალებათა მოთავსებას,ხოლო, მეორე მხრით, საშუალებათა წყაროებს; ამგვარად, სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს მეურნეობის დაწყებით ბალანსს.

საწარმოო საფინანსო გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე, თუ რა წყაროებიდან და რომელი სამეურნეო პროცესების საწარმოებლად რა საშუალებები გადაეცემა მეურნეობას დამატებით. მეორე მხრით გეგმა ითვალისწინებს , თუ როგორ მოიხმარს მეურნეობა გადაცემულ საშუალებებს, რა მოთავსებას მისცემს. მაგალითად, ფაბრიკის საწარმოო გეგმა ითვალისწინებს, რომ საოპერაციო პერიოდის განმავლობაში ფაბრიკამ უნდა გადაამუშაოს 100.000 მან. მასალა; ამ რაოდენობიდან ფაბრიკას აქვს საოპერაციო პერიოდის დასაწყისში 10.000 მან. მასალა; დამატებით უნდა შეიძინოს 90.000 მანეთის მასალა.

გეგმა ითვალისწინებს, რომ საოპერაციო პერიოდის განმავლობაში ფაბრიკამ უნდა გაიღოს შრომითი დანახარჯები 125.000 მანეთი. პირველ შემთხვევაში, მაშასადამე, გეგმა ითვალისწინებს, რომ ფაბრიკამ უნდა მოათავსოს მასალაში 90.000 მანეთი, ხოლო მეორე შემთხვევაში უნდა მოათავსოს ხელფასში. ე.ი. გასცეს მუშებზე ხელფასი 125.000 მან.

გეგმა ითვალისწინებს,რომ საოპერაციო პერიოდის განმავლობაში ფაბრიკამ უნდა გაიღოს საერთო საცეხო ხასიათის ხარჯი 30.000 მანეთის, ხოლო საერთო საქარხნო ხასიათის ხარჯი 55.000 მან., ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფაბრიკამ უნდა მოათავსოს საცეხო ხარჯებში 30.000 მანეთი, ხოლო საერთო საქარხნო ხარჯებში 55.000 მან.

ყველა აღნიშნული ხარჯი საბოლოოდ პოებს თავის
გამოხატულებას მზანაწარმში. მაშასადამე,გეგმა ითვა-
ლისწინებს,რომ მასალაში ხელფასში,საცეხო ხარჯებში
და საერთო საქარხნო ხარჯებში მოთავსებული საშუალებე-
ბი ბოლოს გადავა მზანაწარმში.

ფაბრიკამ რომ აღნიშნული საწარმოო პროცესი შეას-
რულოს,საჭირო მის განკარგულებაში იყოს ის სამეურნეო
საშუალებები. რომელთა მოთავსებაც ჩვენ აღვნიშნეთ;
საჭირო საშუალებათა წყაროების დასახვაც.

გეგმა ითვალისწინებს,რომ მეურნეობის განკარგუ-
ლებაში უკვე იმყოფება საოპერაციო პერიოდის დასაწ-
ყისში განსაზღვრული საშუალებები, რომელთა წყარო აღ-
ნიშნულია დაწყებითი ბალანსის პასივში.

გეგმა ითვალისწინებს,რომ საოპერაციო პერიოდის
განმავლობაში დამატებითი საშუალებები გადაეცემა მეურ-
ნეობას ახალი წყაროებიდან. ვთქვათ ბანკიდან; რომ ეს
საშუალებები დროებით გადაცემული იქნება, რომელსაც
ვადაზე უკან დაბრუნება უნდა ბანკში, ე.ი. ამოღება
მეურნეობიდან. მეურნეობიდან საშაულებათა გაცანისათ-
ვის ყ საჭირო აგრეთვე წყარო; ვთქვათ, წყარო იქნება
ის მზანაწარმი, რომელიც მიღებულია წარმოებიდან.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ ბევრი მაგალითი დაგვესა-
ხელებინა გეგმის შესრულებიდან,საიდგან ჩანს, რომ გეგ-
მის შესრულების პროცესში ადგილი აქვს სამეურნეო სა-
შუალების ბრუნვას,რომ ამ ბრუნვის დროს ჩვენ ვხედავთ
სამეურნეო საშუალებათა სხვადასხვა სახით მოთავსე-
ალებას მოვა-
ბას; პირველად ბანკიდან მიღებული საშუალ

თავსებთ მასალაში. ამ მოთავსების წყაროს წარმოადგენს ბანკის მოკლევადიანი სესხი; მასალა გადავეცით წარ-მწარმოებაში,მსასალა დავხარჯეთ; მასალას მიეცა მო-თავსება; ეს არის წარმოება. საიდან მოვათავსეთ სა-მეურნეო საშუალება წარმოებაში.- მასალისაგან. მაშა-სადამე,ამ ახალი მოთვასების /წარმოება/ წყაროდ ითვლება მასალა; ბანკიდან მივიღებ ნაღდი ფული სადა-რიში ხელფასის გასაცემად: სამეურნეო საშუალება გვა-ქვს მოთავსებული სალაროში; მის წყაროდ ითვლება სესხი ფული მიეცით მუშებს ხელფასის სახით; მივიღეთ ახალი მოთავსება წარმოებაში; საიდან გადავიხადეთ ხელფასი სალაროდან. მაშასადამე, წარმოებაში ამ ახალ მოთავ-სების წყაროდ ითვლება სალარო. გადავიხადეთ სადა-როდანვე-საერთო ხარჯი; მივიღეთ წარმოებაში ახალი სა-ხის მოთავსება საერთო ხარჯის სახით; მის წყაროდ ითვლება აგრეთვე კალარო. მივიღეთ წარმოებიდან მზანა-წარმი. ეს იქნება ხულ ახალი სახის მოთავსება. სა-მეურნეო საშუალება, რომელიც წარმოებაში იყო მოთავ-სებული ,ახლა გვაქვს მოთავსებული მზანაწარმში. ამ ახალი სახის მოთავსების წყაროდ ითვლება წარმოება. გავყიდეთ პროდუქცია ნაღდზე; რა მოხდა.- საქმე გვაქ-ახალ მოთავსებასთან: მზანაწარმის მაგიერად სამეურ-ნეო საშუალება გვაქვს მოთავსებული სალაროში; მაგ-რამ სალაროში მივიღეთ უფრო მეტი,ვიდრე ჩვენ გვი-ღირდა გამზადებული მზანაწარმი; მაგ. მზანარმი არის

800 მანეთის,ხოლო ფული მიიღეთ 1.000 მანეთი. 200
მანეთი შეადგენს დაზოგვას. უკანასკნელ შემთხვევაში
მოთავსების / სალარო/ წყაროდ ითვლება,ერთი მხრით,
მზანაწარმი 800 მან. ხოლო მეორე მხრით, დაზოგვება.
აღნიშნულ სამეურნეო ოპერაციებში მასალიდან და ფული-
დან დაწყებული მზანაწარმის მიღებამდის ადგილი ქონდა
მეურნეობის განკარგულებაში არსებულ სამეურნეო საშუა-
ლებათა შორის მოთავსების გადანაცვლების; ერთი სახის
მოთავსების მაგიერ ჩვენ ვღებულობთ მეორე სახის მო-
თავსებას. უკანასკნელ მაგალითში კი,როდესაც 800 მანე-
თად ღირებული მზანაწარმში 1.000 მანეთი მიიღეთ.
ადგილი აქვს ახალი სამეურნეო საშუალების მიღებას
მეურნეობაში. მეურნეობის სამეურნეო საშუალებები გაი-
ზარდა 200 მანეთით: მის წყაროს სოციალისტური დაგრო-
ვება ეწოდება. ესეც ზემოთ არის გათვალისწინებული.

თვითოეული სამეურნეო ოპერაცია,სადაც ადგილი
აქვს მეურნეობაში და რასაც შეაქვს ცვლილება მეურნეო-
ბის ბალანსში, წარმოადგენს სამეურნეო ზემოთ გათვა-
ლისწინებულ რომელიმე სამეურნეო პროცესის ელემენტს.

ზემოაღნიშნული ოპერაციებიდან ჩვენ დავინა-
ხეთ, რომ როდესაც საქმე გვაქვს ახალ მოთავსებასთან,
უკანასკნელს აუცილებლად თავისი წყარო აქვს. აქ ორ-
გვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე:

1. როდესაც სამეურნეო საშუალება გარედან შე-
მოდის მეურნეობაში, როდესაც სამეურნეო საშუალებათა

ჯამი იზრდება.

2. როდესაც საქმე გვაქვს ახალი საქმის მოთავსებასთან, მაგრამ ის არის არა გარედან ახალი საშუალების მოთავსების შედეგ, არამედ მეურნეობის განკარგულებაში უკვე არსებულ სამეურნეო საშუალებებში მომხდარი გადაჯგუფების შედეგ ერთი სახის მოთავსება იცვლება მეორე სახის მოთავსებად. მოთავსების წყაროდ ამ შემთხვევაში ითვლება მეორე სახეს მოთავსება, აქტივის მეორე სახე. საშუალებათა ჯამი არ იცვლება.

პირველ შემთხვევაში, როდესაც მეურნეობის განკარგულებაში ახალი საშუალებები შემოდის, ის შეიძლება იყოს ან მეურნეობაზე დროებით გადაცემული საშუალებანი, ან სოცდაგროვება.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც კოოპერიაცია არ ეხება მეურნეობის საშუალებათა მოთავსებას, რომელიც ცვლის მხოლოდ სამეურნეო საშუალებათა წყაროს სახეებს. ამ შემთხვევაში სამეურნეო ოპერაცია წარმოებს ოპერაციის გარეშე. მაგალითად, მეურნეობის კრედიტორმა შეიტანა ბანკში მეურნეობის მოკლევადიანი სესხის დასაფარავად განსაზღვრული თანხა. მეურნეობის განკარგულებაში არსებულ სამეურნეო საშუალებებში ამ ოპერაციით არავითა ცვლილება არ მომხდარა. შეიცვალა მხოლოდ საშუალებათა წყარო; უკანასკნელ ოპერაციამდის საშუალებათა წყაროდ ითვლებოდა ბანკიდან მიღებული სესხი. ხოლო ამ ოპერაციის შედეგ იმავე თანხის საშუალებათა წყაროდ ითვლება

კრედიტორი. სამეურნეო საშუალებათა გადაჯგუფებას აქაც აქვს ადგილი; განსაზღვრული სამეურნეო საშუალება მოთავსდა ბანკში. ვთქვათ კრედიტორმა ნაღდი ფული შეიტანა ბანკში, ამ შემთხვევაში საშუალებას მიეცა ბანკში მოთავსების სახე; რა იქნება ამ მოთავსების წყარო. რასაკვირველია, ამ მოთავსების წყაროდ ითვლება კრედიტორი. მაშასადამე, საშუალება მოთავსდა ბანკში, რომლის წყაროდ ითვლება კრედიტორი. ეს ოპერაცია შეგვიძლია დავშალოთ და წარმოვიდგინოთ ამგვარად: კრედიტორმა გადმოგვცა დროებით სამეურნეო საშუალება, ვთქვათ, ნაღდი ფული, მოთავსების სახე იქნება სალარო, ხოლო წყაროდ კრედიტორი. იგივე თანხა ჩვენ შევიტანოთ ბანკში სესხის დასაფარავად; მოთავსება ბანკში, ხოლო წყარო —სალარო/ მაგრამ ფაქტიურად ოპერაცია ისე არ მომხდარა. ოპერაცია სალაროს არ შეეხება; კრედიტორმა პირდაპ[ირ] შეიტანა ფული ბანკში. მაშასადამე, სამეურნეო საშუალე[ბ]ბათა მოთავსებად ითვლება ბანკი, ხოლო წყაროდ ითვლება კრედიტორი.

ამგვარად, მოთავსება ხდება სამეურნეო საშუალებათა წყარო. ხოლო წყარო ხდება მოთავსებად. შემდეგ კიდევ მოთავსება ახალი მოთავსების წყარო, წყარო ახალ მოთავსებათ და ასე დაუსრულებლად.

2. მიმდინარე აღრიცხვა საბალანსო მეთოდით.

გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის პროცესები შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

1. ოპერაციები წარმოების სფეროს სამეურნეო საშუალებებში – წარმოების ძირითად საშუალებათა ერთი სახის გაცვლა და მეორე სახის მიღება; შრომის საგანთა ერთი სახის გაცვლა და მეორე სახის მიღება.

2. მიმოქცევის სფეროდან სამეურნეო საშუალებათა გადასვლა წარმოების სფეროში, შრომის იარაღების შეძენა ბანკიდან ფულის გაცემით; მასალების შეძენა და სხვა.

3. წარმოების სფეროდან სამეურნეო საშუალებათა გადასვლა მიმოქცევის სფეროში: წარმოებიდან პროდუქციის მიღება.

4. ოპერაციები მიმოქცევის სფეროში: მიმოქცევის სფეროს სამეურნეო საშუალებათა ერთი სახის გაცვლა და მეორე სახის მიღება. საქონლის გაყიდვა და ფულის მიღება, საქონლის ყიდვა.

5. ახალ სამეურნეო საშუალებათა მიღება მეურნეობაში: სესხის აღება, დაგროვების მიღება, დაფინანსების წესით, საშუალებათა მიღება და სხვა.

6. მიღებულ სამეურნეო საშუალებათა ამოღება მეურნეობიდან, მეურნეობის განკარგულებაში არსებუ-

ლი სამეურნეო საშუალებათა შემცირება, სესხის გასტუმ-
რება, მიღებული დაგროვების გადაცემა სათანადო ორგა-
ნოებზე და სხვა.

როგორც ზემოდ ჩამოთვლილი სქემიდან ვხედავთ,
მეურნეობის განკარგულებაში არსებულ სამეურნეო საშუა-
ლებები მუდამ მოძრაობაში იმყოფება, გადადის ერთი
სფეროდან მეორე სფეროში, ერთი სახის მოთავსება იცვლე-
ბა მეორე სახის მოთავსებად და სხვა. სამეურნეო საშუა-
ლებათა ეს მოძრაობა აისახება ბუღალტერიაში, აქ არის
მოცემული გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის
პროცესები.

ამგვარად თვითეული სამეურნეო ოპერაცია წარ-
მოადგენს სამეურნეო საშუალებათა მოძრაობას. ამ
მოძრაობაში აშკარად მოსჩანს სამეურნეო საშუალებათა
მოთავსება და მოთავსების წყარო. საბუღალტრო ნაშთების
ბალანსშიაც გვაქვს სამეურნეო საშუალებათა მოთავსე-
ბა /აქტივი/ და წყარო /პასივი/. მაგრამ აღნიშნული
ბალანსი დაჭერილ სტატიკური მდგომარეობას.გამოხატავს.
ეს არის ერთი მომენტის მდგომარეობა. მოძრაობის პრო-
ცესშიაც გვაქვს სამეურნეო საშუალებათა მოთავსება,
რომელსაც ყოველთვის აქვს თავისი წყარო. მოძრაობის
პროცესში მოთავსებას უწოდებს დებეტს. ხოლო მოძრაო-
ბის პროცესში წყაროს უწოდებთ კრედიტს.

ისე, როგორც საბუღალტრო ბალანსში, ან როგორც
ამბობენ ნაშთების ბალანსში აქტივი უპირისპირდება

პასივს და ეს დაპირისპირება იძლევა მთლიანობას, მოძრაობის პროცესშიაც დებეტი უპირისპირდება კრედიტს- და ეს დაპირისპირება იძლევა მთლიანობას.

აქტივი ყოველთვის გულისხმობს პასივს, აგრეთვე დებეტი ყოველთვის გულისხმობს კრედიტს; რადგან ყოველგვარ მოთავსებას აქვს თავისი წყარო და ყოველგვარ წყაროს აქვს თავისი მოთავსება აქტივი ყოველთვის უდრის პასივს; დებეტი ყოველთვის უდრის კრედიტს.

როდესაც აქტივის რომელიმე სახეში ახალ სამეურნეო საშუალებებს ვათავსებთ, ამით აქტივის ეს სახე იზრდება. მაგალითად, ჩვენ გვაქვს ნედლეული 5.000 მან. კიდევ შევიძინეთ ნედლეული, კიდევ მოვათავსეთ ნედლეულში 3.000 მანეთი ამით აქტივის აღნიშნული სახე -ნედლეული სახე გაიზარდა 5.000 მანეთის ნაცვლად ამის შემდეგ ნედლეული გვაქვს 8.000 მანეთის.

როდესაც აქტივის რომელიმე სახე მეორე სახის მოთავსების წყაროთ იქცევა, ამით აქტივის ეს სახე მცირდება. მაგალითად, ჩვენ გვაქვს 5.000 მ. ნედლეული საწყობში. საწყობიდან ნედლეული 2.000 მან. გადაეცა წარმოებას. მაშასადამე, სამეურნეო საშუალება, რომელიც იყო მოთავსებული საწყობში, აღნიშნული სამეურნეო ოპერაციის შემდეგ მოთავსებულია წარმოებაში. წარმოებაში ახალი მოთავსების წყარო ითვლება ნედლეული საწყობში.

როდესაც ნედლეული საწყობში იქცა ნაწარმოებში ახალი
მოთავსების წყაროთ, ნედლეული საწყობში შემცირდა
2.000 მანეთით. საწყობში ნედლეული დარჩა 3.000 მანე-
თის.

მაშასადამე, სამეურნეო საშუალებათა მოძრაობის
პროცესში, გადართული სოციალისტური რეპროდუქციის
პროცესების დროს, აქტივის მუხლებში ახალ სამეურნეო
საშუალებათა მოთავსება იწვევს აქტივის მოცემული მუხ-
ლის გადიდებას. იმავე საშუალებათა მოძრაობის პრო-
ცესში, როდესაც აქტივის რომელიმე ახალი მოთავსების
წყაროთ იქცევა, ეს იწვევს აქტივის მოცემულ მუხლის
შემცირებას, ჩვენს მაგალითში 3.000 მანეთის ნედლეუ-
ლის ყიდვით ნედლეული საწყობში გაიზარდა; 2.000 მა-
ნეთის ნედლეული, ნაწარმოებში გადაცემით, ნედლეულის
რაოდენობა საწყობში შემცირდა.

როგორც ზევით ვსთქვით, სამეურნეო საშუალებათა
მოძრაობის პროცესში სამეურნეო საშუალებათა მოთავსე-
ბას ეწოდება დებეტი, ხოლო იმავე მოძრაობის პროცეს-
ში სამეურნეო საშუალებათა წყაროს ეწოდება კრედიტი.

მაშასადამე, დებეტი აქტივისათვის გამოხატავს
გადიდებას, ხოლო კრედიტი აქტივისათვის გამოხატავს
შემცირებას.

ეხლა განვიხილოთ როგორ მოქმედობს სამეურნეო
საშუალებათა მოძრაობა პასივის მუხლზე.

როდესაც პასივის რომელიმე მუხლის სახით ახალი სამეურნეო საშუალებები შემოდის მეურნეობაში, ამით პასივის მოცემული მუხლი იზრდება. მაგალითად ჩვენ გვაქვს სესხი აღებული ბანკიდან 4.000 მან. ჩვენ კიდევ ავიღეთ სესხი 2.000 მან..და მივიღეთ მეურნეობაში ახალი სამეურნეო საშუალებები; სესხი ბანკიდან გაიზარდა 4.000 მან. ნაცვლად აღნიშნული ოპერაციის შემდეგ ჩვენ გვაქვს სესხი ბანკიდან 6.000 მანეთი.

როდესაც პასივის რომელიმე მუხლი მიღებული სამეურნეო საშუალება გადის მეურნეობიდან და ამით მცირდება მეურნეობის განკარგულებაში არსებული სამეურნეო საშუალებები, როდესაც მაშასადამე პასივის რომელიმე მუხლი მოთავსებათ იქცევა, ამით პასივის მოცემული მუხლი მცირდება. მაგალითად, ჩვენ გადავუხადეთ ბანკს სესხი 2.000 მანეთი სესხის გადახდა იმას ნიშნავს ჩვენს განკარგულებაში არსებული სამეურნეო საშუალებიდან /აქტივის რომელიმე მუხლის/ განსაზღვრული ნაწილი ავიღეთ და შევიტანეთ ბანკში სესხის დასაფარავად 2.000 მან. მაშასადამე, ჩვენ გაუშვით სესხი, შევამცირეთ აღებული სესხი.

ამგვარად, როდესაც პასივის რომელიმე მუხლით ახალი სამეურნეო საშუალება შემოდის მეურნეობაში. ამით პასივის მოცემული მუხლი იზრდება; როდესაც პასივის რომელიმე მუხლი მოთავსებათ იქცევა. ამით პასივის მოცემული მუხლი მცირდება.

მაშასადამე, მოთავსება ანუ დებეტი პასივისათვის ნიშნავს შემცირებას, ხოლო წყარო, ანუ პასივისათვის ნიშნავს გადიდებას. საერთოდ, დებეტისა და კრედიტის მნიშვნელობა აქტივისა და პასივის მიმართ. დებეტი, ანუ აქტივის გადიდება და პასივის შემცირება. კრედიტი ანუ პასივის გადიდება და აქტივის შემცირება.

დღევანდლამდე არსებული საანგარიშო თეორიები დებეტობას და კრედიტობას ხსნიან მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რა გავლენას ახდენს სამეურნეო ოპერაცია აქტივისა და პასივის ნაშთებზე. ე.ი. დებეტი არის აქტივის გადიდება და პასივის შემცირება, ხოლო კრედიტი კი არის პასივის გადიდება და აქტივის შემცირება.

აღნიშნული თეორიების თანახმად, თვითეული სამეურნეო ოპერაციების შემდეგ ჩვენ უნდა მივხედოთ ნაშთებს; თუ აქტივის ნაშთი გაზრდილია, გვექნება დებეტი. თუ შემცირებულა, გვექნება კრედიტი. თუ პასივის ნაშთი გაზრდილა, გვექნება კრედიტი, ხოლო თუ პასივის ნაშთი შემცირებულა გვექნება დებეტი. გამოდის, თითქმის მთავარია ბუღალტერიისათვის ნაშთები და მისი ცვლილებები, და არა სამეურნეო საშუალებათა მოძრაობა, ბრუნვა.

მაგალითად, ვიყიდეთ მასალა და ფული გავეცით ბანკიდან. ამ ოპერაციის გასატარებლად უნდა ვადებეტოთ მასალების ანგარიში და ვაკრედიტოთ ბანკი ანგარიშსწორებით. რატომ.- მასალები ნარმოადგენს აქტივს, მასალებ

მოგვემატა. აქტივის გადიდება იწერება დებეტში. მა-
შასადამე მასალები უნდა ვადებეტოთ, გვიპასუხებენ ან-
სებული საანგარიშო ოპერაციების ავტორები. ბანკში ფული
შეგვიმცირდა; აქტივის შემცირება იწერება კრედიტში.
მაშასადამე ბანკის ანგარიში ანგარიშსწორებით უნდა
ვაკრედიტოთ. თითქო სწორია, რადგან ავიღოთ საქონლის

რეალიზაციის ოპერაცია. ვთქვათ გავყიდეთ საქონელი,
რომლის ღირებულება 10.000 მანეთი შეტანილია ბანკში
ჩვენს ანგარიშზე. გაყიდული საქონლის თვითღირებულება
შეადგენს 8.000 მანეთს.

როგორც ვიცით ეს ოპერაცია ტარდება ორი მუხლის
შედგენით. 1- მუხლი დებეტი -ბანკი ანგარიშსწორებით.
+ 10.000
კრედიტი -რეალიზაცია

ბანკის ანგარიშის დებეტში გატარება გასაგებია,
მაგრამ 10.000 მანეთით გაიზარდა ბანკში ჩვენი სა-
შუალება. ანგარიშსწორების ანგარიში მეურნეობისათ-
ვის აქტივია და მაშასადამე მისი გადიდებაც დე-
ბეტში ჩავსწერეთ: მაგრამ როგორ ავხსნათ რეალიზაციის
კრედიტში 10.000 მან. ჩაწერა. ზემოთაღნიშნული თეო-
რიის მიხედვით კრედიტში იწერება პასივის გადიდება
და აქტივის შემცირება. ამ შემთხვევაში, მოცემული
ოპერაციათარც აქტივი შემცირებულა და არც პასივი

გადიდებულა 10.000 მანეთით. მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც ჩავსწერეთ ის რეალიზაციის კრედიტში. მეორე მუხლით უნდა ჩამოწეროს გაყიდული საქონლის თვითღირებულება:

დებეტი - რეალიზაცია.

კრედიტი - მზანაწარმი - 8.000 მან.

მზანაწარმის კრედიტში ჩაწერა გასაგებია,რადგან მზანაწარმის გაცემით შემცირდება ჩვენი აქტივი; აქტივის შემცირება იწერება კრედიტში. მაგრამ როგორ ავხსნათ რეალიზაციის დებეტში 8.000 მან. ჩაწერა დებეტში სწერენ აქტივის გადიდებას და პასივის შემცირებას. მოცემული ოპერაციით არც აქტივი გადიდებულა და არც პასივი შემცირებულა 8.000 მან. მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც ვადებეტეთ რეალიზაციის ანგარიში 8.000 მანეთი.

გამოდის,რომ ზემოაღნიშნული თეორიით ჩვენ ვერ ვხსნით დებეტობას და კრედიტობას რეალიზაციის აღსარიცხავად.

როგორც ვთქვით ჩვენ აღნიშნულ გატარებებს საქონლის გაყიდვიდან მიღებულ თანხას ვწერთ ბანკის დებეტში და რეალიზაციის კრედიტში დებეტში ვწერთ იმიტომ, რომ გაყიდვიდან მიღებული თანხა მოთავსდა ბანკში /დებეტ-მოთავსება/, რეალიზაციის კრედიტში ვწერთ იმიტომ, რომ ბანკში მოთავსებული 10.000მანეთის წყარო ითვლება რეალიზაცია /კრედიტი -წყარო/. მეორე მუხლი

რეალიზაციის დებეტში ვსწერთ 8.000 მანეთს, იმიტომ, რომ მოვათავსეთ რეალიზაციაში 8.000 მანეთის მზანაწარმი, რომლის სამაგიეროთ მივიღეთ 10.000 მანეთი. მზანაწარმის კრედიტში ვსწერთ 8.000 მან. რადგან ჩვენ მიერ რეალიზაციაში მოთავსებული 8.000 მანეთის წყარო ითვლება მზანაწარმში. სამეურნეო საშუალებათა მოძრაობა იყო ასეთი: მზანაწარმი მიდის რეალიზაციაში 8.000 მ. ხოლო რეალიზაციიდან აღებულ 10.000 მანეთი მოთავსდა ბანკში.

გამოვდივართ რა სამეურნეო საშუალებათა მოძრაობის პროცესებიდან გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის პროცესებიდან, რეალიზაციის ოპერაციების ორმაგ აღრიცხვას ჩვენ ვხსნით სრულიად ბუნებრივად /მოთავსება დებეტში წყარო- კრედიტში/.

ძნელი ასახსნელია საბალანსო თეორიით აგრეთვე ხარჯების ორმაგი აღრიცხვა. მაგ. სავაჭრო მეურნეობაში გადასახდელია საერთო ადმინისტრაციული ხარჯი. მას ვატარებთ ჩვენ ხარჯების დებეტში. რატომ. -ხარჯების გადიდებით აქტივის გადიდებას ხომ არ აქვს ადგილი /დასახელებული თეორეტიკოსების შეხედულებით აქტივი არის ქონებრივი საშუალებები/; მაგრამ ისინი ამბობენ: ხარჯების გაწევით დაგროვება მცირდება. დაგროვება კი პასივს წარმოადგენს; მაშასადამე; ხარჯების გაწევის იმიტომ ვსწერთ დებეტში, რომ აქ ადგილი აქვს პასივის შემცირებასო. ესეც ნაძალადევი მსჯელობა არის მიმოქცევის ხარჯების გაწევა სრულიად დამოკიდებული მომენტია სა-

ვაჭრო საქმიანობაში საერთო დაწწოვებასთან დაპირის-პირებით,საიდგანაც მხოლოდ ამ დაპირისპირებებსშემდეგ ვღებულობთ წმინდა შედეგს.

როგორც ვხსნით ჩვენ ხარჯების ორმაგ აღრიცხვას. ხარჯების ანგარიშის დებეტში ვსწერთ ხარჯების გაწევას იმიტომ, რომ ხარჯების გაწევით ჩვენ ვათავსებთ სამეურ-ნეო საშუალებებს სამეურნეო საქმიანობაში /საერთო ადმინისტრაციული ხარჯების სახით/. ხარჯების გაწევა არის სამეურნეო საშუალებათა მოთავსება ვ თავისი წყარო, ან კასა, ან ბანკი ან სხვა. რასაც ჩვენ ვაკრე-დიტებთ /კრედიტი_წყარო/.

ავილოთ წარმოებაში საწარმოო საფინანსო გეგმის შესრულების აღრიცხვა. ვსთქვათ,მივიღეთ წარმოებიდან პროდუქცია საგეგმო ღირებულებით 20.000 მანეთის,რომ-ლის ფაქტიური თვითღირებულება შეადგენს 18.000 მანეთს ამ სამეურნეო ოპერაციის ჩვენ ვატარებთ ასე:

1- მუხლი: - დებეტი - მზანაწარმი
კრედიტი-საწარმოო საფინანსო გეგმის
შესრ. 20.000.

2. მუხლი. დებეტი- საწარმოო საფ.გეგმ.შესრ.
18.000 მ.
კრედიტი-წარმოება

როგორ შეიძლება აღნიშნული გატარების ახსნა არსებუ-ლი თეორიის საფუძველზე:

მზანაწარმის ანგარიში ვადებეტეთ 20.000 მანეთით, იმიტომ,რომ პროდუქციის გამოშვებით გაიზარდა აქტივი; მაგრამ რატომ ვაკრედიტოთ საწარმოო- საფინანსო გეგმის შესრულებ

შესრულება 20.000 მანეთი ანუ აქტივი შემცირებულა და ანუ პასივი გადიდებულა.

მეორე მუხლი წარმოების ანგარიში ვაკრედიტეთ იმიტომ, რომ პროდუქციის გამოშვებით შემცირდა აქტივის ერთი სახე დაუმთავრებელი წარმოების სახით. ეს გასაგებია. მაგრამ რატომ ვადებეტებთ საწარმო საფინანსო გეგმის შესრულების ანგარიშს 18.000 მანეთი. ამ თანხით ანუ აქტივი გაზრდილა და ანუ პასივი შემცირებულა.

როგორ ვხსნით ჩვენ აღნიშნულ გატარებებს. საწარმოო საფინანსო გეგმის შესრულების ანგარიშის კრედიტში ვსწერთ ჩვენ მიღებულ პროდუქციის საგეგმო ღირებულებით იმიტომ, რომ მიღებული პროდუქციის წყარო ითვლება საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულება. პროდუქცია მიღებულია საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შედეგად, მეორე მუხლით საწარმოო საფინსნსო გეგმის შესრულების ანგარიშის დებეტში ვსწერთ მიღებული პროდუქციის ფაქტიურ ღირებულებას, რადგან საწარმოო-საფინანსო გეგმის, შესრულებაში ფაბრიკამა მოათავსა 18.000 მან. ამ შემთხვევაში ხდება მხოლოდ მოთავსების გადმოტანა ერთი ანგარიშიდან მეორე ანგარიშში. წარმოებაზე ფაქტიური დანახარჯები გვაქვს აღრიცხული წარმოების ანგარიშში. უკანასკნელი გატარებით დანახარჯების, მოთავსების ჯამი გადმოგვავს, საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების ანგარიშში. ამგვარად საწარმოო საფინანსო გეგ-

მის შესრულებაში მოგვითავსებია 18.000 მან. /დებეტი/ მიგვიღია კი საგეგმო ღირებულებით 20.000 მანეთისა პროდუქცია /კრედიტი/ ანგარიში გვიჩვენებს 2.000 მან. ეკონომიას.

როგორც ვხედავთ დებეტობისა და კრედიტობის საბალანსო თეორია, რომელიც გაბატონებულად ითვლება საანგარიშო ლიტერატურაში, რომლითაც ხსნიან დებეტობასა და კრედიტობას უკანასკნელი საბჭოთა ავტორების, ვერ ხსნის მთელი რიგი სამეურნეო-ოპერაციების გატარებას, რის გამო ის ვერ უძლებს კრიტიკას.

ჩვენ კი გამოვდივართ რა გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის პროცესებიდან. კვალ და კვალ მივყვებით ამ პროცესებში მოძრავ საზოგადოებრივ საწარმოო ფონდების ელემენტებს. საწარმოო ფონდების ელემენტების მოძრაობაში ჩვენ ვნახულობთ. ერთს ყველა სამეურნეო ოპერაციისათვის დამახასიათებელ ნიშანს: თითოეულ სამეურნეო ოპერაციაში ჩვენ გვაქვს ახალ სახის მოთავსება, რომელსაც აქვს თავისი წყარო, მოთავსებას ჩვენ ვუწოდებთ დებეტს, ხოლო წყაროს ვუწოდებთ კრედიტს.

ასეთი მიდგომით ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ ყოველგვარი სამეურნეო ოპერაციის ორმაგი გატარება.

ვ. აქტივი და პასივი -სტატიკა
დებეტი და კრედიტი -დინამიკა.

ზემოთქმულიდან მტკიცეთ უნდა შევითვისოთ, რომ აქტივი და პასივი გამოხატავს სამეურნეო საშუალებათა მდგომარეობას განსაზღვრულ მომენტში,ანუ მოძრაობის განსაზღვრულ მომენტს.

დებეტი და კრედიტი გამოხატავს სამეურნეო საშუალებათა დინამიკას, მოძრაობას.

დებეტი და კრედიტი მოძრაობის პროცესს წარმოადგენს. დებეტი და კრედიტი არის საქმიანობა,ბრუნვა, მაგალითად,ვამბობთ: ფაბრიკას აქვს ძირითადი საშუალება 200.000 მანეთის. ეს არის აქტივი, რასაც უეჭველად პასივიც ახლავს,რაც გვიჩვენებს,თუ საიდან აქვს მიღებული ფაბრიკას აღნიშნული 200.000 მანეთი. თავის თავად რასაკვირველია აქტივი და პასივი დინამიკის შედეგია. ცხადია ფაბრიკაში ადგილი ქონებია სამეურნეო- საშუალებათა მოძრაობას,რომლის შედეგად ფაბრიკას გაუჩნდა 200.000 მანეთის ძირითადი საშუალებები, მაგრამ უკანაკნელ მომენტში მოძრაობა აღარ არის. ჩვენ გვაქვს, მოძრაობის შედეგი _აქტივი და პასივი.

ვამბობთ: მივიღეთ ბანკიდან ხელფასის დასარიგებლად 15.000 მანეთი. ეს არის დებეტი და კრედიტი; ეს არის მოძრაობა. ბრუნვა. მიღების შემდეგ ხანამ ხელფასს დავარიგებდეთ აღნიშნული თანხა გამოხატავს აქტივს და პასივს.

ჩვენ გვაქვს მასალები: ეს არის აქტივი და პა-
სივი. ჩვენ მივიღეთ მასალები ეს არის დებეტი და კრე-
დიტი.

ჩვენ გვართმევს ბანკის სესხი: ეს არის პასივი,
რომელსაც თავისი მოთავსება -აქტივი ექნება.

ჩვენ ვისესხეთ ბანკიდან ფული-, ეს არის დებეტი
და კრედიტი, ეს არის მოძრაობა.

ამგვარად ნაშთების ბალანსი გამოხატავს სტატი-
კურ მდგომარეობას, რომელიც თავის თავად დინამიკის
შედეგია; მოძრაობას ქონდა ადგილი, რომლის შედეგად
ჩ ვენ მივიღეთ განსაზღვრული მდგომარეობა ნაშთების
ბალანსის სახით.

ბრუნვის ბალანსი /დებეტი და კრედიტი/ გამო-
ხატავს დინამიკას მოძრაობას.

4. აქტივი და პასივი-სტრმატივები; დებეტი და კრედიტი-

სამეურნეო მეზმა.

თითოეულ სამეურნეო ერთეულს მიცემული აქვს სამეურ-
ნეო საშუალებათა განსაზღვრული ნორმა. მაგ. ქარხანას
განსაზღვრული აქვს რამდენი უნდა ქონდეს მას მასა-
ლის საშუალო მარაგი, რამდენს უნდა შეადგენდეს ფულა-
დი საშუალებების ნაშთი, მზანაწარმის საშუალო ნაშთი
და სხვა. აღნიშნული ნაშთების ჯამი წარმოადგენს მეურ-

ნეობის განკარგულებაში არსებულ სამეურნეო საშუალებებს

ამ ნაშთებიან შემდგება ბალანსი /ნაშთების/.

მაგ. ქარხანას მიცემული აქვს 1938 წლის 1 იანვრისათვის

ქტივი	ბალანსი 1938 წლის 1 იანვარი	პასივი	
ითადი საშუალებანი ...	1.000.000	საწესდ.ფონდი	1.370.000
ს ა ლ ე ბ ი	200. 000		
მთავრებელი წარმოება ...	50. 000		
ნაწარმი	70. 000		
ალი საშუალებანი	50. 000		
	1.370.000		1.370.000

მეურნეობას მოცემული აქვს შემდეგი კვარტალური გეგმა:

1. გამოუშვას პროდუქცია 2.000.000
2. შეიძინოს და გადაამუშაოს მასალები 1. 000.000
3. დახარჯის ხელფასი 700.000
4. დახარჯის ზედმეტი ხარჯები 120.000
5. დაარიცხოს და შექმნას საამორ-
   ტიზაციო ფონდი, რაც უნდა იქნას
   შეტანილი გრძელვადიანი კრედიტის
   ბანკში 80.000
6. გაყიდოს პროდუქცია და მიიღოს
   დაგროვება /რითაც უნდა გაიზარ-
   დოს ფულადი საშუალებები/......... 150.000

მაშასადამე პროდუქციის სარეალიზაციო ღირებულება

შეადგენს 2.150.000/

აღნიშნული ვეზის შესრულების შემდეგ ჩვენ მივიღებთ შემდეგი სახის ბრუნვის ბალანსს:

NN რიგ.	ანგარიშების დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.	მასალების ან-ში	1.100.000	1.100.000
2.	ნაწარმოების ან-ში	2.000.000	2.000.000
3.	მზანაწარმის "	2.000.000	2.000.000
4.	ფულადი საშუალებების ან-ში	2.150.000	2.000.000
5.	შენატანები ბანკში საამორტიზ. ფონდის	80.000	-
6.	საამორტიზაციო ფონდი	-	80..000
7.	დაგროვება რეალიზაციიდან	-	150.000
	ჯ ა მ ი	7.330.000	7.330.000

ჩვენ ვგულისხმობთ, რომ სამეურნეო ვეზმა შესრულებულია ზუსტად, რომ მიყენებული ნორმატივები არ დარღვეულა, რომ მეურნეობას კვარტალის ბოლოს საბრუნავ საშუალებათა იგივე ნაშთი აქვს, რაც კვარტალის დასაწყისში ქონდა იმ განსხვავებით, რომ კვარტალის განმავლობაში მიღებულია საამორტიზაციო ფონდი 80.000 მანეთი, რაც შეტანილია გრძელვადიან კრედიტის ბანკში და მიღებულია სოცდაგროვება 150.000 მანეთი, რაც ვეზის თანახმად აღიდებს ფულად საშუალებათა ნაშთი.

ფურცელს.

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	ბალანსი 1/1-თვის		ბრუნვა 1 კვარტ.		ბალანსი 1/6-თვის	
		აქტივი	პასივი	დებეტი	კრედიტი	აქტივი	პასივი
1	ძირითადი საშუალებანი	1000000	–	–	–	1000000	–
2	მ ა ს ა ლ ე ბ ი .	200000	–	1100000	1100000	200000	–
3	ნაწარმოება	50000	–	2000000	2000000	50000	–
4	მზანაწარმი . . .	70000	–	2000000	2000000	70000	–
5	ფულადი საშუალებანი	50000	–	2150000	200000	200000	–
6	შენატანები ბანკში საამორტიზ.ფონდ.	–	–	80000	–	80000	–
7	საწესდებო ფონდი .	–	1370000	–	–	–	1370000
8	საამორტიზ.ფონდი	–	–	–	80000	–	80000
9	რეალიზაცია . . .	–	–	2000000	2150000	–	150000
		137000	1370000	9330000	9330000	1600000	

ამ ბრუნვათა ფურცელში მოცემულია ნაშთების ბალან-
სი 1/1-თვის. შემდეგ ბრუნვის ბალანსი 1 კვარტალის
და ნაშთების ბალანსი 1/4_თვის.

ნაშთების ბალანსში როგორც დაწყებითი, ისე უკა-
ნასკნელი გამოხატავს სამეურნეო საშუალებათა ცალკე
სახეების ნაშთებს, რაც აქვს მიცემული მეურნეობას
ნორმატივების სახით.

ბრუნვის ბალანსი, ანუ დებეტი და კრედიტი გა-
მოხატავს გეგმის შესრულებას ძირითად საშუალებებში
აარვითარი ცვლილება არ იყო გათვალისწინებული გეგმით.
და არც ფაქტიურად მომხდარა ცვლილება.

მასალები უნდა გვეყიდა 1.100.000 მანეთის და
უნდა დაგვეხარჯა 1.100000 მანეთს. ეს არის აღნიშნული
მასალების ანგარიშის დებეტსა და კრედიტში.

ნარმოების ანგარიშში გვაქვს დებეტში 2000000
მანეთი, გეგმითაც გათვალისწინებული იყო 2000000 მა-
ნეთის დახარჯვა და ამდენივე პროდუქციის მიღება.

ამავე მზანანარმის ანგარიშში: მიგვიღია მზა-
ნანარმი 2000000 მანეთის, და გაგვიცია იმავე ღირე-
ბულების. გეგმითაც ასე იყო გათვალისწინებული.

ფულადი საშუალებანი უნდა მოგვცეთ 2150 მანეთი
გაგვეცა 2.000000 მანეთი. გეგმით ფულადი საშუალებათ

ნაშთი უნდა გაზრდილიყო 150000 მანეთით. ასეც მოხდა.

საამორტიზაციო ფონდი უნდა მიგვეღო 80.000 მან. და შეგვეტანა ბანკში შენატანების სახით. ამის შესრულებას ვხედავთ შენატანების დებეტში და საამორტიზაციო ფონდის კრედიტში.

რეალიზაციის ანგარიშის დებეტი გვიჩვენებს, რომ გაყიდულ პროდუქციის თვითღირებულებათა შეადგენს 2.000000 მანეთს, კრედიტი გვიჩვენებს, რომ პროდუქციის გაყიდვიდან მიგვიღია 2.150.000 მანეთი. გეგმითაც ისე იყო გათვალისწინებული. გეგმა შესრულებულია 100%. გეგმის შეუსრულებლობა გამოჩნდებოდა ცალკე ანგარიშებიდან.

ამგვარად, ნაშთების ბალანსი, აქტივი და პასივი, წარმოადგენს მეურნეობაზე გადაცემულ სამეურნეო საშუალებათა ნორმატივებს; ბრუნვის ბალანსი, დებეტი და კრედიტი წარმოადგენს სამეურნეო გეგმას. თუ გეგმა 100%-ით არის შესრულებული, ცალკე ანგარიშების დებეტსა და კრედიტში ჩანერილი თანხები ემთხვევა სამეურნეო გეგმას.

თუ სამეურნეო გეგმა არ არის შესრულებული, იმ შემთხვევაში ბრუნვის ბალანსის მუხლებსა და სამეურნეო გეგმის შორის მივიღებთ განსხვავებას.

5. საბალანსო მეთოდის პრაქტიკული გამოყენება საბუხჰალტრო აღრიცხვაში.

ზევით ჩვენ განვიხილეთ საბუხჰალტრო ბალანსის შინაარსი: ერთი მხრით ნაშთების ბალანსი აქტივითა და პასივით, _ხოლო მეორე მხრით ბრუნვის ბალანსი დებეტითა და კრედიტით._ სამეურნეო საშუალებათა მდგომარეობას განსაზღვრული მომენტისათვის ეწოდება ნაშთების ბალანსი; ხოლო სამეურნეო საშუალებათა მოძრაობა გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის პროცესების დროს გვაძლევს ბრუნვის ბალანსს.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ გამოიყენება საბუხჰალტრო აღრიცხვაში პრაქტიკულად საბალანსო მეთოდი და როგორ გამოსახულებას ღებულობს ის სამეურნეო ოპერაციების ქაღალდზე ასახვის დროს.

როდესაც მეურნეობას ვიწყებთ, ჩვენ გვაქვს ნაშთების ბალანსი, რომელიც გამოხატავს სამეურნეო საშუალებათა მდგომარეობას მეურნეობის დაწყების დროისათვის, ვთქვათ მეურნეობა იწყებს მუშაობას 1938 წლის 1 იანვრისათვის. ჩვენ გვაქვს 1 იანვრის ბალანსი. მეურნეობა აწარმოებს სამეურნეო ოპერაციებს ჩვენ უნდა ავსახოთ სამეურნეო ოპერაციები და მისგან გამომდინარე საწარმოო ფონდების მოძრაობა

იმის აღვნიშვნით, თუ თვითეული მოძრაობის დროს
რაში თავსდება სამეურნეო ფონდი და საიდან.
მოთავსებასა და წყაროს ჩვენ აღვნიშნავთ რიგ-
რიგობით და თანამიმდევრობით მე- გვერდზე.
ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის წარმოად-
გენს შემდეგ სურათს:

აქტივი	ბალანსი	პასივი	
მასალები	15000	საწესდებო ფ.	20.000
მზანაწარმი	8800	სესხი ბანკიდან	6.000
კასა	900	კრედიტორები	4.900
ბანკი ანგარიშ სწორებით	7000		
	30.900		30.900

ეს ბალანსი ჩვენ გვიჩვენებს, რომ 1938 წლის
1 იანვრისათვის.მეურნეობას ქონებია სამეურნეო სა-
შუალება სულ 30.900 მანეთის. აღნიშნული თანხიდან
მეურნეობაზე ხანგრძლივად მიმაგრებული საშუალება
შეადგენს 20.000 მანეთს /საწესდებო ფონდი/, ხოლო
დროებით გადაცემული საშუალება შეადგენს 10.900 მა-
ნეთს, მათ შორის სესხი ბანკიდან 6.000 მანეთს და
კრედიტორებისაგან მიღებული 4.900 მანეთს.

მოთავსებულია სამეურნეო საშუალება მასალებში
15.000 მანეთი, მზანაწარმი 8.000 მანეთი,კასაში
900 მანეთი, ხოლო ბანკში ანგარიშსწორების ანგა-
რიშზე 7.000 მანეთი.

მეურნეობაში ადგილი ქონდა შემდეგ სამეურნეო ოპერაციებს:

1. 3 იანვარი - ნაყიდია მასალა და გაცემუ-ლია ბანკიდან 2.000 მან.

ამ სამეურნეო ოპერაციაში პოულობს თავის გამო-ხატულებას სამეურნეო გეგმის ორი მხარე: ერთი მხრით სამეურნეო ოპერაცია ეხება სამეურნეო გეგმას მასალების მიმაგრების მხრივ, სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია მასალების მიმაგრება, მასალების ყიდვა, მოცემულ სამეურნეო ოპერაციით ნაწილობრივად შესრულდა სამეურნეო გეგმის აღნიშნული მხარე, მეორე მხრით მოცემული სამეურნეო ოპერაცია ეხება საფინანსო გეგმას. საფინანსო გეგმით გათვალისწინებულია, რომ მეურნეობამ უნდა გასცეს მასალის შესაძენად განსაზღვრული თანხა. მოცემული სამეურნეო ოპერაციით ნაწილობრივად შესრულდა საფინანსო გეგმის აღნიშნული მხარე.

მოცემულ სამეურნეო ოპერაციაში ადგილი აქვს სამეურნეო ფონდის მოძრაობას, სასეურნეო საშუალება, რომელიც გვქონდა მოთავსებული ბანკში, მოცემული. ოპერაციით მოთავსდა მასალაში. მასალაში მოთავსებუ-ლი სამეურნეო საშუალებათა წყარო ითვლება ბანკი

დებეტი - მასალა
კრედიტი - ბანკი ანგარიშსწორე-ბით 2000 მან.

2/ 5 იანვარი, გადაეცა წარმოებას

მასალა 1.500 მან.

მასალა წარმოადგენს ფაბრიკის სამეურნეო საშუალებათა მოთავსებას. მასალა ინახება საწყობში, მასალების დამუშავება ხდება ცეხში, მოცემული სამეურნეო ოპერაციის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ საწყობიდან მასალა გადაეცა მუშებს ცეხში დასამუშავებლად. 1500 მან., რომელიც მოცემულ სამეურნეო ოპერაციამდე მოთავსებული იყო საწყობში, სამეურნეო ოპერაციის შემდეგ მოთავსებულია წარმოებაში. ამგვარად ჩვენ მივიღეთ ახალი სახის მოთავსება - წარმოება, რომლის წყაროთ ითვლება მასალა.

დებეტი- წარმოება

კრედიტი - მასალა 1500 მან.

3/ 7 იანვარი - მიღებულია ბანკიდან კასაში ხელფასის დასარიგებლად 3.500 მანეთი.

მიცემულ სამეურნეო ოპერაციამდე, სამეურნეო საშუალება 3.500 მანეთი მეურნეობას ქონდა მოთავსებული ბანკში. ოპერაციის შემდეგ აღნიშნული 3500 მანეთი მოთავსებულია კასაში. ამგვარად ერთი სახის მოთავსება შეიცვალა მეორე სახის მოთავსებად. ახალი სახის მოთავსების წყაროთ ითვლება ბანკი.

დებეტი - კასა

კრედიტი - ბანკი ანგარიშსწორებით 3500 მ.

4/ 9 იანვარი, მიეცა წარმოების მუშებს ხელფასი კასიდან 3500 მან.

ამ ოპერაციით ჩვენ მოვათავსეთ წარმოებაში. წარმოებაში მოთავსებულ სამეურნეო საშუალებათა წყარო ითვლება კასა.

დებეტი - წარმოება

კრედიტი - კასა - 3500 მან. 1/.

1/ სიმარტივის გულისათვის ვატარებთ ასე; პრაქტიკულად სხვაგვარად ატარებენ.

5/ 13 იანვარი. მიღებულია წარმოებიდან მზანაწარმი 4000 მან.

წინა სამეურნეო ოპერაციებით ჩვენ გადავეცით წარმოებას მასალა და გავეცით წარმოების მუშებზე ხელფასი. გადაცემული მასალა და გაცემული ხელფასი წარმოადგენს წარმოების დანახარჯებს. ეს არის სამეურნეო საშუალებათა მოთავსება წარმოებაში. მოცემული მეხუთე ოპერაციით დანახარჯების სამაგიეროდ წარმოებიდან მივიღეთ მზანაწარმი, წარმოების დანახარჯები ჰპოვებს თავის გამოხატულებას მზანაწარმში. აღნიშნული ოპერაციით მეორდება საწარმოო გეგმის განსაზღვრული მხარეები. გეგმით გათვალისწინებულია მასალების დახარჯვა, ხელფასის გადახდა და პროდუქციის მიღება.

მოცემული სამეურნეო-ოპერაციით ჩვენ მივიღეთ ახალი მოთავსება მზანაწარმის სახით, რომლის წყარო იქნება წარმოება.

დებეტი - მზანაწარმი

კრედიტი - წარმოება 4.000 მან.

6/ 17 იანვარი. გაყიდულია მზანაწარმი და შემოსილია ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე 3200 მანეთი; მზანაწარმის თვითღირებულება შეადგენს 2800 მანეთს.

ამ ოპერაციით მეურნეობას მოთავსებული აქვს ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე 3.200 მან. აღნიშნული სამეურნეო საშუალების წყარო იქნება, ერთი მხრით, მზანაწარმი, რომელიც გავიდა მეურნეობიდან და რომლის ღირებულება უდრის 2.800 მანეთს; მეორე მხრივ კი, მეურნეობაში ახლად შემოსული სამეურნეო საშუალებათა წყარო იქნება დაგროვება. ერთი მხრით, მაშასადამე,

ამავე დროს გვმართებს ბანკის სესხი, რომლის ვადა, ვსთქვათ, არის დღეს. ბანკი ჩვენი სამეურნეო საშუალებით დაფარავს ჩვენისავე სესხს.

რა მოხდა ჩვენთან მეურნეობაში? - როგორც ვსთქვით მოცემულ ოპერაციამდე ჩვენ გვქონდა სამეურნეო საშუალება ბანკში. მოცემული ოპერაციით სამეურნეო საშუალება ანგარიშსწორების ანგარიშიდან მიდის სესხში, თავსდება სე სში, რითაც სესხი დაიფარა.

დებეტი - სესხი

კრედიტი-ბანკი ანგარიშსწორებით 3000მან.

9/ 27 იანვარი. აღებულია ბანკში სესხი და ჩარიცხულია ანგარიშსწორების ანგარიშში 8.000 მან.

ამ ოპერაციით მეურნეობის განკარგულებაში ახალი სამეურნეო საშუალება შემოვიდა, ის მოთავსებულია ბანკში, ხოლო მის წყაროთ ითვლება სესხი.

დებეტი - ბანკი ანგარიშსწორებით

კრედიტი- სესხი 8.000 მან.

10/ 28 იანვარი. წარმოებიდან მიღებულია უკანვე საწყობში მასალა 500 მანეთის.

წარმოებაში გადაცემული მასალის ღირებულება წარმოადგენს წარმოებაში მოთავსებას. მოცემული ოპერაციით ჩვენ უკანვე მივიღეთ საწყობში მასალა წარმოებიდან. მაშასადამე, სამეურნეო საშუალება 500 მანეთის რაოდენობით, რომელიც იყო მოთავსებული წარმოებაში, ამ ოპერაციის შემდეგ მოთავსებულია საწყობში .საწყობში მოთავსებული სამეურნეო საშუალებათა წყაროთ მოცემულ

სამეურნეო ოპერაციაში ითვლება წარმოება.

დებეტი -მასალა

კრედიტი -წარმოება 500 მან.

<u>მოთავსება-აქტივი</u>		<u>წყარო - პასივი</u>	
მასალები	15.000 მან.	საწესდებო ფონდი	20.000 მან.
მზანაწარმი	8.000 მ.	სესხი	6.000 "
კასა	900 "	კრედიტორები	4.900 "
ბანკი ანგარიშსწორება	7000		
	30.900		30.900

<u>მოთავსება-დებეტი</u>		<u>წყარო- კრედიტი.</u>	
მასალა	- 2000 მ.	ბანკი ანგარიშსწ.	2000 მ.
წარმოება	1500 "	მასალა	1500 "
კასა	3500 "	ბანკი ანგარიშსწ.	3500 "
წარმოება	3500 "	კასა	3500 "
მზა-ნაწარმი	5000 "	წარმოება	5000 "
ბანკი ანგარიშსწ.	3200 "	მზანაწარმი	2800 "
		დაგროვება	400 "
კრედიტორები	1400 "	ბანკი ანგარიშსწ.	1400 "
სესხი	3000	ბანკი ანგარიშსწ.	3000 "
ბანკი ანგარიშსწ.	8000	სესხი	8000 "
მასალა	500 "	წარმოება	500 "

აღნიშნულ ოპერაციებს ქონდა ადგილი მეურნეობაში. ჩვენ დავამუშავეთ სამეურნეო ოპერაციები, თვითეულ მათგანს მივეცით ორმხრივი გამოხატულება მოთავსებისა და წყაროს აღნიშვნით. ჯერ ჩავწერეთ ნაშთები დაწყებითი ბალანსით, აქტივი და პასივი; შემდეგ ბრუნვა - დებეტი და კრედიტი. მარცხენა მხარე გამოხატავს მოთავსებას, ხოლო მარჯვენა კი გამოხატავს წყაროს.

როდესაც მარცხენა მხარეზე ვხედავთ აქტივის მუხლებს, ეს გამოხატავს აქტივის გადიდებას; მაგ. მასალა, წარმოება, ანგარიშსწორება კასა და სხ. მაგრამ, როდესაც მარცხენა მხარეზე ვხედავთ პასივის მუხლებს, ეს გამოხატავს პასივის შემცირებას; მაგალითად სესხი, კრედიტორები. ეს ნიშნავს, რომ სესხი გაგვისტუმრებია, უკანვე დაგვებრუნებია ბანკისათვის, ან გაგვისტუმრებია კრედიტორები.

როდესაც მარჯვენა მხარეზე ვხედავთ პასივის მუხლებს, ეს გამოხატავს პასივის გადიდებას, მაგ. სესხი, მაგრამ, როდესაც მარჯვენა მხარეზე ვხედავთ აქტივის მუხლებს, ეს გამოხატავს აქტივის შემცირებას მაგ. მასალა, ბანკი ანგარიშსწორებით და სხვ.

სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს განსაზღვრული პერიოდისათვის ნაღდი ფულის შემოსავალსა და გასავალს, მასალის მიღებასა და გაცემას; სესხის აღებას და მის დაფარვას და სხ.

ჩვენ რომ სამეურნეო ოპერაციები ისე ვწეროთ, როგორც ზევით /გვ.51/ არის აღნიშნული, გეგმის ამა თუ იმ მუხლის შესრულების გამოსარკვევად უნდა ამოვკრიფოთ ცნობები ჩანაწერებიდან; მაგალ. თუ გვინდა გავიგოთ კასის შემოსავალი, უნდა ამოვკრიფოთ კასა მარცხენა მხრიდან, გასავლის გასაგებად კი უნდა ამოვკრიფოთ კასა მარჯვენა იხრიდან. ასევე თითოეული მუხლის შესახებ; მაგრამ ეს ამოკრეფა უხერხულობას წარმოადგენს.

ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად უნდა მივმართოთ შემდეგ ხერხს: დაწყებითი ბალანსში ჩვენ გვაქვს მოცემული სამეურნეო საშუალებათა მოთავსების განსაზღვრული სახეები და ამავე საშუალებათა წყაროების განსაზღვრული სახეები. ჩვენს მაგალითში /გვ. 93/ მოთავსების სახეები გვაქვს მასალა, კასა, ბანკი ანგარიშსწორებით და წყაროების სახეები. გვაქვს საწესდებო ფონდი, სე ხი, კრედიტორები.

მეურნეობის სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია სამეურნეო საქმიანობა. სამეურნეო საქმიანობის პროცესში საშუალებათა მოთავსების სხვა სახეებიც გვექნება.ასე მაგალითად. ჩვენ ვიმყოფებით ფაბრიკაში. ან ქარხანაში /მანქანები,მასალა /მუშაობის დროს აუცილებლად დანახარჯები ექნება ადგილი, მაშასადამე გვექნება საშუალებათა მოთავსება წარმოებაში.

ასევე შეიძლება მუშაობის პროცესში გაგვიჩნდეს სამეურნეო საშუალებათა ახალი წყაროები. ახალი სახის მოთავსებები და ახალი სახის წყაროები გამომდინარეობს გეგმიდან. სამეურნეო ოპერაციებში, რომლებიც მე- 94 გვერდზეა ახსნილი, ჩვენ მივიღეთ ახალი სახის მოთავსება-წარმოება, რაც არ იყო გათვალისწინებული დაწყებითი ბალანსით /იმავე ოპერაციების დროს ჩვენ მივიღეთ ახალი სახის წყარო სოც-დაგროვება/.

6. <u>ანგარიშების გახსნა.</u>

რათა ჩვენ ყოველთვის გვქონდეს ცნობები იმის შესახებ, თუ რაში მოვათავსეთ სამეურნეო საშუალებები განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და რომელი წყაროებიდან, რომ ამ ცნობების ამოკრეფა კი არ გვიხდებოდეს, როგორც ეს მე-99 გვერდზე გავაკეთეთ, არამედ ის მოცემული იყოს მზად, საჭირო არის სამეურნეო საშუალებათა მოთავსებისა და წყაროების თვითეულ სახეს, რაც ან გვაქვს თავიდან /დაწყებითი ბალანსით/ და ან გვექნება სამეურნეო გეგმის შესრულების პროცესში, მივუჩინოთ ცალკე ადგილი, ანუ გავხსნათ ცალკე ანგარიში. ანგარიში შეიძლება გავხსნათ ან ქაღალდზე, ან ბარათზე, ან დავთარში.

ამგვარად შეიძლება გავხსნათ კასის ანგარიში, საშუალების ანგარიში, მანქანების ანგარიში, სესხის ანგარიში და სხ. კასის ანგარიში იხსნება ნაღდი ფულის მიღება - გაცემის ოპერაციების აღსარიცხავად; კასის ანგარიშში ჩაიწერება ფულის მიღება

და ფულის გაცემა, ანუ როდესაც კასა იქცევა სამეურნეო საშუალებათა ახალი მოთავსების წყაროთ.

მასალების ანგარიში იხსნება მასალების მიღება-გაცემის ოპერაციების აღსარიცხავად და ა.შ:

თვითეულ ანგარიშში ჩვენ ჩავწერთ სამეურნეო ოპერაციებს, რომელიც ეხება სამეურნეო საშუალებათა მოთავსებისა და წყაროების მოცემულ სახეებს.

აქტივისა და პასივის თვითეული სახე გეგმის შესრულების პროცესში შეიძლება მოგვევლინოს როგორც საშუალებათა მოთავსებად, ისე საშუალებათა წყაროთ. მე-99 გვერდზე ჩვენ დავინახეთ, რომ აქტივის მუხლები იქცა სამეურნეო საშუალებათა მოთავსების წყაროთ, მაგ. მასალა, ბანკი ანგარიშსწორებით, კასა და სხვა. პასივის მუხლები კი იქცა სამეურნეო საშუალებათა მოთავსებად. მაგალითად სესხი, კრედიტორები.

მაშასადამე, თვითეულ ანგარიშში ჩვენ უნდა გვქონდეს გამოყოფილი ცალკე სადებეტო ჩანაწერი /სამეურნეო საშუალებათა მოთავსება/ და საკრედიტო ჩანაწერი სამეურნეო საშუალებათა წყარო/ ამის მიხედვით ანგარიშს შეიძლება ქონდეს ორგვერდიანი ფორმა. რომელზედაც დებეტსა და კრედიტს ექნება დათმობილი ცალკეული გვერდი: დებეტს -მარცხენა გვერდი, ხოლო კრედიტს- მარჯვენა გვერდი /იხილეთ გვ.104/.ანგარიშს შეიძლება ქონდეს ცალგვერდოვანი ფურცლის ფორმა, მაგრამ ამ შემთხვევაში დებეტსა და კრედიტს ექნება დათმობილი ცალკეული სვეტი /იხ. აქვე /

კასის ან-ში.

არიღი ვე იცხვი.	N	ოპერაციის შინაარსი.	თ ა ნ ხ ა.	
			დებეტი.	კრედიტი.

მასალის ან-ში.

დებეტი. კრედიტი.

არიღი, თვე რიცხვი.	NN	ოპერაციის შინაარსი.	თანხა	თარიღი, თვე რიცხვი.	NN	ოპერა-ციის ხარისხი.	თანხა.

როდესაც საბუხჰალტრო აღრიცხვა დავთრებში წარმოებდა, უმეტეს ნაწილად ცალკე გვერდები ეთმობოდა სადებეტო და საკრედიტო ცვლილებების ჩასაწერად; დავთრის მარცხენა გვერდი-დებეტს, ხოლო დავთრის მარჯვენა გვერდი - კრედიტს. როდესაც დავთრები გამოვიდა ხმარებიდან და მისი ადგილი ბარათებმა დაიკავა, აქ უმთავრესად მიღებულია სამეურნეო ოპერაციების ჩაწერა მიყოლებით, ხოლო სადებეტო და საკრედიტო თანხების ჩასაწერად გვაქვს ორი სვეტი.

როგორც ვხედავთ სამეურნეო ოპერაციების ფიქსაცია ანგარიშებში წარმოებს თარიღის /თვე, რიცხვი, ნომრისა, ოპერაციის შინაარსისა და თანხის აღნიშვნით.

როდესაც დაწყებითი ბალანსი გვაქვს, საბუხჰალტრო აღრიცხვის მოსაწიდებლად საჭიროა წინასწარ გამოარკვიოთ, თუ რა ანგარიშების გახსნა არის საჭირო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული სამეურნეო ოპერაციების აღსარიცხავად. ანგარიშების სიის, ანუ ანგარიშების ნომენკლატურის შესადგენად, ამასადამე დაწვრილებით გავეცნოთ სამეურნეო გეგმას. ჩვენ მიერ მე 93 გვერდზე მოცემული სამეურნეო ოპერაციების აღსარიცხავად უნდა გაიხსნას შემდეგი ანგარიშები:

ანგარიშების ნომენკლატურა:

1. მასალების ან-ში
2. მზანაწარმის -"-
3. კასის -"-
4. ბანკის ან-ში ანგარიშსწორებით

5. წარმოების ანგარიში

6. საწესდებო ფონდის "

7. სესხის "

8. კრედიტორების "

9. სოციალისტურ დაგროვების ან-ში.

გავხსნათ აღნიშნული ანგარიშები და გავატაროთ 93-96 გვერდებზე მოცემული სამეურნეო ოპერაციები.

ს სამეურნეო ოპერაციის შინაარსის მაგიერ ანგარიშებში აღვნიშნოთ მოკორესპონდენტო ანგარიში ე.ი. როდესაც ვწერთ დებეტში, აღვნიშნოთ საკრედიტებელი ანგარიში, ხოლო, როდესაც კრედიტში ვწერთ, აღვნიშნოთ სადებეტებელი ანგარიში.

სამეურნეო ოპერაციების ჩაწერამდის ,ანგარიშებში ჩავწეროთ ბალანსის ნაშთები; აქტივის

ნარმოების ანგ–ში № 5

დ ე ბ ე ტ ი				კ რ ე დ ი ტ ი			
თარიღი	№№	მოკორრესპონდენტო ან–ში	თანხა	თარიღი	№№	მოკორესპონდენტო ან–ში	თანხა
5.1	2	მასალის ანგარი–შით.............	1500	13.1	5	მზანაწარმის ანგარიშით	4.000
9.1	4	კასის ან–შით.	3500	28.1	10	მასალების ანგარიშით	500

მზა-ნაწარმის ან-ში № 3

დ ე ბ ე ტ ი | კ რ ე დ ი ტ ი.

თარიღი	№№	მოკორესპონდენტო ან/ში	თანხა		თარიღი	№	მოსორესპონდენტო ან/ში	თანხა	
1.1		ნაშთი	8000						
13.1	5	ნარმოების ანგა-რიშით			17.1	6	ბანკი ანგარიშ სწორებით	2.800	

კასის ან–ში № 3

დებეტი | კრედიტი

თარიღი	№	მოკორესპონდენტო ან–ში	თანხა		თარიღი	№	მოკორესპონდენტო ან–ში	თანხა	
1.1		ნაშთი დაწყებითი ბალანსით	900		9.1	4	წარმოება ანგარიშით	3.500	
7.1		ბანკი ანგარიშ-სწორებით.......	3500						

ბანკი ანგარიშსწორებით №- 4

დებეტი | კრედიტი

თარიღი	№	მოკორესპონდენტ ან - ში	თანხა	თარიღი	№	მოკორესპონდენტ ან - ში	თანხა
1.1		ნაშთი დაწყებ. ბალანსი	7.000	3.1	1	მასალების ან-ში	2.000
17.1	6	მზა ნაწარმის ან-ით	2.800	7.1	3	კასის ანგა-რიშით	3.50
	"	დაგროვების ან-ით	400	21.1	7	კრედიტორების ან-ით	1.40
	9	სესხის ან-ით	8.000	25.1	8	სესხის ან-ით	3.00

საწესდებო ფონდის ან-ში № 6

დებეტი — კრედიტი

თარიღი.	№	მოკორესპონდენტო ან/ში.	თანხა.	თარიღი.	№	მოკორესპონდენტო ან-ში	თანხა.
				1.1		ნაშთი დაწყებითი ბალანსით.	30900

სესხის ან-ში № 7

დებეტი. — კრედიტი.

თარიღი.	№	მოკორესპონდენტო ან-ში.	თანხა	თარიღი.	№	მოკორესპონდენტო ანში.	თანხა
25.1	8	ბანკი ანგარიშსწორებით.	3.000	1.1		ნაშთი დაწყებითი ბალანსით	6000
				27.1	9	ბანკში ანგარიშსწორებ.	

კრედიტორების ან-ში N 8

დებეტი. კრედიტი.

თარიღი.	N	მოკორესპონდენტო ან-ში.	თანხა	თარიღი.	N	მოკორესპონდენტო ანში.	თანხა.
21.1	7	ბანკი ანგარიშსწორებით.	1400	1.1		ნაშთი დაწყებითი ბალანსით.	4.900

დაგროვების ან-ში N 9.

დებეტი. კრედიტი.

თარიღი.	N	მოკორესპონდენტო ანში	თანხა	თარიღი.	N	მოკორესპონდენტო ან-ში.	თანხა.
				17.1	6	ბანკი ანგარიშსწორებით.	400

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ყოველგვარი სამეურნეო ოპერაცია მოითხოვს ორმაგ ჩანაწერს ანგარიშებში; სამეურნეო ოპერაციის თანხა უნდა აღინიშნოს ერთზე და იმავე დროს დებეტშიაც და კრედიტშიაც. ამას უწოდებენ ორმაგი ჩაწერის ხერხს.

ორმაგი ჩაწერის ხერხი სამეურნეო საშუალებათა ორმხრივი გამოსახულებისაგან გამომდინარეობს, როგორც ბალანსში სამეურნეო საშუალებები ორმხრივი განაკვეთით არის მოცემული; ერთი მხრივ, საშუალებათა მოთავსება, ხოლო, მეორე მხრით, საშუალებათა წყაროები; ასევე ორმხრივი განაკვეთით უნდა წარმოვიდგინოთ თითოეული სამეურნეო ოპერაცია: ერთი მხრით, ოპერაცია გამოხატავს საშუალებათა მოთავსებას, ხოლო მეორე მხრით, საშუალებათა წყაროს. მეურნეობაში საშუალებები მოძრაობს. სამეურნეო საშუალება თითოეულ ოპერაციის დროს სადმე თავსდება და თითოეულ შემთხვევაში მას განსაზღვრული წყარო აქვს, როდესაც ტრესტი ქარხანას ხსნის და საშუალებას გადასცემს მას ნაღდი ფულის სახით, საშუალებები ბანკში მოთავსებული და მის წყაროს წარმოადგენს ტრესტის მიერ ქარხანაზე ხანგრძლივად მიმაგრებული თანხა. როდესაც მასალას ვყიდულობთ ბანკიდან ფულის გაცემით, ჩვენ საქმე გვაქვს ახალ მოთავსებასთან; ის, რაც აქამდის ბანკში იყო მოთავსებული, ამის შემდეგ მასალაში მოთავსებული. ახალი მოთავსების წყაროს კი წარმოადგენს ბანკი. როდესაც ბანკში სესხი ავიღეთ და იქვე აღ ჩავრიცხეთ ანგარიშსწორების ანგარიშში, ამ შემთხვევაში

ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ ოპერაცია ორმხრივი განაკვეთით: სამეურნეო საშუალება თავსდება ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე, ხოლო მის წყაროს კი წარმოადგენს ბანკში აღებული სესხი.

როდესაც ბანკიდან მივიღეთ სესხი და კრედიტორს გადავუხადეთ, აქაც ადგილი აქვს საშუალებათა მოძრაობას ბანკიდან რომ სესხი ავიღეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკმა ჩვენ გადმოგვცა განსაზღვრული სამეურნეო საშუალება; ბანკი სესხის სახით წარმოადგენს საშუალებათა წყაროს; მეორე მხრივ, იგივე საშუალება მიეცა კრედიტორს საშუალებამ კრედიტორთან ჰპოვა მოთავსება.

ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ ანგარიშის გახსნის დროს, აქტივის ნაშთი ჩაიწერა დებეტში, ხოლო პასივის ნაშთი ჩაიწერა კრედიტში. სამეურნეო ოპერაციები გამოხატავს საშუალებათა მოძრაობას: მოთავსებასა და წყაროს სამეურნეო ოპერაციით გამოწვეული საშუალებათა მოთავსება უნდა ჩაიწეროს დებეტში, ხოლო საშუალებათა წყარო უნდა ჩაიწეროს კრედიტში.

რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ორმაგი ჩაწერის ხერხს. - მას აქვს შემდეგი პრაქტიკული მნიშვნელობა: ვიცით რა, რომ ყოველგვარი სამეურნეო ოპერაცია ორმაგად უნდა ჩაიწეროს, ე.ი. ერთი და იგივე თანხა დებეტშიაც და კრედიტშიაც, თვითეული ოპერაციის ჩაწერის დროს ჩვენ ვამოწმებთ ჩანაწერს არის თუ არა დაცული ორმაგობა, ე.ი. ჩაწერილია ერთი და იგივე თანხა დებეტშიაც და კრედიტშიაც, თუ არა. ამ შემოწმებას

დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით რთული სამეურნეო ოპერაციის გატარების დროს, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივის /მოთავსების/ რამდენიმე მუხლს, მაგალითად, ვიღებთ მასალა 5.000 მან. ამ თანხიდან 1.000 მანეთი გაიცა კასიდან, ხოლო 4.000 მანეთი გაიცა ანგარიშსწორების ანგარიშიდან; დებეტი იქნება მასალა მთელი თანხით, კრედიტი კი კასა 1.000 მანეთით, ანგარიშსწორების ანგარიში" -4.000 მანეთით. ან კიდევ ოპერაცია ეხება აქტივსაც და პასივსაც. მოთავსების ერთი სახე და წყაროს რამდენიმე სახე; წყაროს ერთი სახე, ხოლო მოთავსების რამდენიმე სახე. პირველის მაგალითი: ბანკში ჩვენი ანგარიშსწორების ანგარიშში ჩარიცხულია ბანკიდან აღებული მოკლევადიანი სესხი 1.500 მან. ხოლო გრძელვადიანი სესხი 4.000 მანეთი. დებეტი ანგარიშსწორების ანგარიში /მოთავსება-5.500 მანეთი, კრედიტი- მოკლევადიანი სესხი /ერთი სახის წყარო/ 1.500 მან. ხოლო გრძელვადიანი სესხი /მეორე სახის წყარო/ 4.000 მან.

მეორე მაგალითი. ავიღეთ ბანკში სესხი 3.000მან. ამ თანხიდან 500 მანეთი მივიღეთ კასაში, ხოლო 2.500 მან. ჩავრიცხეთ ანგარიშსწორების ანგარიშში; კრედიტი - სესხის ანგარიში / წყარო/ მთელი თანხა 5.000 მან. დებეტი - სალარო /ერთი სახის მოთავსება/- 500 მან. ხოლო ანგარიშსწორების ანგარიში /მეორე სახის მოთავსება/ 2.500 მან.

ასეთი რთული სამეურნეო – ოპერაციების გატარების დროს ორმაგი ჩაწერის მეთოდს აქვს საკონტროლო მნიშვნელობა. ჩვენ თითოეულ შემთხვევაში უნდა შევამოწმოთ ჩაწერილია თუ არა ოპერაციის თანხა დებეტში და კრედიტში.

ორმაგი ჩაწერის წესის საკონტროლო მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, როდესაც ჩვენ პერიოდულად ვახდენთ ჩანაწერების შემოწმებას, ყოველ დღიურად, ყოველთვიურად, კვარტალურად და წლიურად. თუ ყოველგვარი სამეურნეო ოპერაცია აღინიშნება დებეტში და კრედიტში, მაშასადამე, ყოველთვის, როდესაც ვიანგარიშებთ, ყველა ანგარიშის დებეტის ჯამი უნდა უდრიდეს ყველა ანგარიშის კრედიტის ჯამს. თუ ეს ორი ჯამი ერთმანეთს არ უდრის, ეს იმის ნიშანია, რომ ორმაგი ჩაწერის წესი არ არის დაცული.

უკანასკნელ დროს საანგარიშო რეგისტრაციის ტექნიკის განვითარების გამო "ორმაგ ჩაწერას" სხვადასხვა ადგილზე ჩაწერის მნიშვნელობით ხშირად არ მიმართავენ, შემოღებულია ჩაწერის ეგრეთ წოდებული ჭადრაკული ფორმა, რასაც ჩვენ დაწვრილებით მეორე ნაწილში გავეცნობით და რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთხელ, ერთ უჯრაში, ერთი ხელის მოსმით ჩაწერილი თანხა გამოხატავს ერთი ანგარიშის დებეტს და მეორე ანგარიშის კრედიტს. ამ შემთხვევაში თვით ორ ადგილზე ჩაწერა არ ხდება, მაგრამ გამოთქმა "ორმაგი ჩაწერის მეთოდი" იმ მნიშვნელობით შეგვიძლია ვიხმაროთ, რომ ერთსა და იმავე დროს ხდება ორი სხვადასხვა ანგარიშის დებეტობა და კრედიტობა.

თვითეული ანგარიში /გამოხატავს სამ მომენტს: რა მდგომარეობაში იყო ესა თუ ის მოთავსება, ანუ წყარო თავიდან / საოპერაციო პერიოდის დასაწყისში: წლის, კვარტალის, თვის, ან დღის/; რა ცვლილებები მოხდა მასში საოპერაციო პერიოდის განმავლობაში და რა მდგომარეობაში არის ის უკანასკნელ დროს, მაგალითად:

ჩვენ-გავატარეთ ანგარიშებში ათი სამეურნეო ოპერაცია. თითოეულ სამეურნეო ოპერაციის თანხას ვწერთ დებეტში და კრედიტში.

რას გვიჩვენებს მასალების ანგარიში? ის გვიჩვენებს თუ რა ღირებულების მასალა იყო მეურნეობის განკარგულებაში 1 იანვრისათვის, ანუ სხვანაირად, რამდენი ქონდა მეურნეობას მოთავსებული მასალებში 1 იანვრისათვის. რამდენი მოათავსა მეურნეობამ მასალებში იანვრის თვის განმავლობაში, ანუ რამდენი შემოვიდა მეურნეობაში მასალები /დებეტის ჯამი/ რა ღირებულების მასალები გაიცა საწყობიდან იანვრის თვეში /კრედიტი/ ამ ცნობების საფუძველზე ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია გავიგოთ მასალების ნაშთი უკანასკნელი რიცხვისათვის. ჩვენს მაგალითში ირიცხება მასალები 1 იანვრისათვის საწყობში 15000 მანეთის. შემოვიდა მასალები საწყობში იანვრის თვეში 2500 მანეთის; გაიცა საწყობიდან იმავე პერიოდის განმავლობაში მასალები 1500 მანეთის. 1 თებერვლის ნაშთის გასაგებად საჭიროა დაწყებითი ნაშთს - 15.000 მანეთს მივუმატოთ მიღებული მასალა 2500 მანეთის.

/15000 + 2500/ - 1500 = 16000 მანეთი.

მასალების ანგარიშის დებეტის ბრუნვა გამოხატავს მასალების მიღებას. მეურნეობას საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებული აქვს მასალების მიღება. მამასადამე, მასალების ანგარიშის დებეტის ჯამი /ჯამთით/ რომ შევადაროთ გეგმით გათვალისწინებული მისაღები მასალების ღირებულებას, ჩვენ გავიგებთ თუ რამდენად შესრულებულია მასალების მიღების გეგმა იანვარში.

ამგვარისავე ცნობებს გვაძლევს მზანაწარმის ანგარიში: რა ღირებულების მზანაწარმი იყო მეურნეობაში 1 იანვარს, რა ღირებულების მზანაწარმი მიიღე იანვარში, რა ღირებულების მზანაწარმი გაეცით იმავე თვეში და რა ღირებულების მზანაწარმი გვაქვს საწყობში 1 თებერვლისათვის. კასის ანგარიში გვიჩვენებს რამდენი იყო კასაში ფული 1 იანვარს, რამდენი შემოვიდა კასაში იანვარში, რამდენი გაიცა კასიდან იმავე თვეში და რამდენი მანეთი ირიცხება კასაში 1 თებერვლისათვის.

ბანკის ანგარიში გვიჩვენებს რამდენი მანეთი ქონდა მეურნეობას ბანკში 1 იანვრისათვის, რამდენი შევიტანეთ ბანკში იანვარში, რამდენი გამოვიტანეთ ბანკიდან იმავე თვეში და რამდენი აქვს მეურნეობას ბანკში ფული 1 თებერვლისათვის.

წარმოების ანგარიში გვიჩვენებს, თუ რამდენი დანახარჯი ირიცხებოდა წარმოებაში 1 იანვრისათვის /ჩვენს მაგალითში ნაშთი არ ყოფილა/, რამდენი დახარჯა წარმოებაში იანვრის თვის განმავლობაში; რა

ღირებულების მზანაწარმი მივიღეთ წარმოებიდან იმავე თვის განმავლობაში და რამდენი დანახარჯი ირიცხება წარმოებაში 1 თებერვლისათვის, ანუ რამდენს შეადგენს დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება.

საწესდებო ფონდის ანგარიში გვიჩვენებს, თუ რამდენი სამეურნეო საშუალება არის მიმაგრებული მეურნეობაზე-ხანგრძლივად.

სესხის ანგარიში გვიჩვენებს, თუ რამდენი სესხი ემართა მეურნეობას ბანკის 1 იანვრისათვის /კრედიტის ნაშთი/, რამდენი ჭჭჭ ისესხა კიდევ იანვრის თვის განმავლობაში/კრედიტის ჯამი უნაშთოთ/; რამდენი გაისტუმრა იანვრის თვეში /დებეტის ჯამი/; რამდენი მართებს მეურნეობას ბანკის 1 თებერვლისათვის /კრედიტს-გამოვაკლოთ დებეტი/

ამასვე გვიჩვენებს კრედიტორების ანგარიში: რამდენი გვემართა კრედიტორების 1 იანვრისათვის /კრედიტის ნაშთი/; რამდენი მივიღეთ კრედიტორებისაგან იანვარში /კრედიტის ჯამი უნაშთოთ/; რამდენი გადაუხადეთ იანვარში /დებეტის ჯამი/; რამდენი გვმართებს კრედიტორების 1 თებერვლისათვის /კრედიტის ჯამს გამოვაკლოთ დებეტის ჯამი/.

7. ბრუნვათა ფურცელი.

თვითეული ანგარიში იძლევა ცნობებს განსაზღვრული ოპერაციების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა განსაზღვრული სამეურნეო საშუალების გარშემო. ჩვენ შეგვიძლია ეს ცნობები მოვათავსოთ ერთ ცხრილში და მივიღოთ მთლიანი სურათი სამეურნეო საშუალებათა პირვანდელი მდგომა-

რეობის შესახებ, სამეურნეო საშუალებათა ბრუნვის შესახებ განსახილველი პერიოდის განმავლობაში და სამეურნეო საშუალებათა უკანასკნელი მდგომარეობის შესახებ.

ამისათვის უნდა დავხაზოთ ცხრილი, რომელიც ნაჩვენებია 128 გვერდზე. როგორც ვხედავთ, ცხრილი რვა სვეტისაგან შედგება. I სვეტში იწერება ანგარიშების ნომრები რიგ-რიგობით.

მეორე სვეტში ჩაიწერება ანგარიშების სახელწოდება.

მესამე და მეოთხე სვეტებში ჩაიწერება საშუალებათა პირვანდელი მდგომარეობა. მოვიგონოთ, რომ, როდესაც ანგარიშები გავხსენით, აქტივის ნაშთები ჩვენ ჩავწერეთ ანგარიშების დებეტში, ხოლო პასივის ნაშთები ჩავწერეთ ანგარიშების კრედიტში. ეს ნაშთები უნდა ჩაიწეროს აღნიშნულ სვეტებში. დაწყებითი აქტივი, ანუ დებეტის ნაშთი – მესამე სვეტში, ხოლო დაწყებითი პასივი, ანუ კრედიტის ნაშთი–მეოთხე სვეტში. ამ ორ სვეტში /მესამე და მეოთხე/, მაშასადამე, მოცემულია დაწყებითი ბალანსი.

მეხუთე სვეტში უნდა ჩაიწეროს იმ თანხების ჯამი, რაც ჩაწერილია ანგარიშების დებეტში პერიოდის განმავლობაში, ჩვენს მაგალითში იანვრის თვის განმავლობაში. ეს იქნება იანვრის თვის ბრუნვა დებეტით. მეექვსე სვეტში ჩაიწერება იმ თანხების ჯამი, რაც ჩაწერილია ანგარიშების კრედიტში და რაც წარმოადგენს კრედიტის ბრუნვას.

მეშვიდე და მერვე სვეტებში მოცემულია საშუალებ-თა უკანასკნელი სურათი; მეშვიდე სვეტში-დებეტის ნაშთ /აქტივი/, ხოლო მერვე სვეტში -კრედიტის ნაშთი /პა-სივი/. მესამედან მეექვსე სვეტამდის ჩასაწერი თან-ხები ანგარიშებიდან ამოიღება; მეშვიდე და მერვე სვეტებში ჩასაწერი თანხები კი გამოიანგარიშება შემდეგ-ნაირად:

მასალების ანგარიშით ირიცხებოდა 1 იანვრისათ-ვის 15.000 მანეთის მასალა. მიგვიღია იანვრის თვეში მასალა 2500 მანეთის, გაგვიცია იმავე თვეში 1500 მა-ნეთის. ეს ცნობები ამოიღება მასალების ანგარიშიდან ამის საფუძველზე გამოგვყავს ნაშთი 1 თებერვლისათვის 16.000 მანეთის.

მზანაწარმის ანგარიშით ირიცხებოდა ნაშთი 1 იან-ვრისათვის 8000 მანეთის მზანაწარმი. მიღებულია იანვარ-ში 4000 მანეთის მზანაწარმი. ნაშთს მივუმატოთ მიღება, გახდა 12.000 მანეთის. გაცემულია იანვარში მზანაწარმი 2800 მანეთის / 12000-2800/ დარჩა 1 თებერვლისათვის მზანაწარმი 9200 მანეთის.

კასის ანგარიშით ირიცხებოდა 1 იანვრისათვის ფული კასაში 900 მანეთი, მიღებულია კასაში იანვარში 3500 მანეთი, გაცემულია კასიდან იმავე თვეში 3500 მანეთი, დარჩა კასაში 1 თებერვლისათვის 900 მანეთი.

ბანკი ანგარიშსწორებით: ირიცხებოდა ბანკში 1 იან-ვრისათვის 7000 მანეთი, შეტანილია ბანკში, ან ჩარიცხულ ანგარიშსწორების ანგარიშში 11200 მანეთი, გამოტანილია ბანკიდან, ან ჩამოწერილია ჩვენი ანგარიშიდან 9900მან.

რჩება ჩვენს ანგარიშზე ბანკში 1 თებერვლისათვის 8300 მანეთი.

წარმოების ანგარიშით- დანახარჯების ნაშთი წარმოებაში 1 იანვრისათვის არ ყოფილა, დახარჯულია იანვარში წარმოებაზე 5000 მანეთი, მიღებულია წარმოებიდან იმავე თვეში 4500 მანეთი. რჩება დანახარჯები წარმოებაში, ანუ დაუმთავრებელი წარმოება 1 თებერვლისათვის 500 მან. ჩამოთვლილი ანგარიშების ნაშთები წარმოადგენს აქტივს. ამ ანგარიშებში უკანასკნელი ნაშთების გასაგებად აქტივის ნაშთს ვუმატებთ დებეტის ჯამს და გამოვაკლებთ კრედიტის ჯამს.

ეხლა გადავიდეთ პასივის ანგარიშზე. უკანასკნელი ნაშთის მისაღებად ამ ანგარიშებში წინააღმდეგ უნდა მოვიქცეთ: პასივის ნაშთს მივუმატოთ კრედიტი და გამოვაკლოთ დებეტი.

საწესდებო ფონდის ანგარიში გვიჩვენებს, რომ ირიცხებოდა საწესდებო ფონდი 1 იანვრისათვის 20000 მანეთი და იგივე ირიცხება 1 თებერვლისათვის. საწესდებო ფონდში ცვლილება არ მომხდარა.

სესხის ანგარიში გვიჩვენებს, რომ 1 იანვრისათვის გვემართა ბანკის სესხი 6000 მანეთი; იანვარში კიდევ ვისესხეთ 8000 მანეთი/კრედიტის ჯამი/ იანვარში გავისტუმრეთ 3000 მანეთი, რჩება 1 თებერვლისათვის სესხის ნაშთი: 6000 + 8000 -3000= 11.000 მანეთი.

კრედიტორების ანგარიშით გვემართა კრედიტორების 1 იანვრისათვის 4900 მანეთი. იანვარში მათგან არაფერი არ მიგვიღია. გავისტუმრეთ იანვარში კრედიტორები

1400 მანეთით. რჩება მეურნეობის დავალიანება კრედიტორებთან 3.500 მანეთი.

დაგროვების ანგარიში გვიჩვენებს, რომ მიგვიღია იანვარში 400 მანეთი სოცდაგროვება, რაც ირიცხება 1 თებერვლისთვისაც /პრაქტიკულად დაგროვების მიღებას სხვაგვარად აწარმოებენ. ჩვენ გავაკეთეთ ასე სიმარტივის გულისათვის/.

აღნიშნულ ცხრილს ეწოდება ბრუნვათა ფურცელი:

როგორც დავინახეთ ბრუნვათა ფურცელში /გვ. 128/ მოცემულია ბალანსი იანვრის 1 რიცხვისათვის, შემდეგ ბრუნვა იანვრის თვის და უკანასკნელ ორ სვეტში ბალანსი 1 თებერვლისათვის. 1 იანვრის ბალანსის ჯამი შეადგენს 30.900 მან. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 იანვარს მეურნეობაში ყოფილა მოთავსებული 30.900 მანეთის საშუალებები. 1 თებერვლის ბალანსის ჯამი შეადგენს 34.900 მანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 თებერვალს მეურნეობაში-მოთავსებულია 34.900 მანეთის საშუალებები. იანვრის თვეში მეურნეობის საშუალებები გაზრდილა 4000 მანეთით /34900 – 30.900/, მეურნეობაში შემოსულა ახალი საშუალებები.

ბალანსის ცალკე მუხლების შედარებით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ რომელი წყაროდან შემოსულა მეურნეობაში აღნიშნული 4000 მანეთი.

საშუალებათა წყაროს გამოხატავს პასივი, მაშასადამე საჭიროა შევადაროთ პასივის მუხლების 1 იანვრისა და 1 თებერვლის ბალანსები.

საწესდებო თანხა 1 იანვარს ირიცხებოდა 20.000 მანეთი. იგივე თანხა ირიცხება 1 თებერვალს, მაშასადამე საწესდებო თანხაში ცვლილება არ მომხდარა, არის იგივე რაც იყო.

სესხი 1 იანვარს ირიცხებოდა 6000 მანეთი; 1 თებერვალს ირიცხება 11.000 მანეთი, მაშასადამე, იანვრის თვეში სესხი გაზრდილა, ჩვენ დამატებით გვისესხებია ბანკიდან 5000 მანეთი. ჩვენ მივიღეთ ბანკიდან ახალი საშუალებები სესხის სახით.

ჩვენი ვალი კრედიტორებთან 1 იანვარს ირიცხებოდა 4900 მანეთი, 1 თებერვალს ირიცხება 3500 მანეთი, 1400 მანეთით შემცირებულა ჩვენი ვალი.

გარდა აღნიშნულისა საოპერაციო პერიოდის განმავლობაში ახალი წყაროდან შემოვიდა საშუალებები მეურნეობაში. ეს წყარო არის სოციალისტური დაგროვება, რაც მიიღო მეურნეობამ – 400 მანეთი.

ამგვარად, ის განსხვავება ბალანსების ჯამებს შორის, რაც ჩვენ ზევით ვნახეთ – 4000 მანეთი, შედგება: ავიღეთ სესხი 5000 მანეთი, გავისტუმრეთ კრედიტორები 1400 მანეთის, დარჩა ზედმეტად შემოსული 3600 მან. /5000 – 1400/. ამ თანხას მიემატა 400 მან. დაგროვება ამგვარად საბოლოოდ გაიზარდა ბალანსის თანხა 4000 მანეთით.

მაშასადამე, ჩვენ გამოვიკვლიეთ, თუ საიდან მიუვიდა მეურნეობას ის ზედმეტი საშუალებები, რაც აღმოჩნდა მის განკარგულებაში იანვრის თვის ბოლოს.

165

ეხლა შეგვიძლია მეორე მიდგომით განვიხილოთ ბალანსში მომხდარი ცვლილებები; რაში მოათავსა მეურნეობამ იანვრის თვის განმავლობაში მიღებული ახალი საშუალებები. ამის გამოსარკვევად საჭიროა შევადაროთ 1 იანვრის და 1 თებერვლის ბალანსების აქტივი. აქ ჩვენ დავინახავთ, რომ აქტივის მუხლებში მომხდარია გადანაცვლება, ერთი ნაწილი გადიდებულა, მეორე ნაწილი შემცირებულა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვნახავთ ახალ საშუალებათა მოთავსებას.

მასალა ირიცხებოდა 1 იანვარს 15000 მანეთის 1 თებერვალს ირიცხება 16.000 მანეთის, გაზრდილა მასალაში მოთავსებული თანხა 1.000 მანეთით.

მზანაწარმში ირიცხებოდა 1 იანვარს 8000 მანეთი, ირიცხება 1 თებერვალს 9200 მანეთი, გაზრდიდა საშვალებები მზანაწარმში 1200 მანეთით.

კასის ნაშთი არ შეცვლილა.

ბანკში ირიცხებოდა 7000 მანეთი. ირიცხება 1 თებერვალს 8300 მანეთი. გაზრდილა 1300 მანეთით.

გარდა აღნიშნულისა მეურნეობას მოემატა იანვრის თვეში აქტივის ახალი სახე, როგორიცაა წარმოება 500 მან.

ამგვარად გაზრდილა: მასალები-1.000 მან.

მზანაწარმი	1.200 "
ბანკი ანგარიშსწორება	500 "
სულ	4.000 მან.

ამგვარად, ჩვენ გამოვარკვიეთ საშუალებათა გად...
მეურნეობაში, გადიდებულ საშუალებათა წყაროები ...
ახალ საშუალებათა მოთავსება.

NN რიგ.	ანგარიშების დასახელება.	ნაშთი 1 იანვარი სათვის.		ბრუნვა იანვრის თვის.		ნაშთი 1 თებერვლისათვის.	
		აქტივი.	პასივი.	დებეტი	კრედიტი.	აქტივი	პასივი
1	მასალის ანგარიში	15000	–	2500	1500	16000	–
2	მზანაწარმის "	8000	–	4000	2800	9200	–
3	კასის "	900	–	3500	3500	900	–
4.	ბანკი ანგარიშსწორებ.	7000	–	11200	9900	8300	–
5.	წარმოების	–	–	5000	4500	500	–
6.	სარეზერვო ფონდი		20000				20000
7.	სესხის "	–	6000	3000	8000	–	11000
8.	კრედიტორების "		4900	1400	–	–	3500
9.	დაგროვების ან-ში	–	–	–	400	–	400
	ჯამი	30900	30900	30600	30600	34900	34900

ბრუნვათა ფურცელში ჩვენ ვხედავთ სამ წყვილ თანასწორ თანხებს, ნაშთი 1 იანვრისათვის /მესამე და მეოთხე სვეტი/ როგორც ერთი, ისე მეორე შეადგენს 30.900 მან. ეს არის ჩვენი დაწყებითი ბალანსის ჯამი: ერთი მხარე -აქტივი; ხოლო მეორე მხარე-პასივი, მაშასადამე, ბრუნვათა ფურცელი მესამე და მეოთხე სვეტი გამოხატავს მეურნეობის საშუალებათა მდგომარეობას საოპერაციო პერიოდის დაწყებისას.

ბრუნვათა ფურცლის მეხუთე და მეექვსე სვეტები გვიჩვენებს, თუ რა ცვლილება განიცადა სამეურნეო საშუალებებმა საოპერაციო პერიოდის განმავლობაში, რამდენი ჩაწერილა თვითეული ანგარიშის დებეტში და კრედიტში. ბრუნვის დებეტის და კრედიტის ჯამები ერთმანეთს უდრის. ეს თანასწორობა გამომდინარეობს ორმაგი ჩაწერის მეთოდიდან, რომლის ძალით ყოველგვარი სამეურნეო ოპერაცია იწერება როგორც დებეტში, ისე კრედიტში, ყველა ანგარიშის დებეტის ჯამი უნდა უდრიდეს ყველა ანგარიშის კრედიტის ჯამს. ამ ორი სვეტის /მეხუთე და მეექვსე/ ჯამების თანასწორობა სხვათაშორის გვეუბნება, რომ ოპერაციების გატარების დროს ორმაგი ჩაწერის ხერხი დაცულია.

ბრუნვათა ფურცლის უკანასკნელი ორი სვეტი /მეშვიდე და მერვე/ გვიჩვენებს სამეურნეო საშუალებათა უკანასკნელ სურათს: დებეტის ნაშთი გამოხატავს აქტივს, ხოლო კრედიტის ნაშთი გამოხატავს პასივს. მაშასადამე მეშვიდე და მერვე სვეტი წარმოადგენს უკანასკნელ ბალანს

ამგვარად, ბრუნვათა ფურცლის მესამე და მეოთხე სვეტი გამოხატავს თუ რა მდგომარეობა იყო მეურნეობაში საოპერაციო პერიოდის დაწყებისას.

სამეურნეო ოპერაციებმა შეცვალა პირვანდელი მდგომარეობა. ეს ცვლილებები მოცემულია მეხუთე და მეექვსე სვეტში.

უკანასკნელი ორი სვეტი წარმოადგენს იმ ახალ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა სამეურნეო ოპერაციების შემდეგ.

შემდეგი სამეურნეო ოპერაციებისათვის უკანასკნელი ბალანსი იქნება დაწყებითი ბალანსად. სამეურნეო ოპერაციები ცვლიან მის სახეს და იქმნება ახალი მდგომარეობა და ასე ბოლომდის.

ჩვენ შეგვიძლია ბრუნვათა ფურცლიდან ამოვიღოთ უკანასკნელ ორ სვეტში მოცემული თანხები და მივცეთ მას ბალანსის სახე. ეს იქნება მეურნეობის ბალანსი 1931 წლის 1 თებერვლისათვის.

ბალანსი 1 თებერვლისათვის /დასკვნითი/

აქტივი		პასივი.	
მასალა	16.000	საწესდებო ფონდი	20000
მზანაწარმი	9.200	სესხი	11000
კასა	900	კრედიტორები	3.500
ბანკი ანგარიშსწორებით.	8.300	დაგროვება	400
დაუმთავრებელი წარმოება.	500		
აქტივის ჯამი	34.900	პასივის ჯამი	34.900

საანგარიშო ლიტერატურაში მიღებულია, რაც ხშირად პრაქტიკაშიაც გადააქვთ, რომ ნაშთებს პირველსა და უკანასკნელს აღნიშნავენ დებეტის სალდოსა და კრედიტის სალდოს სახელწოდებით. მე ვამბობ, რომ ნაშთებს არ შეიძლება ეწოდოთ დებეტი და კრედიტი. ამას შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ დებეტი და კრედიტი მოძრაობის გამომხატველია, ხოლო აქტივი და პასივი სტატისტიკურ მდგომარეობას გამოხატავს. ეს მტკიცეთ უნდა შევათვისებიოთ ბუჰალტერიის შემსწავლელთ. ბრუნვათა ფურცელში მესამე და მეოთხე სვეტები გამოხატავს დაწყებითი ბალანსს /ნაშთების/ მეშვიდე და მერვე სვეტები გამოხატავს უკანასკნელ ბალანსს, და თუ ეს ასეა, როგორღ შეგვიძლია ნაშთების ბალანსს დებეტი და კრედიტი ვუწოდოთ. ამით ხომ გზას ვუბნევთ მკითხველს. ერთი მხრივ ვეუბნებით, რომ დებეტი და კრედიტი არის მოძრაობის გამომხატველი და ამავე დროს სტატისტიკური მდგომარეობის მაჩვენებელ ცნობებს ვაწერთ დებეტს და კრედიტს. მე ვამბობ: ბრუნვათა ფურცლის მესამე და მეოთხე სვეტები გამოხატავს დაწყები ბალანსს. მაშასადამე, მას უნდა დაეწეროს აქტივი და პასივი. მეშვიდე და მერვე სვეტი გამოხატავს უკანასკნელ ბალანსს, მაშასადამე მასაც უნდა დაეწეროს აქტივი და პასივი. დებეტი და კრედიტი უნდა დაეწეროს მხოლოდ მეხუთე და მეექვსე სვეტებს, რადგან ეს სვეტები გამოხატავს სამეურნეო საშუალებათა მოძრაობას, ის წარმოადგენს ბრუნვის ბალანს.

XI. ბალანსები ფაქტიური და გეგმითი.

ჩვენს მეურნეობას გეგმიანობა ახასიათებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამეურნეო საქმიანობა გეგმით არის გათვალისწინებული. მეურნეობას წინდაწინ აქვს განსაზღვრული რამდენი უნდა დაამზადოს, ვთქვათ, მასალა; რამდენი უნდა გადაამუშაოს, რამდენი უნდა გაასაღოს მზანაწარმი, საიდან და რამდენი ფული უნდა მიიღოს და სხ. ამის მიხედვით მეურნეობას წინდაწინ ექნება გათვალისწინებული, როგორი იქნება საშუალებათა მოთავსება განსაზღვრულ პერიოდის ბოლოს და როგორი იქნება ამ საშუალებათა წყაროები.

მაგალითად, 1 იანვარს ჩვენ გვაქვს მასალა 7.000 მანეთის, საწარმოო გეგმის თანახმად ჩვენ უნდა შევიძინოთ იანვრის თვეში მასალა 23.000 მანეთის. იმავე გეგმის თანახმად ჩვენ უნდა გადავამუშაოთ იანვარში მასალა 25.000 მანეთის. აქედან შეიძლება ვიანგარიშოთ რამდენი იქნება მასალის ნაშთი 1 თებერვლისათვის: 7.000 +23000მან 25.000 მან. = 5000 მან. მაშასადამე, გეგმის თანახმად ჩვენ გვექნება 1 თებერვლისათვის მასალა 5000 მანეთის. ასევე შეიძლება გეგმის თანახმად წინდაწინ განვსაზღვროთ აქტივისა და პასივის თითეული მუხლი და, მაშასადამე, შეგვიძლია წინდაწინ შევადგინოთ 1 თებერვლის ბალანსი, რომელსაც გეგმითი ბალანსი ეწოდება.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი მეურნეობის გეგმითი ბალანსი 1 თებერვლისათვის წარმოადგენს შემდეგ სურათს:

გეგმითი ბალანსი 1 თებერვლისათვის.

აქტივი.		პასივი.	
მასალა	12.000	საწესდებო თანხა	20.000
მანაწარმი	10.000	გრძელვადიანი სესხი	13.000
კასა	1.000	დავრითვება	600
ბანკი ანგარიშსწორ.	9.000		
დაუმთ. წარმოება.	2.500		
სულ	34.500	სულ	34.500

ამგვარად, ჩვენ ხელთ გვაქვს 1 თებერვლის ფაქტიური ბალანსი /გვ. 131/ და იმავე რიცხვის გეგმითი ბალანსი. აღნიშნული ბალანსების მუხლების შედარებით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, რამდენად შესრულდა საწარმოო გეგმა სამეურნეო საშუალებათა მოთავსების მუხლებისა და მისი წყაროების მუხლების მიმართ. ჩვეულებრივად ერთ ცხრილში ათავსებენ დაწყებითი ბალანსს /ჩვენს მაგალითში 1-იანვრის ბალანსს/ პერიოდის დასრულების გეგმითი-ბალანსს და პერიოდის დასრულების ფაქტიურ ბალანსს /ჩვენს მაგალითში 1 თებერვლის გეგმითი და ფაქტიური ბალანსები/.

აღნიშნული ცხრილის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს დაწყებითი და უკანასკნელი ფაქტიური ბალანსები და გამოვარკვიოთ რამდენად შეიცვლა სამეურნეო საშუალებათა და მათი წყაროების სახე საოპერაციო პერიოდის განმავლობაში, ერთი მხრით, მეორე მხრით, ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს უკანასკნელი ფაქტიური ბალანსი და გეგმითი ბალანსი, და გამოვარკვიოთ გეგმის შესრულება.

აქტივი				პასივი			
აქტივის მუხლები	ნაშთები 1 იანვ-რის ბალანსით	ნაშთები 1 თე-ბერვლის ბალანსით	ნაშთები 1 თებერ-ვლის ფაქტ. ბა-ლანსით.	პასივის მუხლები	ნაშთები 1 იან-ვრის ბალანსით	ნაშთები 1 თე-ბერვლის გეგმ. ბალანსით	ნაშთები 1 თე-ბერვ. ფაქტ. ბალანსით.
მასალა	15000	12000	16000	საწესდებო თანხა	20000	20000	20000
მზანაწარმი	8000	10000	9200	სესხი	6000	13900	11000
კ ა ს ა	9900	1000	900	კრედიტორები	4900	–	3500
ბანკი ანგარიშსწ.	7000	9000	8300	დაგროვება	–	600	400
დაუმთ. წარმოება	–	2500	500				
	30900	34500	34900		30900	34500	34900

V. აღრიცხვა სინთეზური და ანალიზური

ჩვენ გავეცანით საბალანსო მეთოდის შინაარსს იმ სახით, როგორც გამოიყენება ის ბუხჰალტერიაში. გავეცანით საბუღალტრო ბალანსის შედგენას, ანგარიშების გახსნას, ანგარიშებში სამეურნეო ოპერაციების ჩაწერასა და ბრუნვათა უწყისის შედგენას. ბრუნვათა უწყისიდან ამოვიკითხეთ უკანასკნელი ბალანსი.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბალანსი სამეურნეო საშუალებათა შეკუმშული გამოსახულებაა. ბალანსი საერთო სურათს იძლევა მეურნეობის განკარგულებაში არსებული საწარმოო ფონდების შესახებ. ბალანსის ჯამი გვიჩვენებს, თუ რამდენს შეადგენს სულ მეურნეობის სამეურნეო საშუალებები: აქტივის და პასივის თვითეული მუხლის საერთო სურათს იძლევა და არა კონკრეტულ მასალას. მაგალითად, ბალანსში ჩვენ გვაქვს მუხლი "მასალები". ეს მუხლი ჩვენ გვიჩვენებს, თუ რა ღირებულების მასალები იმყოფება მეურნეობის განკარგულებაში იმ დროს, რა დროისათვისაც ბალანსია შედგენილი, რამდენი აქვს მეურნეობას მოთავსებული მასალებში საერთოდ. მაგრამ თუ რა გვარი და რა სახის მასალები აქვს მეურნეობას, ამას ბალანსიდან ვერ გავიგებთ, როდესაც მასალების ანგარიშს ვხსნით, მასში იწერება საერთოდ ყოველგვარი მასალის ბრუნვა, მიღება და გაცემა. მასალების ანგარიშის დებეტის ჯამი გვიჩვენებს, თუ რა ღირებულების მასალები მიიღო მეურნეობამ განსაზღვრული პერიოდის

განმავლობაში, კრედიტის ჯამი გვიჩვენებს, თუ რა ღირებულების მასალები გაეცია მეურნეობას იმავე პერიოდის განმავლობაში: მასალების ანგარიშიდან ვერ გავიგებთ რა სახის და რა ღირებულების მასალა გვაქვს მიღებული და გაცემული განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში: მაგ. რა ღირებულების რკინა ქონდა მანქანათმშენებლობის ქარხანას 1 იანვრისათვის, რა ღირებულების რკინა მიიღო მან იანვარში, რა ღირებულების რკინა- გასცა იმავე თვეში და რამდენი რკინა დარჩა 1 თებერვლისათვის:

ასეთივე მდგომარეობა არის მზანაწარმის მიმართაც. მზანაწარმის ანგარიში შეკუმშულ ცნობებს იძლევა მზანაწარმის შესახებ: რა ღირებულების მზანაწარმი გვქონდა თავიდან, რა ღირებულების მზანაწარმი მივიღეთ, რა ღირებულების გავეცით და რამდენს შეადგენს მზანაწარმის ნაშთი. მზანაწარმის ანგარიში ჩვენ ვერ მოგვცემს ცნობებს იმის შესახებ, თუ რა სახის მზანაწარმი რამდენი მივიღეთ კონკრეტულად, რა სახის რამდენი გავეცით და რა სახის მზანაწარმი რამდენი დაგვრჩა. იგივე ითქმის დებიტორების და კრედიტორების შესახებ. დებიტორების ანგარიში ჩვენ გვიჩვენებს, თუ რამდენი ემართათ დებიტორებს საერთოდ თავიდან, რამდენი მივცით კიდევ მათ, რამდენი მივიღეთ მათგან და რამდენი ირიცხება დებიტორებზე საერთოდ, კონკრეტულად ვის რამდენი მივეცით და ვის რამდენი მართებს, ასეთ ცნო-

ბებს დებიტორების ანგარიში ვერ მოგვცემს. მაშ რა დანიშნულებას ასრულებს ბალანსი და ის ანგარიშები, რასაც ჩვენ ბალანსის შეკუმშნელ ნაწილებს ვუხსნით?- პირველად ყოვლისა ბალანსი საუკეთესო ფორმაა მეურნეობის სამეურნეო საშუალებათა მდგომარეობის საერთო მიმოხილვისათვის. ერთი თვალის გადავლებით თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რა სამეურნეო საშუალებები იმყოფება მეურნეობის განკარგულებაში. ერთი თვალის გადავლებით თქვენ გაიგებთ როგორი არის, მეურნეობის ფინანსიური მდგომარეობა, აქვს მას საკუთარი საშუალებები /სანგრძლივად მიმაგრებული/, თუ დროებით მიღებული საშუალებებით მუშაობს, როგორი არის მეურნეობის მუშაობის შედეგი, დაგროვება აქვს, თუ ზარალი. აღნიშნული მოთხოვნის ნათელსაყოფად საბუხჰალტრო ბალანსი უეჭველად ძვირფასია. რაც შეეხება საკონტროლო მნიშვნელობას, რაც შეეხება სოციალისტური საკუთრების უდაცვის საქმეს, ამისათვის ბალანსი არ კმარა, სოციალისტური საკუთრების დასახავად არ კმარა ვიცოდეთ თუ რამდენი მანეთის საქონელი გვაქვს სულ საწყობში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ დაწვრილებით რამდენი გვაქვს შაქარი, ფქვილი, ბრინჯი და სხვა. სოციალისტური საკუთრების დასაცავად არც ის კმარა, რომ ერთი ანგარიში გვქონდეს გახსნილი და მასში ვწერდეთ ყოველგვარი საქონლის ოპერაციებს შეკუმშნელად, საიდანაც ჩვენ გვეცოდინება, თუ რა ღირებულების საქონელი

მიგვიღია საერთოდ, რა ღირებულების საქონელი გაგვიყი-დია და რა ღირებულების საქონელი დაგვრჩა საწყობში. ასეთი აღრიცხვა არ არის საკმარისი, რომ თვალყური ვადევნოთ საქონლის დაცვას განიავებისაგან. გარდა ამისა ასეთი აღრიცხვა არც იმისთვის არის საკმარისი, რომ აღრიცხვამ მოგვცეს ყოველდღიური ცნობები ოპერა-ტიული ხელმძღვანელობისათვის.

მაშასადამე, ბალანსი და ის ანგარიშები, რომ-ლებიც ბალანსის მუხლებს ეხსნება, არ არის საკმარისი არც იმისათვის, რომ თვალყური ვადევნოთ სამეურნეო გეგმის შესრულებას, და არც იმისთვის, რომ დავიცვათ სოციალისტური საკუთრება გაფლანგვისაგან და მივიღოთ ყოველდღიური ცნობები მეურნეობის ოპერატიულ ხელმძღვა-ნელობისათვის. მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ?

ზევით ითქვა, რომ ბალანსი შეიძლება შესდგეს აღწერის /ინვენტარიზაციის/ საფუძველზე და ჩანაწერე-ბიდან. ორივე შემთხვევაში ჩვენ ხელთ გვაქვს დაწვრილე-ბითი ცნობები სამეურნეო საშუალებათა მოთავსებისა და მათი წყაროების შესახებ. ჩვენ შევაჯამეთ აღნი-შნულ დაწვრილებით ცნობებს და შევადგინეთ ბალანსი. ბალანსს ყოველთვის ახლავს დანართები, რომლებიც გან-მარტებას აძლევს ბალანსის თვითეულ მუხლს. ასე მაგ. ბალანსში გვაქვს მუხლი-"მასალები". დანართში ეს მუხლი იქნება დაშლილი: რკინა, თუჯი, სპილენძი და სხ. ბალანსში გვაქვს მუხლი "დებიტორები". დანართში ეს

მუხლი იქნება დაშლილი: მასალები, ცეკავშირი და სხვა. როდესაც ბალანსის მუხლებს ვხსნით ანგარიშებს, ამავე დროს ჩვენ უნდა გავხსნათ ანგარიშები მუხლის შემადგენელ ნაწილებსაც. მაგალითად, როდესაც ვხსნით მასალების ანგარიშს, ამავე დროს ჩვენ უნდა გავხსნათ მასალის თვითეული სახის ცალკე ანგარიში: რკინის ან-ში, თუჯის ან-ში და სხვა.

როდესაც ვხსნით დებიტორების ანგარიშს, ამავე დროს უნდა გავხსნათ თვითეულ პირისა და დაწესებულების ანგარიში, რომლებიც დებიტორებს წარმოადგენენ.

ამგვარად ჩვენ გვექნება მასალების ანგარიში და თვითეული სახის მასალისათვის ცალკე ანგარიშები.

მანქანების ან-ში ერთი და თვითეული სახის მანქანისათვის ცალკე ან-შები.

მზანაწარმის ან-ში ერთი და თვითეული სახის მზანაწარმისათვის ცალკე ან-შები.

წარმოების ან-ში და თვითეული სახის წარმოებისათვის ცალკე ან-შები.

დებიტორების ან-ში და თვითეული დებიტორის ცალკე ან-შები და ასე ბოლომდის.

ბალანსის მუხლების ანგარიშებს, რომლებშიაც სამეურნეო ოპერაციები იწერება შეკუმშულად, გაერთიანებული თანხებით, ეწოდება მთავარი ანგარიშები.

როდესაც ბალანსის შემადგენელი მუხლის ნაწილებს ცალკე ანგარიშები ეხსნება, რომლებშიაც დაწვრილებით

იწერება სამეურნეო ოპერაციები, ასეთ ანგარიშებს ეწოდება ელემენტარული ანგარიშები.

ანგარიში, რომელიც წარმოადგენს რომელიმე კოლექტიურ ანგარიშის ელემენტს, იწოდება აგრეთვე კერძო ანგარიშად.

როდესაც სამეურნეო ოპერაციები იწერება მთავარ ანგარიშებში, აღრიცხვას ეწოდება სინთეზური აღრიცხვა. როდესაც სამეურნეო ოპერაციები იწერება კერძო, ანუ ანალიზურ ანგარიშებში, აღრიცხვას ეწოდება ანალიზური აღრიცხვა.

ამგვარად, ქარხანაში ჩვენ გვაქვს სინთეზური აღრიცხვა, ანუ გვაქვს გახსნილი მთავარი ანგარიშები /ბალანსის ანგარიშები/, რომლებიც იძლევა საერთო სურათს სამეურნეო საშუალებათა მოძრაობის შესახებ.

მეორე მხრივ გვაქვს: 1/მასალების ანალიზური აღრიცხვა, სადაც თვითეული სახის მასალას გახსნილი აქვს ცალკე ანალიზური ანგარიში, საიდანაც ვღებულობთ დაწვრილებით ცნობებს მასალების მოძრაობის შესახებ, 2/ მზანაწარმის ანალიზური აღრიცხვა, 3/ წარმოების ანალიზური აღრიცხვა, სადაც თვითეულ სახის წარმოებას ცალკე ანგარიში აქვს გახსნილი: 4/ მუშა-მოსამსახურეთა ანალიზური აღრიცხვა, 5/ დებიტორების ანალიზური აღრიცხვა, 6/ კრედიტორების ანალიზური აღრიცხვა და სხვა.

რომ უფრო გასაგები იყოს, ავიღოთ ინვენტარის ცნობები. ამ ცნობების საფუძველზე შევადგინოთ ბალანსი. შემდეგ შევადგინოთ მთავარი ანგარიშების ნიმუშისათვის;

გავხსნათ ერთი მხრით მთავარი ანგარიშები; მეორე მხრით, ანალიზური ანგარიშები. გავაცნოთ სამეურნეო ოპერაციები და შევადგინოთ ბრუნვათა უწყისები როგორც მთავარი ანგარიშებიდან, ისე ანალიზური ანგარიშებიდან.

მეურნეობას აქვს მანქანები 20000 მანეთის. მასალა: რკინა 2000 მანეთის, თუჯი-2800 მანეთის, სპილენძი-4200 მანეთის. აქვს მზანაწარმი ნაწილები 3600 მანეთის, ქვაბები 5000 მანეთის და ძრავები 4200 მანეთის.

აქვს ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე 12.000 მანეთი, აქვს კასაში 600 მანეთი.

მართებს ბანკის მოკლევადიანი სესხი 10000 მანეთი.

ინვენტარში მასალა და მზანაწარმი მოცემულია რაოდენობისა, ფასის და ღირებულების აღნიშვნით, მაგრამ სიმარტივის გულისათვის ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ფულად გამოხატულებაში.

ბალანსის შესადგენად ინვენტარში მოცემული ცნობები უნდა შევკუმშოთ ერთგვარობის მიხედვით: მაგ. სხვადასხვა სახის მასალა: რკინა, თუჯი და სპილენძი უნდა შევაერთოთ /2000 + 2800 + 4200/ მივიღებთ 9000 მან. სულ მამასადამე მასალა აქვს მეურნეობას 9000 მანეთის.

უნდა შევაერთოთ მზანაწარმის ნაწილები; /3.600 + 5.000 + 4.200/ მივიღებთ 12.800 მანეთს.

ამგვარად მანქანები გვაქვს 20.000 მანეთისა, მასალები 9000 მანეთის, მზანაწარმი 12.800 მანეთის,

აქვს ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე 12.000 მანეთი, კასაში 600 მანეთი. სულ აქტივის ჯამი უდრის 54.400 მანეთს.

ამ თანხას გამოვაკლოთ სესხი ბანკიდან 10.000 მანეთი, მივიღებთ საწესდებო ფონდს 44.400 მანეთს.

ჩვენს-დაწყებით ბალანსს ექნება შემდეგი სახე:

დაწყებითი ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის

აქტივი		პასივი	
მანქანები	20000	საწესდებო ფონდი	44.400
მასალები	9000	სესხი ბანკიდან	10.000
მზანაწარმი	12800		
კ ა ს ა	600		
ბანკი ანგარიშ-სწორებით	12000		
აქტივის ჯამი..	54400	პასივის ჯამი..	54400

ამ ბალანსს თან უნდა ახლდეს დაწვრილებითი სია მანქანების, მასალების, მზანაწარმის. ჩვენ გვაქვს მხოლოდ მასალებისა და მზანაწარმის სიები ფულად გამოხატულებაში.

ჩვენი მეურნეობა წარმოადგენს ქარხანას, რომე-ლიც ამზადებს საწოლებს, ქვაბებსა და გუთნებს და თვითონვე ასაღებს პროდუქციას.

საბუღალტრო აღრიცხვისათვის საჭიროა წინასწარ შევადგინოთ მთავარი და ანალიზური ანგარიშების

ნომენკლატურა /დასახელება, სია/.

სინთეზური აღრიცხვისათვის უნდა გაეხსნას შემდეგი მთავარი ანგარიშები:

1. მანქანების ან-ში
2. მასალების "
3. მზანაწარმის "
4. კასის " .
5. ბანკი ანგარიშსწორების
6. წარმოების ან-ში
7. საწესდებო ფონდის ან-ში
8. სესხის ან-ში
9. რეალიზაციის "

მასალების ანალიზური აღრიცხვისათვის უნდა გაეხსნას მასალების ანალიზური ანგარიშები:

1. რკინის ან-ში
2. თუჯის "
3. სპილენძის "

მზანაწარმის ანალიზური აღრიცხვისათვის უნდა გაეხსნას ანალიზური ანგარიშები:

1. საწოლების ან-ში
2. ქვაბების "
3. გუთნების "

წარმოების ანალიზური აღრიცხვისათვის უნდა გაეხსნას წარმოების ანალიზური ანგარიშები

1. საწოლების წარმოების ან-ში
2. ქვაბების " "
3. გუთნების " "

/ანგარიშები იხილეთ 151-162 გვერდზე/

1937 წლის იანვარში ქარხანაში ადგილი ჰქონდა შემდეგ სამეურნეო ოპერაციებს, რაც უნდა გავატაროთ როგორც სინთეზური, ისე ანალიზურ ანგარიშებში.

1 იანვარი № 1. გადაცემულია წარმოებაში საწოლების დასამზადებლად რკინა 900 მანეთის.

ამ ოპერაციით ადგილი აქვს სამეურნეო საშუალებათა მოთავსებას წარმოებაში. წარმოების ხარჯების აღსარიცხავად ჩვენ გვაქვს წარმოების ანგარიში /სინთეზური/, მაგრამ რადგან წარმოებაში სამი სახის პროდუქცია მზადდება, ჩვენ უნდა ვიცოდეთ რამდენი დაიხარჯება საწოლებზე, ქვაბებზე და გუთნებზე. ჩვენ გვაქვს ცალკეული მათგანის ანალიზური ანგარიში. ზემოთ ნიშნული ოპერაციით რკინა გადაეცა საწოლების დასამზადებლად. რკინა არის მასალა. აღნიშნული ოპერაცია უნდა გავატაროთ მთავარ ანგარიშებში შემდეგი კორესპონდენციით:

დებეტი - წარმოება

კრედიტი - მასალა - 900 მანეთი

ამის შემდეგ ოპერაცია უნდა გავატაროთ ანალიზურ ანგარიშებში, საწოლების წარმოების ანგარიშის დებეტში და რკინის ანგარიშის კრედიტში /იხ. გვ. 156,159.

3 იანვარი № 2. ნაყიდია თუჯი და გაცემულია ბანკიდან 1800 მანეთი.

ამ ოპერაციით ფული გაცემულია ბანკიდან და მოთავსებულია მასალაში. უნდა გავატაროთ მთავარ ანგარიშებში.

დებეტი - მასალა .

კრედიტი - ბანკი ანგარიშსწორებით 1800 მანეთი

იგივე თანხა 4800 მან. უნდა გავატაროთ თუჯის ანალიზური ანგარიშის დებეტში.

5 იანვარი. N 3. მიღებულია ბანკიდან კასაში 5000 მანეთი. სამეურნეო საშუალება მოთავსდა კასაში, მის წყაროთ ითვლება ბანკი ანგარიშსწორებით.

დებეტი - კასა

კრედიტი - ბანკი ანგარიშსწორებით 500 მ.

7 იანვარი N 4. მიეცა წარმოების მუშებს კასიდან ხელფასი: საწოლების დასამზადებლად 2100 მანეთი, ქვაბების დასამზადებლად - 1900 მანეთი, ხოლო გუთნის დასამზადებლად 700 მანეთი.

კასიდან გაცემულია სულ 4700 მანეთი. ეს თანხა მოთავსდა წარმოებაში.

დებეტი - წარმოება

კრედიტი - კასა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ანგარიშებში, თუ რომელი პროდუქციის დამზადებაზე რამდენი ხელფასია გაცემული. უნდა გავატაროთ საწოლების წარმოების ანგარიშის დებეტში 2100 მანეთი; ქვაბების წარმოების ანგარიშის დებეტში 2100 მანეთი; ქვაბების წარმოების ანგარიშის დებეტში 1900 მანეთი და გუთნების წარმოების ანგარიშის დებეტში 700 მანეთი.

9 იანვარი N 5. გადაცემულია წარმოებაში ქვაბების დასამზადებლად თუჯი 1500 მანეთის და სპილენძი

800 მანეთის. თუჯი და სპილენძი წარმოადგენს მასალას. სულ ქვაბების დასამზადებლად გადაცემულია მასალა 2300 მანეთის, მთავარ ანგარიშებში ეს გატარდება მეხლით:

დებეტი - წარმოება

კრედიტი - მასალა 2300 მანეთი.

ამავე დროს ოპერაცია უნდა ჩაიწეროს ქვაბების წარმოების ანგარიშის დებეტში 2300 მანეთი, თუჯის ანგარიშის კრედიტში 1500 მანეთი და სპილენძის ანგარიშის კრედიტში 800 მანეთი.

15 იანვარი. № 6. გაყიდულია ქვაბები და შეტანილია ბანკში 4200 მანეთი.

ქვაბების გაყიდვიდან მიღებულია ახალი სამეურნეო საშუალება ბანკში, მის წყაროდ ითვლება მზანაწარმის რეალიზაცია. მთავარ ანგარიშებში უნდა გავატაროთ:

დებეტი - ბანკი ანგარიშსწორებით

კრედიტი - რეალიზაცია 4200 მანეთი.

ამგვარად ჩვენ ავსახეთ ანგარიშებში, რომ ქვაბების გაყიდვიდან შევიდა ბანკში ჩვენს ანგარიშზე 4200 მანეთი. მაგრამ ის სამეურნეო ფაქტი, რომ ჩვენგან მზანაწარმი გაიცა, რომ ქვაბები შემცირდა საწყობში, ჯერ არ ადგვინიშნავს. უნდა აღვნიშნოთ ანგარიშებში, რომ რეალიზაციაში მოვათავსეთ განსაზღვრული სამეურნეო საშუალება, რომელიც საწყობიდან გაიცა. რეალიზაციაში მოთავსებულია სამეურნეო საშუალება გაყიდული მზანაწარმის თვითღირე-

ბულების რაოდენობით. ამგვარად ჩვენ მოვათავსეთ რეალიზაციაში თვითღირებულება, ხოლო ავიღეთ გაყიდვიდან უფრო მეტი გასაყიდი ღირებულება.

პირველი გატარების შემდეგ უნდა ვიანგარიშოთ გაყიდული მზა ნაწარმის თვითღირებულება.

15 იანვარი. № 7. ჩამოწერილია გაყიდული მზა ნაწარმის თვითღირებულება 3500 მანეთი. უნდა გავატაროთ მუხლით

დებეტი – რეალიზაცია

კრედიტი – მზა ნაწარმი 3500 მანეთი.

ამგვარად გაყიდვიდან მიღებული თანხა გავატარეთ ბანკის დებეტში და რეალიზაციის კრედიტში. გაყიდულის თვითღირებულება გავატარეთ რეალიზაციის დებეტში და მზა ნაწარმის კრედიტში. რეალიზაციის დებეტში მოხვდა გაყიდული მზა ნაწარმის თვითღირებულება, რეალიზაციის კრედიტში კი მოხვდა გაყიდვიდან მიღებული მთელი ამონაგები. რეალიზაციის ანგარიშის დებეტის სალდო გამოხატავს ზარალს რეალიზაციიდან: კრედიტის სალდო კი გამოხატავს დაგროვებას რეალიზაციიდან.

ჩვენ გავყიდეთ ქვაბები და მისი თვითღირებულება გავატარეთ მზა ნაწარმის ანგარის კრედიტში.

იგივე თანხა უნდა გავატაროთ ქვაბების ანგარიშის კრედიტში.

17 იანვარი. № 8. მიღებულია წარმოებიდან ქვაბები 2200 მანეთის და საწოლები 1100 მანეთის.

სულ მაშასადამე მიგვიღია წარმოებიდან მზა ნაწარმი

3300 მან. წარმოებაზე დანახარჯების გაწევა გვაქვს
გატარებული წარმოების ანგარიშის დებეტში. მოცემული
ოპერაციით მივიღეთ ახალი მოთავსება მზანაწარმის სახით.
ამ ახალი მოთავსების წყაროთ ითვლება წარმოება, რადგან
მიღებულმა მზანაწარმმა შეცვალა წარმოებაზე გაწეული
დანახარჯები. მუხლი იქნება ასეთი

დებეტი - მზანაწარმი

კრედიტი - წარმოება 3300 მან.

ამავე დროს იგივე ოპერაცია უნდა გავატაროთ ქვა-
ბების ანალიზური ანგარიშის დებეტში 2200 მანეთი და
საწოლების დებეტში 1100 მანეთი . ერთი მხრით, ხოლო
მეორე მხრით ქვაბების წარმოების ანალიზური ანგარიშის
კრედიტში 2200 მან. და საწოლების წარმოების ანგარიშის
კრედიტში 1100 მანეთი.

19 იანვარი.- N 9. ნაყიდია რკინა 2600 მანეთის
და სპილენძი 5600 მანეთის. ფული გაცემულია ბანკიდან.
იმ ფულით, რომელიც ქონდა მეურნეობას ბანკში ან-
გარიშსწორების ანგარიშზე, მან შეიძინა მასალები-რკი-
ნა და სპილენძი. მას აქვს ახალი მოთავსება მასალებში,
რომლის წყაროთ ითვლება ბანკი ანგარიშსწორებით.

მუხლი იქნება ასეთი:

დებეტი - მასალები

კრედიტი - ბანკი ანგარიშსწორებით 8200 მან.

ეს გატარდება მთავარ ანგარიშებში, ამის შემდეგ
იგივე ოპერაცია უნდა ჩაიწეროს რკინის ანალიზური ანგა-

რიშის დებეტში 2600 მანეთი და სპილენძის ანგარიშის დებეტში - 5600 მანეთი.

21 იანვარი № 10. გადაცემულია გუთნების დასამზადებლად რკინა 3000 მანეთის.

მთავარ ანგარიშებში ეს ოპერაცია შეეხება წარმოებასა და მასალებს. მასალა გადაცემულია წარმოებაში.

დებეტი - წარმოება

კრედიტი - მასალები 3000 მან.

იგივე ოპერაცია უნდა გატარდეს ერთი მხრით გუთნების წარმოების ანალიზურ ანგარიშში-3000 მანეთი, ხოლო მეორე მხრით რკინის ანალიზური ანგარიშის კრედიტში 3000 მანეთი.

25 იანვარი № 11. მიღებულია წარმოებიდან გუთნები 3100 მანეთის.

დებეტი - მზანაწარმი

კრედიტი - წარმოება

ამავე დროს: დებეტი - გუთნების ან-ში

კრედიტი - გუთნების წარმოების ან-ში.

27 იანვარი № 12. გაყიდულია საწოლები და შეტანილია ბანკში 3400 მანეთი.

დებეტი - ბანკი ანგარიშსწორებით

კრედიტი - რეალიზაცია 3400

27 იანვარი № 13. ჩამოწერილია გაყიდული საწოლების თვითღირებულება 2800 მანეთი.

დებეტი - რეალიზაცია

კრედიტი - მზანაწარმი 2800 მან.

იგივე მუხლი უნდა გატარდეს საწილების კრედიტში.

29 იანვარი № 14. აღებულია ბანკში სესხი და ჩარიცხულია ანგარიშსწორების ანგარიშში – 3200 მანეთი.

დებეტი – ბანკი ანგარიშსწორებით

კრედიტი – სესხი 3200 მან.

29 იანვარი № 15. ნაყიდია მანქანა და გაცემულია ბანკიდან 5000 მანეთი

დებეტი – მანქანები

კრედიტი – ბანკი ანგარიშსწორებით 5000 მან.

31 იანვარი. № 16. ანგარიშსწორების ანგარიშიდან გადარიცხულია სესხის დასაფარავად 2000 მან.

დებეტი – სესხი

კრედიტი – ბანკი ანგარიშსწორებით 2.000 მან.

დავუშვათ, რომ იანვარში ადგილი ჰქონდა მხოლოდ აღნიშნულ 16 ოპერაციას. ყურადღებას მივაქცევთ ანალიზურ ანგარიშებში ოპერაციების ჩაწერას. მასალები და მზა-ნაწარმი, როგორც წესი, აღირიცხება რაოდენობრივად და ფულად გამოხატულებაში. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ფულად გამოხატულებაში. რაოდენობის სვეტებში ვწერთ ნოლებს. თვითეული ჩანაწერის შემდეგ მასალებისა და მზანაწარმის ანგარიშებში გამოგვყავს ნაშთი.

მთავარი ანგარიშები

№ 1. მანქანების ან-ში

თარიღი	დოკ.№	მოკორესპონდენტო ან-ის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.1		ნაშთი......	20.000	
29.1	15	ბანკი ანგარიშსწორებით	5.000	

№ 2 მასალების ან-ში

თარიღი	დოკ.№	მოკორესპონდენტო ან-ის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.1		ნაშთი	9000	
"	1	წარმოების ან-ში		900
3.1	2	ბანკი ანგარიშსწორებით	1800	
9.1	5	წარმოება		2300
19.1	9	ბანკი ანგარიშსწორებით	8200	
21.1	10	წარმოება		3000

№ 3. მზანაწარმის ან-ში

თარიღი	დოკ.№	მოკორესპონდენტო ან-ის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.1		ნ ა შ თ ი	12.800	
15.1	7	რეალიზაცია		9.500
17.1	8	წარმოება	9.300	
25.1	11	"	9.100	
27.1	13	რეალიზაცია		2.800

№ 4 კასის ანგარიში

თარიღი	დოკ.№	მოკორესპონდენტო ან-ის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.1		ნ ა შ თ ი	600	
5.1	9	ბანკი ანგარიშსწორებით	5000	
7.1	4	წარმოების ანგარიშით		4700

№ 5 ბანკი ანგარიშსწორებით

თარიღი	დოკ.№	მოკორესპონდენტო ან-შის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.1		ნ ა შ თ ი	12000	
3.1	2	მასალების ან-ში		1.800
5.1	3	კასის "		5.000
15.1	6	რეალიზაცია	4200	-
19.1	9	მასალები	-	8.200
27.1	12	რეალიზაცია	3400	-
29.1	14	სესხი	3200	
"	15	მანქანები	-	3.000
"	16	სესხი		4.000

№ 6. წარმოების ან-ში

თარიღი	დოკ.№	მოკორესპონდენტი ან-შის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.1	1	მასალების ანგარიში	900	
7.1	4	კასის "	4700	
9.1	5	მასალების "	2.300	
17.1	8	მზანაწარმი		3300
21.1	10	მასალები	3.000	
25.1	11	მზანაწარმი		3100

N 7 საწესდებო ფონდის ანგარიში

თარიღი	დოკ. N	მოკორესპონდენტო ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.1		ნ ა შ თ ი		44.400

N 8 სესხის ანგარიში

თარიღი	დოკ. N	მოკორესპონდენტო ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.1		ნ ა შ თ ი		10.000
29.1	14	ბანკი ანგარიშსწორებით		3.200
31.1	16	" "	2000	

N 9 რეალიზაციის ანგარიში

თარიღი	დოკ. N	მოკორესპონდენტო ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
15.1	6	ბანკი ანგარიშსწორებით	-	4200
"	7	მზა ნაწარმი	3500	
27.1	12	ბანკი ანგარიშსწორებით	-	3400
27.1	13	მზა ნაწარმი	2800	

დასახელების ანალიზური ანგარიშები

ღვინის ან-ში

თარიღი	დოკ. №	სამეურნეო ოპერაციის შინაარსი	შემოსავალი			გასავალი			ნაშთი			
			რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა	
1.1		ირიცხება							0	0	2000	
1.1	1	გადაცემულია საწ. დასამზ.				0	0	900	0	0	2100	
19.1	9	ნაყიდია ბანკის საშუალებით . . .	0	0	2600						4700	
21.1	10	გადაც. გუნ. დასამზადებლად . .				0	0	3000			1700	

სპილენძის ანგარიში

თარიღი	დოკ.№	სამეურნეო ოპერაციის შინაარსი	მიღება			გაცემა			ნაშთი		
			რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა
1.1		ირიცხება							0	0	4200
9.1	5	გადაეცა წარმოებას				0	0	800	0	0	3400
19.1	9	ნაყიდია ბანკის საშუალებით	0	0	5600						9000

196

თუჯის ანგარიში

თარიღი	დოკ.№	სამეურნეო ოპერაციის შინაარსი	მიღება			გაცემა			ნაშთი		
			რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხ
1.1		ირიცხება							0	0	2800
3.1	2	ნაყიდია ბანკის საშუალებით	0	0	1800				0	0	4600
9.1	5	გადაეცა წარმოებას				0	0	1500	0	0	3100

წარმოების ანალიზური ანგარიშები

საწოლების წარმოების ანგარიში

თარიღი	დოკ. N	სამეურნეო ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
1.1	1	გადაცემულია რკინა	900	
7.1	4	გაცემულია ხელფასი	2100	
17.1	8	მიღებულია მზანაწარმი		1100

ქვაბების წარმოების ანგარიში

თარიღი	დოკ. N	სამეურნეო ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
7.1	4	გაცემულია ხელფასი	1900	
9.1	5	გახემულია მასალა	2300	
17.1	8	მიღებულია მზანაწარმი		2200

გუთნების წარმოების ანგარიში

თარიღი	დოკ. N	სამეურნეო ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
7.1	4	გაცემულია ხელფასი	700	
21.1	10	გადაცემულია მასალა	3000	
25.1	11	მიღებულია მზანაწარმი		3.000

198

მზანაწარმის ანალიზური ანგარიშები

საწოლების ანგარიში

თარიღი	დოკ.№	სამეურნეო ოპერაციის შინაარსი	მიღება			გაცემა			ნაშთი		
			რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა
1.1		ირიცხება							0	0	3600
17.1	8	მიღებულია წარმოებიდან	0	0	1100	–	–	–	0	0	4700
27.1	13	გაყიდულია	–	–	–	0	0	2800	0	0	1900

ქვაბების ანგარიში

თარიღი	დოკ.№	სამეურნეო ოპერაციის შინაარსი	მიღება			გაცემა			ნაშთი		
			რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა
1.1		ირიცხება							0	0	5000
15.1	7	გაყიდულია				0	0	3500	0	0	1500
17.1	8	მიღებულია წარმოებიდან	0	0	2200						3700

ცხენების ანგარიში

თარიღი	დოკ.№	სამეურნეო ოპერაციის შინაარსი	მიღება			გაცემა			ნაშთი		
			რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა	რაოდ.	ფასი	თანხა
1.1		ირიცხება							0	0	4200
25.1	11	მიღებულია წარმოებიდან	0	0	3100				0	0	7300

სამეურნეო ოპერაციების ჩატარება დასრულებულია. უნდა შევადგინოთ იანვრის თვის ბრუნვათა ფურცლები მთავარი ანგარიშებიდან, მასალების ანალიზური ანგარიშებიდან, მზა-ნაწარმის ანალიზური ანგარიშებიდან და წარმოების ანალიზური ანგარიშებიდან.

მთავარი ანგარიშების ბრუნვათა ფურცელი გვაძლევს საერთო სურათს იანვარში წარმოებულ სამეურნეო ოპერაციებზე.

ბრუნვათა ფურცელი მთავარი ანგარიშებიდან 193 წლ.
თებერვლისათვის

ანგარიშების დასახელება	ნაშთი 1 იანვრისათვის		ბრუნვა იანვრის		ნაშთი 1 თებერვლისათვის	
	აქტივი	პასივი	დებეტი	კრედიტი	აქტივი	პასივი
მანქანების ან-ში	20000	-	5000	-	25000	-
მასალების "	9000	-	10000	6200	12800	-
მზანაწარმის "	12800	-	6400	6300	12900	-
კ ა ს ი ს "	600	-	5000	4700	900	-
ბანკი ანგარიშსწორებით. . ..	12000	-	10800	22000	800	-
წარმოების ან.	-	-	10900	6400	4500	-
საწესდებო ფონდის	-	44400	---	-	-	44400
სესხის "	-	10000	2000	3200	-	11200
ამორტიზაციის	-	-	6300	7600	-	1300
ჯ ა მ ი	54400	54400	56400	56400	56900	56900

წარმოების ბრუნვათა ფურცელი იანვრისათვის

№№ რიგ.	წარმოების დასახელება	რიცხობილი დანაშთი 1 იანვ.	დახარჯულია იანვარში	მიღებულია პროდუქცია იანვარ.	რიცხება დანაშთი 1 თებერვ.
1	სანთლების წარმოება	–	3000	1100	1900
2	ქვაბების წარმ. . .	–	4200	2200	2000
3	გუთნების "	–	3700	3100	600
			10900	6400	4500

მასალების ბრუნვათა ფურცელი იანვრისათვის

№№	მასალების დასახელება	ნაშთი 1 იანვრის.		მიღება იანვარი		გაცემა იანვარში		ნაშთი 1 თებერვლისათვის	
	რკინის ანგარიში . .	0	2000	0	2600	0	3900	0	700
	სპილენძის ანგ.	0	4200	0	5600	0	800	0	9000
	თუჯის "	0	2800	0	1800	0	1500	0	3100
			9000		10.000		6200		12.800

მზანაწარმის ბრუნვათა ფურცელი იანვრის თვის

№№ რიგ.	მზანაწარმის დასახელება	ნაშთი 1 იანვრის		მიღება იანვარში		გაცემა იანვარში		ნაშთი 1 თებერვ.	
		რაოდ.	ღირ.	რაოდ.	ღირ.	რაოდ.	ღირ.	რაოდ.	ღირ.
1	სანთლები . . .	0	3600	0	1100	0	2800	0	1900
2	ქვაბები . . .	0	5000	0	2200	0	3500	0	3700
3	გუთნები . . .	0	4200	0	3100			0	7300
			12800		6400		6300		12900

მთავარი ანგარიშების ბრუნვათა ფურცელი გვაძლევს საერთო სურათს იანვარში წარმოებულ სამეურნეო ოპერაციებზე.

მასალების ბრუნვათა ფურცელი გვაძლევს დაწვრილებით ცნობებს მასალების მოძრაობის შესახებ, რომელი მასალა რამდენი შემოვიდა და რა ღირებულების, რამდენი გაიცა და რა ღირებულების, რამდენი დარჩა და რა ღირებულების. ასევე დაწვრილებით ცნობებს გვაძლევს მზანაწარმის ბრუნვათა ფურცელიც. წარმოების ბრუნვათა ფურცელი გვაძლევს ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენი იყო დახარჯული თვითეული სახის წარმოებაზე 1 იანვრისათვის /რაც შეადგენს დაუმთავრებელ წარმოებას/; რამდენი ხარჯია გაწეული თვითეული სახის წარმოებაზე იანვრის თვეში, რამდენი არის მიღებული პროდუქცია იანვარში და რას შეადგენს თვითეული სახის წარმოების დანახარჯები 1 თებერვლისათვის /დაუმთავრებელი წარმოება 1 თებერვლისათვის.

ამგვარი ბრუნვათა ფურცლები უნდა შესდგეს მეურნეობაში ყოველთვიურად. მთავარი ანგარიშების ბრუნვათა ფურცელი, როგორც ზემოთ ითქვა, შეკუმშულ სურათს იძლევა სამეურნეო ოპერაციებზე. ანალიზური ანგარიშების ბრუნვათა ფურცლები კი იძლევა დაწვრილებით ცნობებს. მაგრამ მხოლოდ ამით არ განისაზღვრება ბრუნვათა ფურცლების მნიშვნელობა. ბრუნვათა ფურცლებს აქვს უაღრესად დიდი საკონტროლო მნიშვნელობა. მთავარი ანგარიშების ბრუნვათა ფურცლებში ვკითხულობთ რომ 1 იანვრისათვის გვქონებია მასალა 9000 მანეთის, იანვარში მიგვიღია მასალები 10.000 მანეთის, გაგვიცია იმავე თვეში 6200 მანეთის მასალები. დაგვრჩა 1 თებერვლისათვის მასალები 12800 მანეთის. მასალების ანალიზური ანგარიშების ბრუნვათა ფურცელი გვეუბნება, რა მასალებისაგან შედგება ნაშთი 9.000 მ. რა სახის მასალები მიგვიღია 10.000 მანეთის ღირებულების, რა სახის მასალები გაგვიცია 6.200 მანეთის ღირებულების და რა სახის მასალისაგან შედგება უკანასკნელი ნაშთი 12.800 მანეთი. მასალის მთავარი ანგარიშის თანხები უნდა ეთანხმებოდეს ანალიზური ანგარიშების ჯამებს. ჩვენ ხომ ყოველგვარ ოპერაციას ვწერდით ერთი მხრით, მთავარ ანგარიშში, ხოლო მეორე მხრით, ანალიზურ ანგარიშებში. ყველაფერი, რაც ჩაწერილია მასალის მთავარი ანგარიშის დებეტში, ჩაწერილია აგრეთვე მასალის რომელიმე ანალიზური ანგარიშის დებეტში, ასე კრედიტშიაც; მაშასადამე, თუის მასალის ანალიზური ბოლოს ჩვენ ვამოწმებთ თვით ჩანაწერებს. ანგარიშების ჯამები ჩვენ იმასვე გვეუბნება, რასაც მთავარი

ანგარიში. ყველა სახის მასალის ნაშთი 1 იანვრის შეადგენდა 9.000 მანეთს, მიღებულებია იანვარში რკინა 2600 მან. თუჯი 1800 მან. სპილენძი 5600 მან. სულ 10.000 მან. ეთანხმება მასალების ანგარიშის დებეტს. გაცემულია იანვრის თვეში რკინა 3900 მანეთის, თუჯი 1500 მანეთის, სპილენძი 800 მანეთის. სულ 6200 მან. ესეც ეთანხმება მასალების ანგარიშის კრედიტს. ეთანხმება აგრეთვე მასალების ნაშთებიც.

რომ დაშვებული ყოფილიყო შეცდომა მასალების ოპერაციების გატარებაში, რომ რაიმე არ იყოს გატარებული მასალის ანალიზურ ანგარიშში, აღნიშნულ თანასწორობას, რასაკვირველია ვერ მივიღებთ.

ასევე ითქმის მზა ნაწარმის ანალიზურ ანგარიშზე, წარმოების ანგარიშებზე და საერთოდ ყველა სინთეზურ ანგარიშზე, რომელიც დაშლილია ანალიზურ ანგარიშებად.

როდესაც თვიურ ბრუნვათა ფურცლებში სინთეზური ანგარიშები ეთანხმება სათანადო ანალიზურ ანგარიშებს, ჩვენ ამ შემთხვევაში ნდობის თვალით უყურებთ საბუღალტრო ჩანაწერებს. თუ არ ეთანხმება, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ დაშვებულია შეცდომა და, მაშასადამე, საბუღალტრო აღრიცხვის ცნობები კარგავს ნდობას.

ნ. შეცდომები.

1. შეცდომების აღმოჩენა და მისი შემოწმება.

სამეურნეო ოპერაციების ჩაწერის დროს შესაძლებელია დაშვებული იქნეს შეცდომა. შეიძლება შეცდომით ჩაიწეროს ოპერაცია მთავარ ანგარიშებში. აქ შესაძლებელია მოხდეს ასეთი შეცდომა: სამეურნეო ოპერაციის თანხა ჩაიწეროს დებეტში, ხოლო კრედიტში კი არა. შეიძლება ოპერაცია ჩაიწეროს ორივე მოკორესპონდენტო ანგარიშის დებეტში, ან კრედიტში, ასეთი შეცდომები აღმოჩნდება მთავარი ანგარიშების ბრუნვათა ფურცლიდან. როგორც ვიცით, ბრუნვათა ფურცელში ჩვენ ვღებულობთ სამ წყვილ თანხას: თითოეული წყვილი ერთმანეთს უდრის; მაგრამ მთავარია ნაშთ-ბრუნის დებეტისა და კრედიტის ჯამების თანასწორობა. დებეტისა და კრედიტის თანასწორობას საკონტროლო მნიშვნელობა აქვს. ბრუნვათა ფურცელში დებეტისა და კრედიტის თანასწორობა გამომდინარეობს ორმაგი ჩაწერიდან. თუ ყოველგვარი ოპერაცია ჩაიწერა დებეტშიც და კრედიტშიც, ცხადია, ყველა ანგარიშის დებეტის ჯამი უნდა უდრიდეს ყველა ანგარიშის კრედიტის ჯამს. თუ ამ თანასწორობას არ ღებულობთ, დაშვებულია ერთ-ერთი ზემოაღნიშნული შეცდომა. თუ თანხა ჩაიწერა მხოლოდ დებეტში, დებეტის ჯამი მეტი იქნება კრედიტის ჯამზე ოპერაციის თანხით. თუ თანხა ჩაიწერა ორივე ანგარიშის დებეტში, ან ორივე ანგარიშის კრედიტში, მაშინ, რასაკვირველია, დებეტის ჯამი არ შეუთანხმდება კრედიტის ჯამს.

შეცდომა შეიძლება მოხდეს ანალიზურ ანგარიში სამეურნეო ოპერაციების ჩაწერის დროს.

მაგალ. რომელიმე ოპერაციის თანხა სრულად გამოგვრჩა ანალიზურ ანგარიშში ჩაწერის დროს, ან ჩავწერეთ არასწორი თანხა, ან ერთი ანგარიშის მაგიერ ჩავწერეთ მეორე ანგარიშში. ასეთი შეცდომები აღმოჩნდება ბრუნვათა ფურცლების შედარებით. ჩვენ ვიცით, რომ მთავარი ანგარიშის თანხა უნდა ეთანხმებოდეს ანალიზური ანგარიშების ჯამს. მაგალითად, საქონლის ანგარიშის დებეტის ჯამი უნდა უდრიდეს საქონლის ანალიზური ანგარიშების დებეტის ჯამს, კრედიტი უნდა უდრიდეს კრედიტს. თუ ეს თანასწორობა ვერ მივიღეთ, დაშვებულია შეცდომა. თუ მთავარი ანგარიშის ჯამი მეტია ანალიზური ანგარიშების ჯამზე, რომელიმე ოპერაცია არ არის გატარებული ანალიზურ ანგარიშებში, თუ მთავარი ანგარიშის ჯამი ნაკლებია ანალიზურ ანგარიშების ჯამზე, რომელიმე ოპერაციის თანხა ორჯერ არის გატარებული ანალიზურ ანგარიშებში, ან გატარებულია არა ის თანხა, რომელიც უნდა გაგვეტარებინა, არამედ მეტი.

როდესაც გაუგებრობას აქვს ადგილი, როდესაც სათანადო ჯამებს შორის თანასწორობა დარღვეულია, საჭიროა შეცდომის მონახვა. თუ ერთი შეცდომა არის დაშვებული, მისი მონახვა ადვილია, ხოლო თუ მრავალი შეცდომა არის დაშვებული, სამუშაო გართულდება. ვთქვათ, მთავარი ანგარიშების ბრუნვათა

ფურცელში დებეტის ჯამი არ უდრის კრედიტის ჯამს. ვღებულობთ განსხვავებას. პირველად ყოველისა გავიგებთ განსხვავების თანხის სამეურნეო ოპერაციას. ასეთი თანხა შეიძლება ჩამდე-ნიმე [illegible], თითოეული ასეთ თანხას შევამოწმებთ, არის თუ არა გატარებული მთავარ ანგარიშებში, დებეტში და კრედიტში; ვთქვათ ვერ ვნახეთ შეცდომა. შესაძლებელია დაშვებული იყოს ასეთი შეცდომა: ერთი და იგივე თანხა გატარებულია ორივე ანგარიშის დებეტში, ან ორივე ანგარიშის კრედიტში, ამ შემ-თხვევაში განსხვავების თანხა ორჯერ მეტი იქნება იმ ოპერა-ციის თანხაზე, რომელიც შეცდომით არის ჩაწერილი; ასეთ შეცდომის მოსანახავად, განსხვავების თანხა უნდა გავყოთ შუაზე და ვეძებოთ მისი ოდენა თანხის სამეურნეო ოპერაცია, ისე, როგორც ზევით იყო ნათქვამი.

როდესაც მთავარი ანგარიშის ჯამი /დებეტის ან კრედიტის/ არ ეთანხმება სათანადო ანალიზური ანგარიშების ჯამს, უნდა გავიგოთ განსხვავება და მისი ოდენობის თანხის ოპერაცია ვეძებოთ ისე, როგორც ზევით იყო ნათქვამი, ერთი შეცდომა თუ არის დაშვებული, მას უეჭველად ვიპოვნით.

შეიძლება მთავარ ანგარიშებში ჩაწერის დროს იყოს დაშვებული შეცდომა, მაგრამ ბრუნვათა ფურცელში ეს შეცდომა არ გამოჩნდეს. მაგალითად რომელიმე მასალის მიღება ჩვენ ჩავწერეთ მასალის ანგარიშის მაგიერ საქონლის ანგარიშის დებეტში. მთავარი ანგარიშების ბრუნვათა ფურცელში ანგარი-

შების დებეტის ჯამი უდრის კრედიტის ჯამს. ეს იმიტომ, რომ ორმაგი ჩაწერა /დებეტობა და კრედიტობა/ დაცული იყო გატარებების დროს. შეცდომა არის დაშვებული ანგარიშებს შორის: ერთი ანგარიშის დებეტის მაგიერ თანხა ჩაიწერა მეორე ანგარიშის დებეტში. ეს შეცდომა გამოჩნდება მთავარი ანგარიშის და ანალიტური ანგარიშების შედარების დროს. ჩვენს მაგალითში მასალის ანგარიშის დებეტის ჯამი ნაკლები იქნება მასალის ანალიტური ანგარიშების დებეტის ჯამზე; საქონლის მთავარი ანგარიშის ჯამი კი, პირიქით, მეტი იქნება საქონლის ანალიტური ანგარიშების დებეტის ჯამზე.

შეიძლება ანალიტურ ანგარიშებში ჩაწერის დროს ისეთი შეცდომა იყოს დაშვებული, რომელიც არ გამოჩნდება ბრუნვათა ფურცლების შედარებით. მაგალითად, მიღებულია ლურსმანი; ჩვენ ჩავწერეთ ეს წებოს ანგარიშის შემოსავალში, ანალიტური ანგარიშების შემოსავალი შეუთანხმდება მასალის ანგარიშის დებეტს, რადგან შეცდომა დაშვებულია ანალიტ- ანგარიშებს შორის, ასეთი შეცდომა გამოჩნდება მხოლოდ ინვენტარიზაციის დროს. ლურსმანის ფაქტიური ნაშთი აღწერის დროს იქნება მეტი, ვიდრე ლურსმანის ანგარიში გვიჩვენებს, მეორე მხრივ, წებოს ფაქტიური ნაშთი იქნება ნაკლები ჩანაწერებიდან მიღებულ ცნობებთან შედარებით.

2. შეცდომების გასწორება.

შეცდომა შეიძლება შევნიშნოთ ან შეცდომის დაშვებისთანავე, ან შემდეგ, თუ შეცდომა მაინც შევნიშნეთ, მის გასასწორებლად საჭიროა შეცდომით ჩაწერილ თანხას გადავუსვათ ერთი ხაზი წითელი მელნით, ხოლო ზევით ან დაეწეროს სწორი თანხა. მაგრამ ხშირად შეცდომა აღმოჩნდება მხოლოდ შემდეგ, როდესაც შეცდომის თანხა შესულია გვერდის ჯამებში, როდესაც ვადგენთ ბრუნვათა ფურცლებს სინთეზური და ანალიზური ანგარიშებიდან. ვთქვათ აღმოჩნდა, რომ რომელიმე სამეურნეო ოპერაცია სრულებით არ გატარებია ანგარიშებში. ასეთი ოპერაცია ჩვეულებრივად უნდა გავატაროთ იმ რიცხვით, როდესაც შეცდომა აღმოჩნდა.

აღმოჩნდა, რომ თანხა გატარებია დებეტში, ხოლო კრედიტში არა. აქ საჭიროა გამორჩენილი თანხა ჩაიწეროს კრედიტში.

აღმოჩნდა, რომ ერთი ანგარიშის მაგიერ თანხა გატარებია მეორე ანგარიშში. მაგალითად, ტრესტიდან მიღებული მასალა გატარებია სალაროს ანგარიშის დებეტში და ტრესტის ანგარიშის კრედიტში. ასეთი შეცდომის გასასწორებლად არსებობს რამდენიმე წესი.

1. შეიძლება სალაროს ანგარიშიდან, სადაც თანხა შეცდომით არის ჩაწერილი, ის გადავიტანოთ მასალის ანგარიშში, ე.ი. სალაროს ანგარიში დებეტში შეცდომით ჩაწერილის გასა-

ბათილებლად თანხა უნდა ჩავწეროთ საქონლის ანგარიშის კრედიტში და გავატაროთ მასალის ანგარიშის დებეტში.

2. შეიძლება უკანვე ჩამოიწეროს როგორც დებეტში, ისე კრედიტში ჩაწერილი თანხები, ჩვენს მაგალითში, მაშასადამე, თანხა უნდა გავატაროთ საქონლის კრედიტში და ცრესხის დებეტში, ამით გაბათილდება პირველი გატარება, შემდეგ კი გავატარებთ სწორად მასალის დებეტში და ცრესხის კრედიტში. ასეთი შებრუნებითი კორესპონდენციით გატარებული თანხის უკან ჩამოწერას ეწოდება სტორნო.

3. არსებობს შეცდომის გასწორების მესამე ხერხი, რომელსაც წითელი რიცხვების მეთოდს უწოდებენ. მდგომარეობს ის შემდეგში: შეცდომით გატარებული სამეურნეო ოპერაცია უნდა ხელახლად გავატაროთ იმავე კორესპონდენციით, მაგრამ ჩავწეროთ წითელი მელნით, შემდეგ უნდა გავატაროთ სწორად წითელი მელნით ჩაწერილი თანხები შეჯამების დროს მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული, პირიქით, ის უნდა გამოაკლდეს ჩვეულებრივი მელნით ჩაწერილი თანხების ჯამს. ამგვარად, წითელი მელნით ჩაწერილი თანხები აბათილებს შეცდომით ჩაწერილ თანხებს.

შეცდომის გასწორების აღნიშნულ ხერხებს შორის უპირატესობა აქვს და უფრო მიღებულია ხმარებაში მესამე ხერხი. პირველი ხერხით შეცდომის გასწორების დროს შეცდომით ჩაწერილი თანხა რჩება ანგარიშში: მის გასაბათილებლად იმავე თანხას ვწერთ მოწინააღმდეგე მხარეზე. ამგვარად ხელოვნურად იზრდება

ანგარიშში ჩანაწერების ჯამი. ჩვენს მაგალითში საქონლის ანგარიშის დებეტში სწერია ისეთი თანხა, რომელიც არ გამოხატავს საქონლის ღირებას. საქონლის კრედიტიც აღარ გამოხატავს საქონლის გაყიდვას. აღნიშნული თანხები აჩვენებს საქონლის ბრუნვას ხელოვნურად. ასეთივე ნაკლი აქვს მეორე ხერხით შეცდომის გასწორებას. ერთ მიზანშეწონილია მესამე ხერხით შეცდომის გასწორება. აქ შეცდომით ჩაწერილი თანხა სრულიად იხსნება ანგარიშიდან. მაგალითად, ჩვენ გვაქვს გახსნილი საქონლის ანგარიში, მასალის ანგარიში და ბანკის ანგარიში, საქონლის ანგარიშის დებეტში ჩაწერილია 7.000 მან. 2.200 მ. და 900 მანეთი, კრედიტში ჩაწერილია 3.200 მან.

15/1 მიღებულია ფირმისგან მასალა 2.600 მანეთის.

ეს ოპერაცია შეცდომით გავატარეთ საქონლის ანგარიშის დებეტში და ბანკის ანგარიშის კრედიტში.

2. შეცდომის გასასწორებლად ჩვენ უკანვე ჩამოვწერეთ ანგარიშებიდან აღნიშნული თანხა წითელი რიცხვების მეთოდით, ე.ი. წითელი მელნით გავატარეთ საქონლის ანგარიშის დებეტში და ბანკის კრედიტში. ეს გატარება ხდება 31 იანვარს.

3. მიღებულ მასალას ვატარებთ სწორად მასალის დებეტში და ბანკის კრედიტში იმავე რიცხვში.

საქონლის ანგარიშის დებეტში 15 იანვარს ჩაწერილი 2.600 მანეთი ბათილდება 31 იანვარს ჩაწერილი 2.600 მანეთით. აგრეთვე ბანკის ანგარიშის კრედიტში 15 იანვარს ჩაწერილი 2.600 მანეთი ბათილდება 31 იანვარს ჩაწერილი 2.600 მანეთით. რჩება 31 იანვარის ჩაწერილი

2600 მანეთი მასალების ანგარიშის დებეტში და ბანკის ანგა-რიშის კრედიტში.

საქონლის ანგარიში

დებეტი			კრედიტი	
5.1.	ბანკი ანგარიშსწორ.	7000	რეალიზაცია	8200
8.1.	" "	2200		
12.1	" "	900		
15.1	" "	2600		
31.1	" /ნაღდად/	2600		

მასალების ანგარიში

დებეტი			კრედიტი
31.1	ბანკი ანგარიშსწორ.	2600	

ბანკი ანგარიშსწორებით

დებეტი		კრედიტი		
ნაშთი	30000	5.1	საქონელი	7000
		8.1	"	2200
		12.1	"	900
		15.1	"	2600
		31.1	" /ნაღდად/	2600
		31.1	მასალები	2600